ხობის მუნიციპალიტეტის ყოველკვირეული გაზეთი
გამოდის 1932 წლის 12 ივნისიდან

# ახალი სამკუთხედი

№ 20–23 (7029–32) * 15 * სექტემბერი * ოთხშაბათი * 2010 წელი * ფასი 80 თეთრი



# გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას



## მიმართვა პედაგოგიურ საზოგადოებას და მოსწავლე-ახალგაზრდობას

სექტემბრის თვე ყველაზე ამაღლებული განწყობის შემქმნელია, რადგან ეს არის ახალი სასწავლო წლის დასაწყისი. არ არის ოჯახი, რომელიც არ იზიარებდეს, მონაწილე არ იყოს ამ მშვენიერი დღესასწაულისა. ეს დღე წარმოუდგენელია მოსწავლისა და მასწავლებლის, მათი ურთიერთთანამშრომლობის, სკოლის გარეშე.

მინდა ახალი სასწავლო წელი მივულოცო, უპირველესად მუნიციპალიტეტის პირველკლასელებს, კურსდამთავრებულებს, რომელთაც წარმატებით შეაღეს უმაღლესი სასწავლებლის კარები და მჯერა ღირსეულად გააგრძელებენ იმ დიდებულ გზას, რომელსაც სკოლაში ჩაეყარა საფუძველი.

დღეს, საზოგადოდ, განათლების სისტემა და პედაგოგიური მოღვაწეობა უდავოდ პრიორიტეტული დარგია ქვეყანაში. რეფორმა, რომელიც განათლების სისტემაში წარმატებით მიმდინარეობს, არის, სწორედ უდიდესი გამარჯვების საფუძველი, რომელსაც თქვენი აღზრდილები ეროვნულ გამოცდებზე აღწევენ.

ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში ხორციელდება არაერთი სახელმწიფო პროგრამა: პრეზიდენტის საჩუქარი პირველკლასელებს, წიგნები სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილებისათვის, გრანტები წარმატებული სტუდენტებისათვის, პრეზიდენტის სტიპენდია წარმატებული მასწავლებლებისათვის, სკოლის აღჭურვა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით, სასწავლო ოლიმპიადების მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარება და გამარჯვებულების დაჯილდოება, ნიშნავს ზრუნვას ქვეყანაში წიგნიერების დონის ამაღლებისათვის, განათლების უპირატესობისათვის.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, რომელიც ემსახურება მრავალმხრივ განათლებული, თავისუფალი, ტოლერანტი, პატრიოტული სულისკვეთების ქართული საზოგადოების აღზრდას, თქვენი ღირსეული ღვაწლის, დაუღალავი საქმიანობის გარეშე მიუღწეველია.

პატივცემულო პედაგოგებო, თქვენ ხართ ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც ქმნის ქვეყნის უმთავრეს ღირებულებებს, ანვითარებს სწორ ეროვნულ ორიენტირს, აყალიბებს საკაცობრიო მრწამსს, რადგან დიდი ინტელექტუალური რესურსია საფუძველი ეკონომიკური, პოლიტიკური თვალსაზრისით ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობის. დღევანდელ ხელისუფლებას კარგად აქვს გააზრებული თქვენი როლი ამ მამულიშვილურ საქმეში. ყოველი ადამიანისგან ხმამაღალ მადლობას იმსახურებს პედაგოგის საღმრთო პროფესია, რადგან მასწავლებლის გარეშე ქვეყნად ვერცერთი ადამიანი ვერ შედგებოდა.

ძვირფასო მასწავლებლებო! ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელით მინდა კიდევ ერთხელ მოგესალმოთ და უღრმესი პატივისცემით მოგილოცოთ ქვეყნის თითოეული მოქალაქისთვის თავისი მნიშვნელობით გამორჩეული მასწავლებლის პროფესიული დღესასწაული, რომელიც მოახლოებულია.

ვიმედოვნებ, ხელისუფლებისა და პედაგოგიური საზოგადოების ურთიერთთანამშრომლობა, აზრთა შეჯერება, გვერდიგვერდ დგომა იქნება საფუძველი ჯერაც არსებული ბევრი პრობლემის გადაჭრისა, ბევრი სასიკეთო საქმის კეთებისა.

კვლავ მინდა გისურვოთ უდიდესი ძალისხმევა, გარჯა, ერის გონებრივი მღვიძარებისა და სულიერი სიმტკიცის შესანარჩუნებლად.

**მამუკა ჭოხონელიძე,**
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

## მასწავლებელი მოდის!

თენდება დილა საიადონო,
ბოლო ელება ლოდინს.
ქუდი მოიხადეთ
ბატონო ჩემო,
მასწავლებელი მოდის!
მოდის სამშობლოს
პატიოსნება,
ზარის დარეკვის დროა,
თაობავ ჩვენო,
ჩვენს მასწავლებელს
უბით სინათლე მოაქვს.
ამ წუთს ველოდით,
ამ წუთს ვნატრობდით,
გზა-გზა განიხვნენ ბჭენი,
ადექით ფეხზე,
კლასში შემოდის,
მასწავლებელი ჩვენი!

**შოთა ნიშნიანიძე**

## მაღალი ინტელექტი-თავისუფალი ქვეყნის მომავალი...

ახალი სასწავლო წელი თავისთავად ახალ სიმაღლეთა დამსახველია. სიმაღლისაკენ მიმავალი გზა კი პრეზიდენტისა და ხელისუფლების მიერ დასახულ განათლების პრიორიტეტულობაშია.

საქართველო მცირეა მასშტაბურად, მაგრამ აღიარებული ფენომენია ის დიდი სიმდიდრე, რასაც ინტელექტუალური რესურსი ჰქვია. ეს უდიდესი ღვთიური მადლია ჩვენს გენებში შეჭრილი და ამ მადლს მოვლა, სათანადო დროსა და ალაგზე დარგვა სჭირდება, რომ „მორჩმა კეთილმა“ სწორად იხაროს, განტოტდეს და ქვეყნის სამაგრ ძელქვად იქცეს.

სახელმწიფოს პრიორიტეტი ზედმიწევნით ნათლადაა გამოხატული–თავისუფალ ქვეყანას თავისუფლად მოაზროვნე თაობა სჭირდება, არა სხვათაგან ციტირებულნი, არამედ ახალ თეორიათა თავად შემქმნელნი, აქსიომათა და არასრულყოფილების სრულყოფილებამდე ამყვანნი. მათ ეს დრო ყველა წინაპირობას უქმნის.

ქვეყანაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი კანონმორჩილ და ტოლერანტ ადამიანებს მოითხოვს, რამეთუ ცოდნის და კანონის უზენაესობა უკვე ჩამოყალიბებულ ჩვევად უნდა ექცეთ ახალგაზრდებს. მათი შინაგანი სულიერი კანონი კი სულიერ მოძღვართა და აღმზრდელთა მიერ უნდა იქნეს ჩამოყალიბებული.

სწორედ დღეს ეყრება საფუძველი იმ პატარა პირველკლასელისა და მათი მშობლების მომავალს, რომელთაც განსაკუთრებით მინდა მივულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება.

მივესალმები ჩვენი მუნიციპალიტეტის ღირსეულ ახალგაზრდებს, რომლებმაც მაღალი რეიტინგული მაჩვენებლებით სწორედ დღეს შეაბიჯეს ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტებად.

ახალი სასწავლო წლის დაწყება პირველკლასელისა თუ პირველკურსელისა, სიხარულითა და სიამაყით აღავსებს ღვაწლმოსილ ხობელ პედაგოგებს, რომელთა ცოდნა, პროფესიისადმი დიდი სიყვარული ზრდიდა და ზრდის თაობებს.

ახალი სასწავლო წლის დაწყება მინდა მივულოცო პედაგოგებს, რომლებმაც რეფორმის ფარგლებში მიმდინარე სასერთიფიკაციო გამოცდებზე ღირსეული ცოდნა გამოავლინეს.

საქართველოს ყველა ოჯახს, განსაკუთრებით ხობელებს, რომლებიც ამ დღეს თანამდევი სიხარულით ხვდება, ვულოცავ და ვუსურვებ უფლის მადლით სავსე დღეებს, რომ მამულის სიყვარულით გაჯერებული გონისა და ნების, ნიჭისა და ინტელექტის ერთობით, უმაღლეს ზღვრამდე სრულყონ საკუთარი შესაძლებლობანი, რომ ხელისუფლების, მასწავლებლის, მშობლის აზრთა და სურვილთა ერთობლიობა წარმატებით განხორციელდეს თითოეულ მოზარდში და საქართველო ძლიერი ინტელექტისა და სულიერების მატარებელი თაობით წარუდგეს დროს მომავლისას.

**იგორ ტყებუჩავა,**
ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

## კადრები

**დაინიშნენ:**

ნატო ლომაია– შ. პ.ს. „ხობის მოამბე“-ს დირექტორად.

* * *

ბეჟან ნადარაია–ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორად.

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით

## გაზეთი „ახალი სამკუთხედი“

## მომავალი ნომრიდან გამოვა სახელწოდებით

# „ხობის მოამბე“

## მიხეილ სააკაშვილი: „საქართველომ ყველას დაანახა, რომ ენერგოუსაფრთხოების გარანტირება შეუძლია“



საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის შეფასებით, „საქართველომ ყველას დაანახა, რომ ენერგოუსაფრთხოების გარანტირება შეუძლია“.

ეს განცხადება პრეზიდენტმა ბაქოში, აზერბაიჯანელ და რუმინელ კოლეგებთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე საქართველოს გავლით კასპიური ენერგორესურსების ევროპაში ტრანსპორტირების შესახებ ხელშეკრულების მნიშვნელობაზე საუბრისას გააკეთა.

„საქართველომ ბოლო წლების განმავლობაში შესძლო, დაენახებინა ყველასთვის, რომ ენერგოუსაფრთხოების გარანტირება შეუძლია“, - აღნიშნა სააკაშვილმა.

ბაქოში აზერბაიჯანის, საქართველოსა და რუმინეთის ენერგეტიკული სამიტი გაიმართა. შეხვედრაში სამი ქვეყნის პრეზიდენტები - მიხეილ სააკაშვილი, ილჰამ ალიევი და ტრაიან ბასესკუ მონაწილეობდნენ.

სამი ქვეყნის ლიდერებმა საქართველოს გავლით კასპიური ენერგორესურსების ევროპაში ტრანსპორტირების თაობაზე ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი.

**„პირველი”**

## მიხეილ სააკაშვილი ილჰამ ალიევს შეხვდა



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აზერბაიჯანის პრეზიდენტს ილჰამ ალიევს ბაქოში, პრეზიდენტის სასახლეში პირისპირ შეხვდა.

როგორც საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, პრეზიდენტებმა პროტოკოლით გათვალისწინებულზე მეტ ხანს ისაუბრეს.

სააკაშვილმა და ალიევმა ორმხრივი ურთიერთობები და ის სტრატეგიული პროექტები განიხილეს, რომლებიც ბაქოში უმაღლეს დონეზე გაფორმდება.

ენერგეტიკულ სამიტში მონაწილეობის მისაღებად მიხეილ სააკაშვილი ბაქოში გაემგზავრა.

ბაქოს ენერგოსამიტში საქართველოს, აზერბაიჯანისა და რუმინეთის პირველი პირები მონაწილეობდნენ. სამიტი აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის გაზის ერთობლივ პროექტს ეხებოდა. სამი ქვეყნის პრეზიდენტებმა სამიტზე შესაბამის დეკლარაციაც გააფორმებს.

presa. ge

## საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო საზოგადოებას ქვეყნის მხარდაჭერისთვის მადლობას უხდის

საქართველოს ხელისუფლება და უშუალოდ პრეზიდენტი სააკაშვილი საერთაშორისო საზოგადოებას გაერო-ს გენერალური ასამბლეის 64-ე სხდომაზე ქვეყნის მხარდაჭერისთვის მადლობას უხდიან.

ამის შესახებ გამართულ ბრიფინგზე პრეზიდენტის პრეს-სპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა.

„გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს უპრეცედენტოდ დიდი მხარდაჭერა ჰქონდა. საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან დიდი მხარდაჭერის ნიშანია ასევე ჩვენს ქვეყანაში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი ქლინთონის, საფრანგეთის, ფინეთის და ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრების, სხვა მაღალი რანგის უცხოელი სტუმრების ვიზიტები, რაც შეიძლება, საერათაშორისო არენაზე გარღვევად შეფასდეს” - განაცხადა მანჯგალაძემ და ამ კონტექსტში პრეზიდენტ სააკაშვილის საფრანგეთში ამასწინანდელი ვიზიტი და პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისთან შეხვედრაც გაიხსენა.

იგი ქვეყნის ოკუპაციის საკითხსაც შეეხო და უმნიშვნელოვანესად შეაფასა ის ფაქტი, რომ რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული ქმედებები „ოკუპაციად“ უკვე რამდენიმე ქვეყნის პარლამენტებმა აღიარეს.

შეგახსენებთ, რომ გაერო-ს გენერალური ასამბლეის 64-ე სხდომაზე დევნილთა სტატუსის შესახებ ქართულ რეზოლუციას ორგანიზაციის წევრმა 50-მა ქვეყანამ დაუჭირა მხარი, 17-მა წინააღმდეგ მისცა ხმა, 86-მა კი თავი შეიკავა.

წელს ქართულმა რეზოლუციამ 2 ხმით მეტი მიიღო.

**„პირველი”**

## საფრანგეთი საქართველოს მთავრობის მიერ წამოწყებულ რეფორმებს მხარს უჭერს



საფრანგეთი საქართველოს მთავრობის მიერ წამოწყებულ რეფორმებს მხარს უჭერს. ამის შესახებ საფრანგეთის სახელმწიფო მინისტრმა ევროპულ საქმეთა საკითხებში პიერ ლელუშმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან თორნიკე გორდაძესთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საუბარი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებსა და ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობებს ეხებოდა.

„პიერ ლელუშმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საფრანგეთის მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის მიერ წამოწყებული რეფორმების გატარებასა და ქვეყნის მოდერნიზაციის, ასევე საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთერთობების განვითარების საკითხებში“, - განაცხადეს საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყებიდან.

**„პირველი”**

## ბრიუსელში ევროკავშირ-საქართველოს კომიტეტის რიგით მე-10 სხდომა გაიმართება

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა სერგი კაპანაძემ განაცხადა, შეხვედრაზე ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ირგვლივ მოლაპარაკებების მსვლელობა, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება და ზოგადად საქართველო-ევრპოკავშირის ურთიერთთობების მდგომარეობა განიხილება.

მისივე თქმით, ქართული მხრიდან შეხვედრაში მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანია, ხოლო ევროკავშირის მხრიდან ევროკომისიის საგარეო ურთიერთობათა გენერალური დირექტორატის აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების საკითხთა დირექტორატის ხელმძღვანელი გუნარ ვიგანდი მიიღებენ მონაწილეობას.

**„პირველი“**

## უახლოეს მომავალში ქართული და აფხაზური სახელმწიფო კომისიების ოფიციალური შეხვედრა გაიმართება



უახლოეს მომავალში, აფხაზეთში, 1991-1992 წლებში მიმდინარე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული მებრძოლების მოძიების ქართული და აფხაზური სახელმწიფო კომისიების ოფიციალური შეხვედრა გაიმართება.

„ჯი-ეიჩ-ენის” ინფორმაციით, მიმდინარე წლის 2 სექტემბერს ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის გალში უკვე გაიმართა რიგგარეშე შეხვედრა, რომელსაც აფხაზური მხრიდან გალის რაიონში რესპუბლიკის ე.წ. პრეზიდენტის ე.წ რწმუნებული, რუსლან ქიშმარია ესწრებოდა. აღნიშნულ შეხვედრაზე მხარეები მომდევნო რიგგარეშე შეხვედრის ჩატარების თარიღზე შეთანხმდნენ. „ჯი-ეიჩ-ენის” ინფორმაციით, კომისიების წარმომადგენლებს შორის მეორე რიგგარეშე შეხვედრა უახლოეს დღეებში გაიმართება, შემდეგ კი კომისიებს შორის უკვე ოფიციალური შეხვედრაც ჩატარდება.

ცნობისათვის, აღნიშნული რიგგარეშე შეხვედრა აფხაზური მხარის ინიციატივით განხორციელდა. 1991-1992 წლებში მიმდინარე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული მებრძოლების მოძიების სახელმწიფო კომისიას აფხაზ კოლეგებთან კავშირი 2003 წლიდან მოყოლებული არ ჰქონია.

სააგენტოს ხელთ არსებული ინფორმაციით, 2 სექტემბერს გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა ბაბუშერას სასაფლაოდან ქართველი ჯარისკაცების გადმოსვენების დეტალებზე ისაუბრეს. „ჯი-ეიჩ-ენის” ინფორმაციით, აღნიშნულ სასაფლაოზე 100-დე ქართველი ჯარისკაცის ცხედარი რჩება. სწორედ მათი გადმოსვენების დეტალებზე იქნება მსჯელობა კომისიების მომდევნო შეხვედრაზე.

შეგახსენებთ, რომ სეპარატისტულ აფხაზეთში 1992-1993 წ.წ. მიმდინარე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანების მოძიების ე.წ. სახელმწიფო კომისიამ მუშაობა განაახლა. სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. ვიცე-პრემიერის ლეონიდ ლაკერბაიას თქმით, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ამ კომისიის მუშაობა შეწყვეტილი იყო. კომისიის მონაცემებით, 1992-1993 წ.წ. მიმდინარე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგულია 200-მდე ადამიანი.

ცნობისათვის, 1991-1992 წლებში მიმდინარე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული მებრძოლების მოძიების სახელმწიფო კომისიის მონაცემებით, 90-იანი წლების დასაწყისში, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შედეგად 850 ქართველი ჯარისკაცი ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად.

**„ჯი-ეიჩ-ენი”**

## ყოველ სამშაბათს პრეზიდენტის პრესსპიკერის ტრადიციული ბრიფინგები გაიმართება




ამის შესახებ მანანა მანჯგალაძემ ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, მთელი კვირის განმავლობაში ნებისმიერ აქტუალურ საკითხზე ჟურნალისტებს საშუალება ექნებათ პრეზიდენტის პრესსამსახურს შეკითხვა გადაუგზავნონ, სამშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე კი პრესპიკერის საშუალებით, ქვეყნის პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის პოზიციას მოისმენენ.

„მოვუწოდებ ნებსმიერ მედიასაშუალებებს ვითანამშრომლოთ და ელექტრონული ფოსტის ან პრესსამსახურის საშუალებით გადმოგვიგზავნეთ შეკითხვები. სამშაბათის ტრადიციულ ბრიფინგებზე კი პრესსპიკერის საშუალებით, მიხეილ სააკაშვილი თავის პოზიციას დააფიქსირებს”, - განაცხადა მანჯგალაძემ.

**„ჯი-ეიჩ-ენი“**

## ხალხი და ხელისუფლება

# მორიგი შეხვედრა ახალსოფელში

ხობის მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებით ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა მეშვეობით, რაც შეიძლება სწრაფად და ეფექტურად უნდა მოგვარდეს პრობლემებით გამოწვეული სიძნელეები. ყოველივე ამის გათვალისწინებით, სოფელ ახალსოფლის მაცხოვრებლებს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი იგორ ტყებუჩავა შეხვდა. მოსახლეობამ გაჭიანურებულ გვალვებთან და ამორტიზირებული წყალსადენების უმოქმედებასთან დაკავშირებით მოითხოვა სასმელი წყლის პრობლემების გადაჭრა. გამგებელი ადგილობრივ მაცხოვრებლებს დაპირდა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულიქნება წყალსადენის სარეაბილიტაციო თანხები. სამუშაო შეხვედრას მობილური კავშირგამბულობის კომპანია „მობიტელის“ წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. კომპანიამ წარმოადგინა პროექტი სოფელ ახალსოფელში საბაზო სადგურის განთავსების შესახებ. შეხვედრისას „მობიტელის“ წარმომადგენლებმა ადგილობრივ ხელისუფლებას საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ჩასატარებლად თანადგომა თხოვეს, რადგანაც უნდა განისაზღვროს გრუნტის ვარგისიანობა საბაზო სადგურის განთავსებისათვის, რამაც მოსახლეობაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. გამგებელი მათ დაპირდა, რომ პროექტის შესაძლო განხორციელების შემთხვევაში, მაქსიმალურად იქნებოდა გათვალისწინებული და დაცული თითოეული მოსახლის ინტერესი.

## მიმდინარეობს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა



გამგებელი შეხვდა სოფელ ჭალადიდის მაცხოვრებლებს, რომელთა საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზეც უნდა გაიაროს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემმა ხაზებმა, მენჯიდან ფოთამდე თავისუფალ ზონამდე შ.პ.ს. ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ მიმდინარეობს მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზების მშენებლობა, ჭალადიდის ტერიტორიაზე სულ დაიდგმება 30 ანძა, რომლის მშენებლობაც უახლოეს ხანში განხორციელდება. გამგებელმა შეკრებილ მოსახლეობას მიაწოდა ინფორმაცია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ და შეპირდა, რომ მისი განხორციელებისას მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული და დაცული თითოეული მოსახლის ინტერესები, მათ შორის კომპენსაციების გაცემის გზითაც.

## ხობის მუნიციპალიტეტის სოფლებში ხანძრის შემთხვევის რამდენიმე ფაქტი დაფიქსირდა



ხობში ხანძრის შემთხვევის რამდენიმე ფაქტი დაფიქსირდა. სოფელ საჯიჯაოში (ჯაპიშაქრის უბანში) ცეცხლი გაუჩნდა ვახტანგ თირქიას და ლილი კუჭავას საკარმიდამო ფართობებს, ზემო ქვალონში ცეცხლი მოედო მაღალი ძაბვის №8 ქვესადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ეკალ-ბარდებს და საჭანტურიოს უბანში 5 ჰექტარამდე ჩაის მასივს, იყო საშიშროება ცეცხლი გადასულიყო სავარგულებსა და ბაღებზე, თუმცა მეხანძრეებმა ხანძრის ლოკალიზება დროულად მოახდინეს. აგრეთვე შემოვიდა ინფორმაცია პირველ ხორგაში ცეცხლის ახალი კერის გაჩენის თაობაზე. ცეცხლი მოედო ყოფილი მეცხოველეობის ფერმის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთს. მობილიზებული იყო დასავლეთ მიმართულების შინაგან საქმეთა №2 სამმართველო, სენაკის №2 სამხედრო საჯარისო დანაყოფი, ხობის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლები, ზუგდიდის სამხარეო პოლიცია. ადგილზე მუშაობდა აბაშის, ზუგდიდის, ხობის, სახანძრო –სამაშველო სამსახურის მანქანები, რომელთა ძალისხმევითაც ლოკალიზებულიქნა ცეცხლის კერები. ამდროისათვის ხანძრის საშიშროება არ არსებობს. ცეცხლის გაჩენის სავარაუდო მიზეზად სიცხე და ქარი სახელდება.

## გვალვებმა ნათესები დააზარალა

ინტენსიურმა გვალვებმა სერიოზული ზარალი მიაყენა ხობის მუნიციპალიტეტის სოფლებს. გამგეობის რწმუნებულთა მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების წინასწარი პროგნოზით, ერთწლიანი კულტურების მოსავლის 40/50 % განადგურებულია, რაც უკვე სერიოზულ ზარალზე მიგვანიშნებს. გვალვებითაა გამოწვეული სასმელი წყლის დეფიციტიც. არტეზიულ ჭებში წყლის დებეტი მცირეა ან საერთოდ დაშრა. ზიანი მიადგა ბოსტნეული და მარცვლეული კულტურების ნათესებს, რადგან ვერ ხერხდება მათი მორწყვა. ხმობა დაიწყო ისეთმა კულტურებმაც, როგორიცაა ფეიხოა, კივი, ვაზი ..მოსახლეობის ნაწილმა უკვე დაიწყო გამხმარი ყანების აჭრა. გვალვა სერიოზულ გამოცდას უწყობს მეურნე კაცს. მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი იგორ ტყებუჩავა ადგილზე ეცნობა შექმნილ სიტუაციებს და ხვდება მოსახლეობას. მათი თხოვნის გათვალისწინებით იქ, სადაც ჭები დამშრალია და წყალსადენები არ მუშაობს, ცისტერნებით ადგილზე ხდება წყლის მიწოდება.

## ხობის № 2 საბავშვო ბაგა-ბაღში პირველი ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა



სასწავლო პროცესი სკოლამდელი სააღმრზდელო გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულებში 1-სექტემბერს განახლდა, მათ შორის ხობის №2 საბავშვო ბაგა-ბაღშიც. სასწავლო პროცესის დაწყებამდე ბაღს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი, პროექტის ფარგლებში გარემონტდა ბაგის ჯგუფის ოთახი თავისი სველი წერტილებითა და შესასვლელით. რემონტი ჩაუტარდა შენობის პირველი სართულის წინა ფასადს, მომავალში იგეგმება მეორე ეტაპის სამუშაოები. შესრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა იგორ ტყებუჩავამ.

## მოსწავლე -ახალგაზრდობის სასახლე განახლდა

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის განახლებული საკონცერტო დარბაზის პრეზენტაციას მიეძღვნა საზეიმო ღონისძიება, რომელიც 6 სექტემბერს ქალაქ ხობში გაიმართა. მოსწავლეახალგაზრდობამ მიიღო შესანიშნავი საჩუქარი, განახლებული საკონცერტო დარბაზის სახით, სარეაბილიტაციო სამუშაოები დაფინანსდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან და ამიერიდან 15 წლის შესვენების შემდეგ მუნიციპალიტეტის მოსწავლეახალგაზრდები კომფორტულ, თბილ და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ დარბაზში გააგრძელებენ შემოქმედებით მეცადინეობებს .

განახლებული სასახლის გახსნა საზოგადოებას და მოსწავლეებს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა იგორ ტყებუჩავამ მიულოცა და უსურვა, რომ ,,....ის სააგიტაციო-სარეკლამო დაფა, რომელიც არის ამ შენობის წინ, სისტემატურად ყოფილიყოს დატვირთული და გვამცნობდეს ახალ-ახალი ღონისძიებების თარიღს...” გამგებელი მიესალმა სასახლეში მოღვაწე პედაგოგებს და მოწიწებით გაიხსენა ის პედაგოგებიც, რომლებიც წლების განმავლობაში მოღვაწეობდნენ სასახლეში და ზოგიერთი მათგანი დღესაც განაგრძობს აქტიურ თანამშრომლობას სასახლის აღსაზრდელებთან ,,...მინდა გავიხსენო ის შესანიშნავი პედაგოგები, რომლებიც მაშინაც ამშვენებდნენ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეს და დღესაც ძველი შემართებით მოღვაწეობენ: ქალბატონი მერი აბრამია ამ სასახლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი დირექტორი, ისტორიის მასწავლებელი ქალბატონი ეთერი ბიწაძე, ბატონი შალვა ხარებავა, რომელიც წლების განმავლობაში განათლების განყოფილებას ხელმძღვანელობდა..” გამგებელმა მადლობა გადაუხადა მშენებლებსაც სამუშაოების კეთილსინდისიერად ჩატარებისათვის და სასახლის მოსწავლე-ახალგაზრდებს და მასწავლებლებს შემდგომ საქმიანობაში წარმატებები უსურვა .

## სტარტი აიღო ხობის მუნიციპალიტეტის პირველობამ მინი-ფეხბურთში



7 სექტემბერს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ წარმოება-დაწესებულებებს შორის, სტარტი აიღო ხობის მუნიციპალიტეტის პირველობამ მინი-ფეხბურთში, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სოფელ ხურჩაში ტრაგიკულად დაღუპული პოლიციელის რამაზ კიტიას სახელობის თასის გათამაშებას მიუძღვნა. შეჯიბრებაში მონაწილეობას ღებულობდა 8 გუნდი. პირველ მატჩში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გუნდმა 4:2 დაამარცხა დაცვის პოლიციის გუნდი. „შარაგზამშენი“-ს გუნდმა 3:1 სძლია ჯანდაცვის გუნდს.

მასალები მოგვაწოდა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფორმაციის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა.

→ 5

## ინტერვიუ



*ჩვენი გაზეთის წარმომადგენელი ხობის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის უფროსს ქალბატონ ხათუნა გერგაიას ესტუმრა და მას რამდენიმე კითხვით მიმართა.*

***–რა მნიშვნელოვანი ცვლილებები იყო გასულ სასწავლო წელს, რა სიახლეებია მოსალოდნელი მიმდინარე სასწავლო წელს?***

პირველ რიგში მოგესალმებით ქალბატონო მანანა, გილოცავთ ახალ თანამდებობას, გისურვებთ პროფესიულ წინსვლას ამ ამპლუაში, თქვენს გაზეთს კი ვუსურვებ საინტერესო სტატიებს და მეტ მკითხველს.

დიდი ხანია ხობის საზოგადოებას თქვენი გაზეთის საშუალებით არ მივსალმებივარ, გმადლობთ იმისათვის, რომ ამის საშუალება მომეცით. შევეცდები, კონკრეტულად ვუპასუხო თქვენს შეკითხვებს და მაქსიმალურად დავაკმაყოფილო ხობელთა ინტერესი მითუმეტეს, სასწავლო წლის დასწყისში დიდია საზოგადოების მოლოდინი დაგეგმილი სიახლეების მიმართ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2010-2011 სასწავლო წელს პრიორიტეტად დასახა შემდეგი სახის გამოწვევები:

სასკოლო ატესტატის მნიშვნელობის გაზრდა; მოსწავლეთა მაღალი დასწრების უზრუნველყოფა; ეროვნული სასწავლო გეგმის დახვეწა და განვითარება; სახელმძღვანელოების ხარისხის გაუმჯობესება; მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლება და სერტიფიცირება; ადგილობრივი თვითმმართველობების აქტიური ჩართვა განათლების პროცესში; ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

მოგახსენებთ, 2010-2011 წლის გამოწვევების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის ფარგლებში განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ

**სასკოლო ატესტატის მნიშვნელობის გაზრდა**

20011 წლიდან მე-12 კლასის მოსწავლეებს სასკოლო ატესტატის ასაღებად ძირითად საგნებში (8 საგანში) მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა ეროვნულ საგამოცდო ცენტრებში მოუწევთ. გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ხობის მუნიციპალიტეტის ორ საჯარო სკოლაში (ხეთის და ძველი ხიბულის) ყველა საგანში ჩაატარა მე-12 კლასელთა საგამოცდო ტესტების აპრობაცია.

2010-2011 სასწავლო წლიდან ყველა სკოლის მე-12 კლასში დაგეგმილია ინტენსიური მომზადების ხელშეწყობა მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ჩასაბარებლად. საათობრივ ბადეში უკვე ყველა საგანში გათვალისწინებულია კურსი აბიტური. თითოეულ საგანში წლიურად 36 საათი საშუალებას მისცემს მოსწავლეს, გაიმეოროს კონკრეტული საგნის სასწავლო კურსი.

**მასწავლებელთა ნებაყოფლობითი სერტიფიცირება 2010 წლიდან**

ხობის მუნიციპალიტეტის ფარგლებში რეგისტრაცია გაიარა და სასერტიფიკატო გამოცდებში მონაწილეობა მიიღო 193–მა პედაგოგმა, მათგან ორ გამოცდას პროფესიულ უნარებში და სპეციალობაში 128 პედაგოგი აბარებდა. ორივე გამოცდაში კომპეტენციის მინიმალური ზღვარი გადალახა და სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და უცხო ენის 9 პედაგოგს. გამოცდა პროფესიულ უნარებში ჩააბარა 19, ხოლო სპეციალობაში-21 პედაგოგმა.

ბარიერის ვერ გადალახვის შემთხვევაში, პედაგოგი გააგრძელებს მუშაობას და 2014 წლამდე მას რამდენჯერმე მიეცემა საშუალება გავიდეს განმეორებით გამოცდაზე.

რაც შეეხება სერთიფიცირებულ მასწავლებლებს, მინისტრის განცხადებით, მათ არა მხოლოდ ხელფასი მოემატებათ, არამედ მიეცემათ მენტორ მასწავლებლად მუშაობის შესაძლებლობა

**მუდმივი პროფესიული განვითარების ტრენინგები**

მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებისათვის ხობის მუნიციპალიტეტის მასწავლებლებზე გაიცა სახელმწიფოს დაფინანსების 338 ვაუჩერი. (თითო ვაუჩერი–60 კრედიტ საათი). მათ შორის: ტრენინგები საგნობრივ კომპეტენციაში გაიარა 158 მასწავლებელმა, ხოლო პროფესიულ უნარებში გაიარა 184 მასწავლებელმა.

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების უკეთ შესწავლის მიზნით ვირტუალური ლაბორატორიების გამოყენება**

ხობის 2 საჯარო სკოლაში მიმდინარეობს სასკოლო ვირტუალური ლაბორატორიის პილოტირება საბუნებისმეტყველო საგნებში (ფიზიკა, ქიმია და მათემატიკა).

რესურსცენტრში მოეწყო ვირტუალური ლაბორატორიის პროგრამის განხილვა მასწავლებელთათვის .

ახალი სასწავლო წლიდან დაიწყება პროგრამის განზოგადება სხვა სკოლებშიც.

**ფიზკულტურის გაკვეთილებს ჩაანაცვლებს სპორტი.**

უკვე ყველა საჯარო სკოლამ შეარჩია სპორტის ის სამი სახეობა, რომელიც დაინერგება ახალი სასწავლო წლიდან.

ხობის მუნიციპალიტეტში 20 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე მიმდინარეობდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები პედაგოგებისათვის.

დასრულდა ტრენინგები:

სამოქალაქო თავდაცვასა და უსაფრთხოებაში. 28 მასწავლებელი გადამზადდა მე-12 კლასში სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების სწავლებისათვის.

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში (ICT) საბაზო და მეორე დონის კურსებში 115 მასწავლებელი გადამზადდა.

მათემატიკის, ქიმიის და ფიზიკის მასწავლებლებისთვის ვირტუალური ლაბორატორიების გამოყენებაში გადამზადდა 81 პედაგოგი.

„სადამრიგებლო საათის პროგრამის“” დაწყებითი (პირველი - მეოთხე) კლასების დამრიგებლებისათვის. გადამზადდა 28 პედაგოგი.

სპორტის მასწავლებელთათვის. გადამზადდა 48 პედაგოგი.

**ადგილობრივი თვითმმართველობის დაინტერესება განათლების სფეროში სხვადასხვა ღონისძიებების განსახორციელებლად**

უკვე მეორე წელია ადგილობრივი თვითმართველობა უზრუნველყოფს ოპტიმიზებულ სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირებას. წელს ამ მიზნით 9 საჯარო სკოლას გამოყო 45 ათასი ლარი.

**–რა მიღწევებით დაასრულეთ გასული სასწავლო წელი?**

ხობის სკოლები აქტიურად არიან ჩართულნი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ადგილობრივ ოლიმპიადებსა და კონკურსებში. წელს ხობმა არაერთხელ უმასპინძლა საგანმანათლებლო კონკურსების რეგიონულ ტურებს.

მნიშვნელოვანი იყო ხობელი მოსწავლეების წარმატებები 2010 წლის ეროვნულ სასკოლო ოლიმპიადაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ხობის მუნიციპალიტეტის 1401–მა მოსწავლემ, ოლიმპიადის მეორე ტურში გადავიდა 30 მოსწავლე. სხვადასხვა საგნებში დასკვნით მესამე ტურში გავიდნენ:

**მაია იოსავა** –რუსული ენა /ქ. ხობის 1 საჯარო სკოლა

**მედეა ცხომარია** – ბიოლოგია/ ქ. ხობის 1 საჯარო სკოლა

**შოთა თუთბერიძე** – ქართული ენა და ლიტერატურა / ქ. ხობის 2 სკოლა

**ნიკა სერგია** – ისტორია/ ქიმია, გერმანული ენა/ქ. ხობის 2 საჯარო სკოლა

**მამუკა ბუბუტეიშვილი** – ისტორია/ ქ. ხობის 2 საჯარო სკოლა

**ლევან საბახტარაშვილი** – გეოგრაფია/ საერო საშუალო სკოლა „არეა.“

**აკაკი ღურწკაია** – გერმანული ენა/ ახალი ხიბულის საჯარო სკოლა.

**ფინალურ ათეულში გავიდნენ:**

**ნიკა სერგია** –გერმანული ენა/ქ. ხობის 2 საჯარო სკოლა.

**აკაკი ღურწკაია** – გერმანული ენა/ ახალი ხიბულის საჯარო სკოლა.

**მამუკა ბუბუტეიშვილი** - ისტორია/ქ. ხობის №2 საჯარო სკოლა. მესამე საპრიზო ადგილი, გადაეცა ფულადი პრემია 500 ლარის ოდენობით.

**ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში გამარჯვებულ მოსწავლეთა მასწავლებლები**

ქეთევან გაბისონია – ხობის 2 საჯარო სკოლის დირექტორი,

**ნანა ქვარაია** – ხობის 2 საჯარო სკოლის დირექტორი,

**ლუიზა ერემაძე** – ხობის 1საჯარო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი,

**მედეა ვარდია** – ხობის 2 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

**ლელა კიტია** – ხობის 2 საჯარო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი

**რუსუდან კუტუბიძე** – ხობის 2 საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი

**ნანა ქარცხია** – ახალი ხიბულის საჯარო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი

**მანანა წულეისკირი** – საერო სკოლა „არეა”

**სხვადასხვა საგანმანათლებლო კონკურსები**

უკვე მეორე წელია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით წარმატებით ხორციელდება ინგლისურენოვანი საზაფხულო ბანაკების პროექტი. შარშან ხობის მუნიციპალიტეტის 10 წარჩინებულ მოსწავლეს ერგო პატივი, გაეტარებინა 24 დაუვიწყარი დღე თავის თანატოლებთან ერთად. მათ შორის ხობის №1 საჯარო სკოლის მოსწავლე ნიკა კემულარია, როგორც ყველაზე წარმატებული მოსწავლე, ერთი თვით იმყოფებოდა დიდ ბრიტანეთში.

წელს საზაფხულო ინგლისურენოვან ბანაკში მიწვეული იყვნენ: **ლევან საბახტარაშვილი**, როგორც ეროვნულ სასკოლო ოლიმპიადის გეოგრაფიის მე–3 ტურში გასული მოსწავლე– საერო სკოლა „არეა“.

**დავით კვარაცხელია**, როგორც საერთაშორისო კონკურს„ალიენტეს'' დასკვნით ტურში გასული მოსწავლე– საერო სკოლა „არეა“.

ასევე **„ქართული კალიგრაფიის კონკურსში“** გამარჯვებული მოსწავლეები:

**სოფიო არაჰამია** – პირველი მაისის საჯარო სკოლა

**თამარ მაქაცარია; შორენა სარალიძე; თამარ რიჟამაძე; ნანი სარალიძე**– ჭალადიდი საჯარო სკოლა

უკვე მეოთხე წელია, მეუფე გრიგოლის კურთხევით ეპარქიაში მიმდინარეობს **ინტელექტუალური თამაში „გლობუსი”.** ხობელი მოსწავლეები საპრიზო ადგილებს და კონკურსის გარდამავალ მთავარ პრიზს, გლობუსს, არ უთმობენ სხვა მუნიციპალიტეტის მოსწავლეებს.

**ნიკა სერგია, მამუკა ბუბუტეიშვილი** – კონკურსის გამარჯვებულები, **ანა კეკელია, გოგა ლატარია, დავით ჩიქოვანი** – კონკურსის ფინალისტები.

ქართული ენის დღესთან დაკავშირებით გამოცხადებულ კონკურსში ხობის №2 საჯარო სკოლის მოსწავლემ, ნიკა სერგიამ, რესპუბლიკური პირველი ადგილი დაიმსახურა.

**კონკურსების რეგიონულ ტურში გავიდნენ:**

**კონკურსი „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას.“**

ახალსოფლის საჯარო სკოლის გუნდი, მასწავლებელი: **ქეთევან გიორგაძე–ბარბაქაძე**. გუნდმა წარმატებით იასპარეზა ფინალურ ტურამდე.

ხობის №2 საჯარო სკოლის გუნდი, მასწავლებელი **ლალი კიტია**.

ხამისქურის საჯარო სკოლის გუნდი, მასწავლებელი: **ლატავრა ბუკია.**

**„სკოლბურთი 2010“**–ხობის №1 საჯარო სკოლის გუნდი.

**ოქროსა და ვერცხლის მედალოსნების მხარდაჭერის პროგრამაზე და ეროვნულ გამოცდებზე მიღწეულ შედეგებზე რას გვეტყვით?**

ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე, 10 ივნისს ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ ქ. ხობის №1 საჯარო სკოლაში ორგანიზებულ იქნა სააპრობაციო გამოცდა ზოგად უნარებში. სააპრობაციო გამოცდაში მონაწილეობა მიიღო 120–მა ხობელმა აბიტურიენტმა.

წელს მუნიციპალიტეტის მასშტაბით დარეგისტრირებულია 184 აბიტურიენტი. პირველადი ჩარიცხვების შედეგებით, საქართველოს სხვადასხვა აკრედიტირებული სასწავლებლის სტუდენტი გახდა 112 აბიტურიენტი, აქედან 100%-იანი დაფინანსება 5-მა სტუდენტმა მიიღო, 70%-6სტუდენტმა, 50%–7 სტუდენტმა, 30%–12 სტუდენტმა.

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს წარჩინებული მოსწავლეების მხარდაჭერის პროგრამას. საბაზო საფეხურზე წარმატებულ მოსწავლეებს საჩუქრად გადაეცემათ კომპიუტერები (ლეპტოპები), ხოლო წარმატებულ კურსადამთავრებულებს ოქროსა და ვერცხლის მედლები.

შარშან მუნიციპალიტეტში კომპიუტერები (ლეპტოპები) გადაეცა 19 მოსწავლეს.

წელს კომპიუტერები გადაეცემა მუნიციპალიტეტის მე–10 კლასის 6 წარმატებულ მოსწავლეს:

**ლევანი საბახტარაშვილი** –საერო საშუა სკოლა „არეა“.

**თეა აბშილავა** –თორსის საჯარო სკოლა.

**მელდა შონია** –ზემო ქვალონის საჯარო სკოლა.

**მარიამ ფაღავა** –ჭალადიდის საჯარო სკოლა.

**ნიკა ფანცულაია** –ჭალადიდის საჯარო სკოლა.

**ნინო კაკაბაძე** –ხეთის საჯარო სკოლა

შარშან ხობის მუნიციპალიტეტში გაიცა 4 ოქროს და 15 ვერცხლის მედალი. წელს მუნიციპალიტეტის ფარგლებში გვყავს 16 ოქროს და 13 ვერცხლის მედალოსანი.

მათ შორის პირველადი ჩარიცხვების შედეგად სტუდენტი გახდა 26 მოსწავლე.

იხ. დანართი –ცხრილის სახით.

**_ რა ძირითადი სიახლეებია ახალ სასწავლო წელს?**

წელს პირველად საქართველოში 2010 სასწავლო წელს ყველა სოციალურად დაუცველი მოსწავლე პირველი კლასიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით სახელმწიფოსგან სასკოლო სახელმძღვანელოებს უსასყიდლოდ მიიღებს. მ.შ. ხობის მუნიციპალიტეტის 729 მოსწავლე.

მოსწავლეები წიგნებს თავიანთ სკოლებში სწავლის დაწყებამდე მიიღებენ.

მომავალში სახელმძღვანელოები სკოლის ბიბლიოთეკებს დარჩება და შემდგომში მის გამოყენებას სხვა სოციალურად დაუცველი ბავშვები შეძლებენ.

ამ პროგრამის განხორცილებისთვის სახელმწიფომ 8 მილიონი ლარი გამოყო.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გადაწყვეტილებით დადგინდა სწავლის დაწყებისა და დასრულების კონკრეტული ვადები, რომელიც მომავალში არ შეიცვლება. სასწავლო წელი **დაიწყება 15 სექტემბერს და დამთავრდება 15 ივნისს, გარდა I და XII კლასელებისა, ისინი დაამთავრებენ სასწავლო წელს 20 მაისს; ზამთრის არდადეგები დაიწყება 24 დეკემბერს და დასრულდება 20 იანვარს. სააღდგომო არდადეგები დაიწყება ყოველ დიდ ხუთშაბათს და დასრულდება მომდევნო კვირის ოთხშაბათს.**

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები გადადიან სემესტრულ სწავლებაზე (განისაზღვრა 2 სემესტრი);

ხობში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების პროექტის – ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად– ფარგლებში ჩამოვიდა ორი ინგლისურენოვანი პედაგოგი. ხობის №1 საჯარო სკოლაში –ირლანდიის მოქალაქე ფინდლი ბრაუნი, ხოლო ქვემო ქვალონის საჯარო სკოლაში– აშშ–ს მოქალაქე ალიშა გრიფინი. უცხოელ პედაგოგთა შემდეგი ჯგუფი იმუშავებს ხობის №2, შუა ხორგის, პირველი მაისის, ჭალადიდის საჯარო სკოლებში.

სიახლეა ეროვნულ სასწავლო გეგმაში.

სხვა ზემოთ აღნიშნულ სიახლეებთან ერთად (სპორტის, უსაფრთხოების და სადამრიგებლო საათის შემოტანა) საათობრივ ბადეში განსაზღვრულია დამატებითი საათები კომპიუტერული სწავლებისა და ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების მიზნით.

დამტკიცდა დირექტორის, მასწავლებლისა და მოსწავლის ეთიკის კოდექსი. ყველა სკოლამ განიხილა და შესაბამისად შეტანილ იქნა ცვლილება სკოლის შიანაგანაწესში.

როგორც ხედავთ, მიღწეული არც თუ ცოტაა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ 2009-2010 სასწავლო წელი ხობის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სისტემისათვის საკმაოდ წარმატებული გახლდათ. თუმცა ახალი წელი ახალი გამოწვევების წინაშე გვაყენებს. პრიორიტეტული კვლავ განათლების ხარისხი იქნება. ზოგადი განათლების სფეროს მიზანიც ხომ ისაა, რომ შექმნას პირობები ყველა კურსდამთავრებულთათვის, რათა მათ შეძლონ კომუნიკაცია სახელმწიფო და სხვა ენებზე, ბუნებრივ და სოციალურ და ინფორმაციულ გარემოსთან ურთიერთობა, შეძლონ გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, იყონ კანონმორჩილი, შეეძლოთ საკუთარო ქვეყნის პრიორიტეტების განსაზღვრა. თავიანთი შესაძლებლობების მუდმივად განვითარება.

ამის მიღწევა იოლი არ არის. შედეგების მიღწევა უდიდეს ძალისხმევას და პროფესიონალიზმს მოითხოვს პედაგოგიური კოლექტივებისგან. ხობის მონიციპალიტეტს ნიჭიერი, ენერგიული პედაგოგები ჰყავს და დარწმუნებული ვარ, ისინი ამ გამოწვევებს იოლად გაუმკლავდებიან.

მინდა მათ მივულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება. ვუსურვო წარმატებები პირად და პროფესიულ საქმიანობაში.

წინ საინტერესო სამუშაო და მრავალი გამარჯვება გველოდება.

**ესაუბრა მანანა შულაია**

# წინ საინტერესო სამუშაო და მრავალი გამარჯვება გველოდება

| № | სკოლა | სახელი | სგვარი | ოქრო/ ვერცხლი | სასწავლებელი | ფაკულტეტი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქ.ხობის №1 საჯარო სკოლა | ანა | კეკელია | ოქრო | ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ | სოც. და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი |
| 2 | ქ.ხობის №1 საჯარო სკოლა | მარიკა | ჯობავა | ოქრო | ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ | სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი |
| 3 | ქ.ხობის №1 საჯარო სკოლა | მარიამ | ჯორჯიკია | ოქრო | სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი | სოც. და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი |
| 4 | ქ.ხობის №1 საჯარო სკოლა | თათია | ნანეიშვილი | ოქრო | ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ | სოც. და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი |
| 5 | ქ.ხობის №1 საჯარო სკოლა | ნიკა | კემულარია | ოქრო | თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი | ბიზნესის სკოლა |
| 6 | ქ.ხობის №1 საჯარო სკოლა | მარიამ | ცხომარია | ვერცხლი ? | საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათ უნივერს | სოციალურ მეცნიერებათა და ბიზნესის ფაკულტეტი |
| 7 | ქ.ხობის №1 საჯარო სკოლა | მედეა | ცხომარია | ოქრო | თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | მედიცინის ფაკულტეტი |
| 8 | ქ.ხობის №2 საჯარო სკოლა | ნიკა | სერგია | ოქრო | ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ | სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი |
| 9 | ქ.ხობის №2 საჯარო სკოლა | შოთა | თუთბერიძე | ოქრო | ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ | სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი |
| 10 | ქ.ხობის №2 საჯარო სკოლა | მამუკა | ბუბუტეიშვილი | ოქრო | ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ | სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი |
| 11 | ქ.ხობის №2 საჯარო სკოლა | მარიამ | ბაძაღუა | ვერცხლი | თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | მედიცინის ფაკულტეტი |
| 12 | ქ.ხობის №2 საჯარო სკოლა | მარიკა | ანთია | ვერცხლი | ———————— | |
| 13 | ქ.ხობის №2 საჯარო სკოლა | თამარ | ლაგვილავა | ვერცხლი | თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | მედიცინის ფაკულტეტი |
| 14 | ხამუსქურის №1 საჯარო სკოლა | ნინო | მეუნარგია | ვერცხლი | ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი | სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი |
| 15 | ჭალადიდის №1 საჯარო სკოლა | თამთა | სართანია | ვერცხლი | ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი | მედიცინის ფაკულტეტი |
| 16 | ჭალადიდის №1 საჯარო სკოლა | ლაშა | რიჟამაძე | ვერცხლი | ქუთაისის უნივერსიტეტი | ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი |
| 17 | ჭალადიდის №1 საჯარო სკოლა | თორნიკე | ხურცილავა | ვერცხლი | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | სამშენებლო ფაკულტეტი |
| 18 | ჭალადიდის №1 საჯარო სკოლა | ილონა | ტორჩინავა | ვერცხლი | ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი | საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი |
| 19 | ხეთის №1 საჯარო სკოლა | ლევანი | ბუკია | ოქრო | ———————— | |
| 20 | ხეთის №1 საჯარო სკოლა | თეონა | ძიძარია | ოქრო | საქართველოს სახელმწიფო აგრარული | ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტი |
| 21 | ხეთის №1 საჯარო სკოლა | ნანა | კუკავა | ოქრო | ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ | ჰუმანიტარულ-სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი |
| 22 | ხეთის №1 საჯარო სკოლა | ნანი | კუჭავა | ვერცხლი | ———————— | |
| 23 | ხეთის №1 საჯარო სკოლა | მარინა | მეუნარგია | ვერცხლი | აგრარული უნივერსიტსტი | ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტი |
| 24 | ახალი ხიბულის საჯარო სკოლა | აკაკი | ღურწკაია | ოქრო | თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი |
| 25 | ქვემო ქვალონის საჯარო სკოლა | ლაშა | ჭანტურია | ვერცხლი | კავკასიის უნივერსიტეტი | კავკასიის ბიზნესის სკოლა |
| 26 | საერო საშუალო სკოლა „არეა“ | ქრისტინე | ბუსქანძე | ოქრო | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | ჰუმანიტარულ-სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი |
| 27 | საერო საშუალო სკოლა „არეა | ელმირა | კუპრეიშვილი | ოქრო | კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი | ბიზნესის ფაკულტეტი |
| 28 | საერო საშუალო სკოლა „არეა | თამთა | ბუკია | ოქრო | კავკასიის უნივერსიტეტი | კავკასიის სამართლის სკოლა |
| 29 | საერო საშუალო სკოლა „არეა | ანანა | სიჭინავა | ვერცხლი | ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი | მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი |

3 ←

## ინგლისურენოვანი უცხოელი მოხალისეები უკვე ხობში არიან



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამა: ,,ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად” ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში ჩამოვიდა ორი ინგლისურენოვანი მოხალისე მასწავლებელი: ალაიშა გრიფინი, რომელიც განაწილებულია ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის საჯარო სკოლაში და ფენდლი ბრაუნი– განაწილებულია ქალაქ ხობის № 1 საჯარო სკოლაში. სექტემბრიდან ისინი ინგლისურს მოსწავლეებს ქართველ მასწავლებლებთან ერთად შეასწავლიან.

სამუშაო შეხვედრა გაიმართა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელთან, რომლის ფარგლებში ისაუბრეს მასწავლებელთა გეგმებზე. სტუმრებმა კმაყოფილება გამოთქვეს მასპინძელი მხარის მიმართ და დასძინეს, რომ უახლოეს დროში მათ რიცხვს მიემატება კიდევ სამი ინგლისურენოვანი მასწავლებელი, რომლებიც 15 სექტემბრიდან სწავლის პროცესში აქტიურად ჩაერთვებიან.

## წელს ხობს 16 ოქროსა და 13 ვერცხლის მედალოსანი ჰყავს



ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრში, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ხობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების წარჩინებულ კურსდამთავრებულებს შეხვდა. მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ ქალბატონმა რალა ჩემიამ პირადად გადასცა ჯილდო: ოქროსა და ვერცხლის მედლები. წელს ხობს 16 ოქროსა და 13 ვერცხლის მედალოსანი ჰყავს. უკვე მეორე წელია კურსდამთავრებულებს პრეზიდენტის ჯილდო: ვერცხლისა და ოქროს მედლები გადაეცემათ. ოქროსა და ვერცხლის მედლებს სიმბოლური დატვირთვა აქვს და მათ იმ კურსდამთავრებულებს გადასცემენ, რომლებიც სწავლაში მიღწეული წარმატებებით გამოირჩევიან.

## საგანმანათლებლო რესურსცენტრში საჯარო სკოლების დირექტორების და მასწავლებლების სამუშაო შეხვედრა შედგა



ხობის საგანმანათლებლო რესურცენტრში დირექტორის და მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის და მოსწავლის ქცევის კოდექსის საბოლოო ვარიანტი განიხილება. სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობდენ საჯარო სკოლების დირექტორები და მასწავლებლები . კოდექსის განხილვის გათვალისწინებით შემუშავდება სკოლების ერთიანი შინაგანაწესის პროექტი.

**მასალები მოგვაწოდა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფორმაციის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა.**

## „შენ შეგვეწიე უფალო!..“



ერთი ჩინური ანდაზა ამბობს–,,ბედნიერია, ვინც თავის ცხოვრებაში მასწავლებელს შეხვდაო!“ მასწავლებელი ყოველთვის იმედი და დასაყრდენი იყო და იქნება ჩვენი საზოგადოებისათვის, მისი აუდიტორია კი–ყველაზე დიდი.

დღეს კარგი პედაგოგი კი ის არის, ვისაც შეუძლია ბავშვს მისცეს ღრმა ცოდნა და სწავლების უნარი. აღზარდოს ადამიანი, რომელსაც აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, ასწავლოს ცხოვრება მომავლის სამყაროში. პედაგოგის შრომის ნაყოფიც იზომება ჟურნალში არა მხოლოდ კარგი და ცუდი ნიშნებით, არამედ მის კურსდამთავრებულთა კომპეტენტურობით, კონკურენტუნარიანობით ცხოვრებაში, იმით, რამდენად საჭირონი ხდებიან საზოგადოებისათვის და შეფასება, რომელსაც ცხოვრება აძლევს ახალგაზრდას, თავის პედაგოგებთან ერთად, ის სამართლიანად ინაწილებს.

... და ჩვენც, ქ. ხობის №1 საჯარო სკოლის პედაგოგები, ამაყები და ბედნიერები ვართ 2009-2010 სასწავლო წლის კურსდამთავრებულებით, რომლებმაც სკოლის ისტორიას ულამაზესი ფურცელი შემატეს. მათ შორის: ანა კეკელია, მარიკა ჯობავა, მარიამ ჯორჯიკია, ნიკა კემულარია, მედეა ცხომარია და თათია ნანეიშვილი ოქროს მედალოსნებია, მარიამ ცხომარიამ ვერცხლის მედალი დაიმსახურა. 48 კურსდამთავრებულიდან ოცდაორმა წარჩინებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები. კიდევ ერთხელ ვულოცავ თითოეულ მათგანს. მჯერა, რომ ისინი ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებენ საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

დიდი ხანი არ არის, რაც განათლების სისტემაში რეფორმა მიმდინარეობს. მუშავდება და ინერგება სწავლების ინოვაციური მეთოდები. წარმატებით მიმდინარეობს რამდენიმე ახალი და მნიშვნელოვანი პროგრამა. „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“–პროექტის ფარგლებში ჩვენი სკოლის ბავშვებს და პედაგოგებს 2010–2011 სასწავლო წელს სიახლე ელოდებათ. ინგლისურენოვანი უცხოელი მასწავლებელი–ფენდლი ბრაუნი ხობშია. მოხალისე მასწავლებელი სკოლის ხელმძღვანელებთან, მასპინძელ ოჯახთან და საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროს ქალბატონ ხათუნა გერგაიასთან ერთად ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა იგორ ტყებუჩავამ და საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა მამუკა ჭოხონელიძემ მიგვიღო. მინდა სიამაყით აღვნიშნო, რომ ამ შეხვედრისას თარჯიმნის ფუნქცია არაჩვეულებრივად შეასრულეს ნიკა კემულარიამ და ანა კეკელიამ.

ფენდლი ჩვენი სკოლის მასწავლებლებთან ერთად სასწავლო წლის დამთავრებამდე იმუშავებს და ბავშვებს ინგლისურ ენას შეასწავლის. მასპინძლობას ჩვენი ბიბლიოთეკარის–ლუარა დოლბაიას არაჩვეულებრივი ოჯახი გაუწევს.

ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა რთულ, შრომატევად, მაგრამ სიახლეებით დატვირთულ საინტერესო მოგზაურობას გავს. თავისი სიძნელეებით არც 2010–2011 სასწავლო წელი იქნება გამონაკლისი.

მჯერა, რომ სიახლეები და ინიციატივები, რომელსაც ახალი სასწავლო წლისთვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გვთავაზობს, აუცილებლად წარმატებით დაიძლევა, ამის თქმის უფლებას მაძლევს ის ძლიერი გუნდი, რომელსაც ხობის №1 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ჰქვია.

და ბოლოს... 2010–2011 სასწავლო წელი, უპირველეს ყოვლისა, მინდა მივულოცო ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრს, ქალბატონ ხათუნა გერგაიას ხელმძღვანელობით. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა იმ მაღალი კომუნიკაბელურობის, კოლეგიალობისა და დახმარებისათვის, რომელსაც სკოლების მიმართ იჩენს. ვულოცავ ყველა მოსწავლეს, მშობელს, ძვირფას მასწავლებლებს, რომლებსაც ღრმად აქვთ გათავისებული მაღალი პასუხისმგებლობის მისია საზოგადოების წინაშე, რომელთა შინაგანი წუხილის და განსჯის საგანი ყოველთვის არის მომავალი თაობის აღზრდა. მათი ჭეშმარიტ მოქალაქეებად და პატრიოტებად ჩამოყალიბება.

დიდ ჩილელ პოეტს, ნობელის პრემიის ლაურიატს გაბრიელა მისტრალს დავესესხები და ჩემი და ჩემი კოლექტივის სახელით უფალს შევთხოვ: „...შენ შეგვიწყალე უფალო, რომ ქვით ნაშენები ეგ ჩვენი სკოლა სულიერად აშენდეს და აღორძინდეს, ჩვენმა თავდაუზოგავმა შემართებამ მოიცვას მისი უბრალო დერეფნები და სადა საკლასო ოთახები, შეგვეწიე, რომ ჩვენი გული დედაბოძად შეუდგეს სკოლის შენობას და ჩვენი თავდადება მდიდრული სკოლის მოოქროვილ სვეტებზე უფრო ძლიერი საყრდენი და ჭეშმარიტი განძი გახდეს ჩვენი სკოლის...“

***ქეთევან გაბისონია, ხობის №1 საჯარო სკოლის დირექტორი.***

„ასწავლე და ისწავლე...“

## „ჩვენი ურთიერთობები მომავალშიც გაგრძელდება“



ხობი ინგლისურენოვან მოხალისე მასწავლებლებს უკვე მერამდენედ მასპინძლობს. ამჯერად საქართველოში 1000-ზე მეტი ასეთი მოხალისე ჩამოვიდა, მათ შორის ორი ხობს სტუმრობს.

ხობის მუნიციპალიტეტის №1 საჯარო სკოლას ამ დღეებში პროგრამით–„ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ კემბრიჯის უნივერსიტეტდამთავრებული ახალგაზრდა ფენდლი ბრაუნი ეწვია.

ვინ არის ფენდლი ბრაუნი? ის სამხრეთ ირლანდიელია. დედამისი ექიმი გახლავთ, მამა–ერთ-ერთი ქიმიური ქარხნის დირექტორია ქალაქ კოქსიტში. ჰყავს სამი და.

თვითონ ფენდლი ლონდონში ქალაქ კემბრიჯში ბაბუის სახლში ცხოვრობს...

ჩვენ მას რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ:

***ფენდლი! სად გაიგეთ პროგრამის–„ასწავლე და ისწავლე საქართველოსათვის“ შესახებ და როგორ ჩაერთეთ მასში?***

–ყოველთვის ახლის ძიებაში ვარ! ამ პროგრამის შესახებ ინტერნეტის საშუალებით გავიგე. მომეწონა და გადავწყვიტე შორეულ საქართველოში გამომგზავრება. მოხარული ვარ, რომ ამ პროგრამის ნაწილი მეც ვარ.

***რას ითვალისწინებს ეს პროგრამა?***

–ეს პროგრამა კარგია და ძალზე საინტერესო, მით უფრო მაძიებელი ახალგაზრდებისათვის, იმათთვის, ვისაც სიახლეები უყვარს, მოსწონს, როცა სხვას ეხმარები, ამით რასაკვირველია, თავადაც სწავლას იღრმავებ. ამ პროგრამის ძირითადი მიზანია ქართველებს ვესაუბროთ ინგლისურად, გავაუმჯობესოთ მათი მეტყველების კულტურა, ხარისხი, დავეხმარო ინგლისური ენის დაუფლებაში და მათ ჩვენი გამოცდილებაც შევძინოთ. ამასთან, მეც ვსწავლობ ქართულს.

***აღნიშნული პროგრამის ფარგლებში რაიმე გადამზადება გაიარეთ?***

–ინგლისში, კერძოდ კემბრიჯის უნივერსიტეტში მოხალისეთა ტრენინგი გავიარე, ამ პროგრამაში ჩართვით აქ ჩამოსვლისა და სწავლების ნებართვა მივიღე. დამთავრებული მაქვს კემბრიჯის უნივერსიტეტი, ვარ რამოდენიმე საბავშვო წიგნის ავტორი და ამავე ხასიათის წიგნების დიზაინერი. სკოლაში ვიქნები მასწავლებლის ასისტენტი, დღეში ხუთ გაკვეთილს ჩავატარებ პედაგოგთან ერთად. მექნება ბავშვებთან მჭიდრო ურთიერთობა.

***რისი გაცნობა მოასწარით, რას იტყოდით თქვენთვის მნიშვნელოვან შეხვედრებზე?***

–ქუთაისში ღირსშესანიშნავი ადგილები დავათვალიერეთ. ვნახე გელათი, თბილისში სამება, ნარიყალა, ძველი თბილისი...

ხობში შევხვდი ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, მუნიციპალიტეტის გამგებელს, რესურსცენტრის ხელმძღვანელს. ბათუმში შეხვედრა გვქონდა საქართველოს პრეზიდენტთან. ის ძალიან მომეწონა. მან საქართველოში კეთილი მოგზაურობა გვისურვა, ამით თავს ბედნიერად ვგრძნობ.

***ფენდლი! როგორია თქვენი თვალით დანახული ხობი, რა სხვაობა ან მსგავსებაა თქვენსა და ჩვენს ქვეყნებს შორის?***

წარმოშობით ირალანდიელი ვარ, როგორც ჩვენთან, ასევე თქვენთან, უყვართ ლხინი, სიმღერა, არაჩვეულებრივი ტრადიუციული ცეკვები გაქვთ. ჩვენ და თქვენ მეგობრული ხალხი ვართ.

ხობში მომეწონა სტუმართმოყვარეობა, ადამიანებს შორის დამოკიდებულება.

შემიყვარდა ხაჭაპური, ხინკალი, საცივი. მომეწონა ხობის მონასტერი, ეს უძველესი ძეგლია. ჩემი საყვარელი ადგილი გახდა ქალაქის შადრევანი, სადაც თავისუფალ დროს ვატარებ.

***რა იცით ჩვენს ქვეყანაზე?***

ვიცი, რომ ეს ქვეყანა არის ღვინის ქვეყანა, ხალხი ძალზე სტუმართმოყვარეა, ანუ აქედან მოდის პოზიტივი.

აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ!

***ამ ეტაპზე თქვენი ყველაზე დიდი სურვილი?***

მინდა მქონდეს კარგი ურთიერთობები ადამიანებთან, დავეხმარო მათ. მეც მეტი გავიგო თქვენი კულტურის შესახებ.

***რას იტყოდით ოჯახზე, სადაც ამჟერად ცხოვრობთ?***

თითოეულთან კარგი ურთიერთობა მაქვს. ფანტასტიური ხალხია, პატივს მცემენ. ოჯახისა და ჩემი დიდი სურვილია, ხობში ჩემი ვიზიტის დასრულების შემდეგ, გავაგრძელოთ მეგობრობა და ურთიერთობები.

***ესაუბრა ნანი კილასონია***

ინტერვიუ



დღეს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში სწავლის დაწყების მაუწყებელი ზარი აწკრიალდება.

გაზეთი „ახალი სამკუთხედი“ სტუმრადაა ხობის რაიონში ცნობილ პედაგოგთან, არაერთი თაობის სახელოვან აღმზრდელთან ქალბატონ ნელი ბუკიასთან.

# ,,ყველაზე დიდი ჯილდო სიყვარულია“

***ქალბატონო ნელი, ნება მიბოძეთ შპს „ხობის მოამბის“ გაზეთ „ახალი სამკუთხედის“ კოლექტივისა და მისი მრავალრიცხოვანი მკითხველის სახელით, როგორც განათლების დარგის წარჩინებულ მუშაკს, მოგილოცოთ ახალი სასწავლო წლის დაწყება და მინდა გკითხოთ, რას ნიშნავს თქვენთვის სექტემბრის პირველი ზარი?***

–უღრმესი მადლობა გაზეთ „ახალი სამკუთხედის“ რედაქციას იმისთვის, რომ მომცა საშუალება ახალი სასწავლო წლის დაწყება მივულოცო განათლების სისტემის ყველა მუშაკს, მშობლებს, მოსწავლეებს, სკოლისგარეშე და სკოლამდელ დაწესებულებათა თანამშრომლებსა და მათ აღსაზრდელებს. ამ სასწავლო წლის პირველი ზარი თითოეული მათგანისთვის ყოფილიყოს ახალ-ახალი წარმატებებისა და ულევი სიხარულის მომტანი. სექტემბერი ჩემთვის ყველაფერია.

***თქვენთვის, როგორც პედაგოგისთვის, რამდენჯერ დაირეკა სწავლის დაწყების მაუწყებელი ზარი?***

–ეს ზარი ჩემთვის 50 წელზე მეტია ირეკება და თან ყოველთვის უკეთესი მომავლის, წინვლისა და წარმატებების იმედი მოაქვს.

***თქვენ წარმატებული კარიერა ჰქონდათ. იქნებ აგვიხსნათ, რა იყო წარმატებათა საფუძველი?..***

– უბრალოდ ეს ცოდნის შეძენის დიდი სურვილი და ყოველდღიური ზრუნვაა მისი სრულყოფისათვის, დაუზარელი შრომა უფროსი თაობის გამოცდილების გაზიარებისა და მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის, სურვილი და სწრაფვა, რომ არ დაკმაყოფილდე მიღწეულით.

***განათლების სფეროში დღეს დიდი ცვლილებების დროა, საინტერესოა თქვენი აზრი რეფორმათა აუცილებლობისა და საჭიროების შესახებ?***

–თვალს ვადევნებ რეფორმებს, რაც განათლების სისტემის დაწესებულებებში ხორციელდება, რათა ქვეყნისთვის მომზადდეს ყოველმხრივ განათლებული ახალგაზრდა თაობა. ზემოხსენებული ამოცანების გადასწაყვეტად მეცნიერებათა საფუძვლების სრულყოფილი ცოდნის მიღებაა საჭირო, რაც ყოველდღიურ მუხლჩაუხრელ შრომას მოითხოვს როგორც მოსწავლეების, ისე მათი აღმზრდელებისაგან.

***–მაინტერესებს, მოგწონთ თუ არა გამოცდების ახალი მოდელი (ვგულისხმობ, როგორც მოსწავლეთა გამოცდებს, ასევე მასწავლებელთა სერთიფიცირებას)?***

–მიღებული ცოდნის სისტემაში მოსაყვანად ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება გამოცდებია, როგორც მოსწავლისთვის, ასევე მასწავლებელთათვის, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ მას ახლავს დიდი ჰუმანურობა და კეთილგანწყობა.

***როგორ ფიქრობთ, პედაგოგობა თანდაყოლილი ნიჭია თუ მოწიფულ ასაკში ნასწავლი სპეციალობა?***

–ჩემი აზრით, პედაგოგობა თანდაყოლილი ნიჭია და მხოლოდ ასეთი ნიჭით დაჯილდოებული ხალხი აღწევს წარმატებას, თუ რა თქმა უნდა, თუ ის საფუძვლიანი ცოდნითაა გაჯერებული და მას თან საკუთარ თავზე სისტემური მუშაობა ახლავს.

***რამ განაპირობა თქვენი მომავალი პროფესია?***

–ჩემი მომავალი პროფესიის არჩევა დაწყებითი კლასების მასწავლებელმა განაპირობა (მხედველობაში მაქვს პირველი მაისის სკოლა).

***თქვენთვის, როგორც პედაგოგისთვის, რა არის ყველაზე დიდი ჯილდო?***

–50 წელზე მეტი ვემსახურე მოსწავლე-ხალგაზრდობის სწავლა–აღზრდის საქმეს, როგორც ხელმძღვანელი მუშაკი და როგორც რიგითი მასწავლებელი, ვამაყობ იმით, რომ განათლების სისტემის მუშაკთა, მშობლებისა და ახალგაზრდების სიყვარული დავიმსახურე, რაც ყველაზე დიდ ჯილდოდ მიმაჩნია.

***რა განსაზღვრავს მოსწავლე–მასწავლებლის წარმატებულ კავშირს?***

–მოსწავლე–მასწავლებლის წარმატებულ კავშირს განაპირობებს მასწავლებლის საერთო განათლება, საგნის საფუძვლიანი ცოდნა, პრაქტიკაში მიღებული გამოცდილება, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, მუხლჩაუხრელი შრომა, ბავშვების დიდი სიყვარული და უანგარო პატივისცემა.

***„ლამაზად შვილის გამზრდელი, დედა მიცვნია გმირადა“ მიაჩნია ქართველ კაცს, თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს დედის, და საერთოდ, მშობლისა და მასწავლებლის ურთიერთდამოკიდებულება?***

–მასწავლებლისა და მშობლის ურთიერთდამოკიდებულება აგებული უნდა იყოს ნდობასა და პატივისცემაზე.

***დღეს რომ იწყებდეთ კარიერას, რას შეცვლიდით თქვენს საქმიანობაში?***

– კვლავ პედაგოგობას ავირჩევდი, რადგან ამაზე უკეთილშობილესი პროფესია არ მეგულება. ცოდნის გასაღრმავებლად საკუთარ თავზე სისტემატური მუშაობა იქნებოდა ჩემი ყოველდღიური საზრუნავი. სხვას არაფერს შევცვლიდი ჩემს საქმიანობაში.

***რას ურჩევთ, რას ეტყვით თქვენს კოლეგებს, რომლებიც 15 სექტემბერს გაკვეთილებს პირველად ჩაატარებენ?***

–ჩემს კოლეგებს, რომლებიც 15 სექტემბერს პირველად ჩაატარებენ გაკვეთილებს, ვურჩევ, გულით უყვარდეთ ბავშვები, უანგაროდ ემსახურონ მათი სწავლებისა და აღზრდის საქმეს, იყონ შრომისმოყვარენი, ჰქონდეთ მუდმივი სწრაფვა სიახლისაკენ, ცოდნის გაღრმავებისაკენ და უერთგულონ არჩეულ პროფესიას!

მრავალ ახალ სასწავლო წელს, მეგობრებო!

* * *

P.S.*ვუერთდები ქალბატონ ნელი ბუკიას მოლოცვას და მუნიციპალიტეტის ყველა პედაგოგს, აღმზრდელს, მოსწავლესა თუ მშობელს ვულოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას.*

*გისურვებთ წარმატებებს!*

**ესაუბრა**
**ლაშა ცატავა**

დღავღლი

# ჩემთვის ყველაზე დიდი სიხარული სამშობლოს კეთილდღეობაა



დადგა სექტემბერი და ტრადიციისამებრ მივაკითხეთ ჩვენი მუნიციპალიტეტის პედაგოგთა სახელოვან „არმიას“.

ამჯერად ვესაუბრეთ პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს ქალბატონ ქუქუნა კემულარიას

თვალწინ გაირბინა განვლილმა წლებმა, ვიხსენებ ბავშვობას, რომელიც დატვირთული იყო შრომისმოყვარეობით, პასუხისმგებლობის გრძნობით, ვიყავი ბეჯითი და კეთილსინდისიერი მოსწავლე, რითაც ჩემი მასწავლებლების სიყვარულს ვიმსახურებდი. ყველა მასწავლებელს დიდი სიყვარულითა და სითბოთი ვიხსენებ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები.

* * *

ვიყავი ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის წარჩინებული სტუდენტი. ლექტორთა სახეები და მათ მიერ ჩატარებული ლექციები დღესაც თვალწინ მიდგას, მასწავლებლები საოცარი სითბოთი და საგნისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ. არ შემიძლია არ გამოვყო ზოგიერთი მათგანი, რომლებიც „შვილობილს“ მეძახდნენ–ბიოლოგი–პროფესორი, არაერთი წიგნის ავტორი–საშა მაყაშვილი, ქიმიკოსი პროფესორი ვახტანგ ნოღაიდელი, დეკანი–დიმიტრი უჩანეიშვილი. ამ ადამიანებთან მიმოწერები მქონდა და მოცემულ დავალებებს მათ გარდაცვალებამდე დიდი სიამოვნებით ვპასუხობდი.

* * *

საშუალო სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა, ჩემი სკოლის დირექტორმა ბატონმა–იროდი ოკუჯავამ ქიმიის ამოცანათა კრებული მაჩუქა და თანაც მითხრა, შენ შეგიძლია ყველა ამოცანა ამოხსნაო, მართლაც დავალება კეთილსინდისიერად შევასრულე, მოწონებაც დავიმსახურე და გადავწყვიტე ჩემი არჩევანი ქიმიაზე შემეჩერებინა. რომელსაც საფუძვლიანად დავეუფლე, შემოთავაზება მქონდა დავრჩენილვიყავი ინსტიტუტში, მაგრამ, რადგანაც ჩემი სურვილი და ჰობი იყო ვყოფილვიყავი ღირსეული პედაგოგი, ამიტომ განაწილებით მოვხვდი ხობის რაიონის „სოცსოფლის“ 8 წლიან სკოლაში. იქ გატარებული ერთი წელი მთელი ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის ეტალონი იყო. დიდი სიყვარულით მინდა მოვიხსენიო 8 წლიანი სკოლის დირექტორის მოადგილე ანტონ გოგია, რომელიც კარგად აფასებდა ჩემს მუშაობას, რის გამოც გადმომცა წიგნი სათანადო წარწერით, რომელიც შეიძლება ითქვას, ჩემი ცხოვრების კრედოდ იქცა.

* * *

ყოველგვარი სიახლე მისაღებია, ახლის ძიებაში ახალი იდეები იბადება, თუმცა ბევრი სიახლე კარგად დავიწყებული ძველია. ასე, რომ დღევანდელი რეფორმები მისაღებია, მაგრამ სჯობია, ჯანსაღი კაცის თვალით შეხედო.

* * *

რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, მეთოდურ ლიტერატურას, დღეს უფრო ხელმისაწვდომია, ადრე სულ ძიებაში ვიყავით, ბევრი ძალა და ფიქრი გვჭირდებოდა. შემიძლია ვთქვა, ამ მხრივ დღევანდელი პედაგოგები განებივრებულები არიან. სახელმძღვანელოებში მოცემული მასალა უნდა შეესაბამებოდეს პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებს და სკოლაში მიღებული ცოდნა უნდა აკმაყოფილებდეს მისაღები გამოცდების მოთხოვნებს, ამასთანავე, სახელმძღვანალოები ხშირად არ უნდა იცვლებოდეს.

* * *

ეროვნული გამოცდები, მოსაწონია, რადგან შრომისმოყვარე, ნიჭიერ ბავშვს აქვს უფლება კონკურსში მიიღოს მონაწილეობა და ანგარების გარეშე მშვიდ გარემოში ჩააბაროს გამოცდები. რაც შეეხება მასწავლებელთა სერთიფიცირებას, მივესალმები, აუცილებელიცაა ახალი მოთხოვნებისა და აზროვნებისათვის.

* * *

ოჯახისა და სკოლის ურთიერთობას ვერანაირი რეფორმა ვერ შეცვლის, მათ შორის თუ უთანხმოება გაჩნდა, ეს გავლენას მოახდენს ბავშვის ნორმალურ აღზრდაზე. მშობლის როლი ძალიან დიდია ბავშვის აღზრდაში. რა თქმა უნდა, დისბალანსი არ უნდა გაჩნდეს სკოლასა და ოჯახს შორის. თუ გვინდა შვილი ზნეობრივად, მორალურად და გონებრივად სწორად აღვზარდოთ, საზოგადოებაში რაც არ უნდა წინააღმდეგობა მოხდეს, მშობელს და სკოლას შორის ურთიერთობა უნდა არსებობდეს. რაც შეეხება რწმენას, მე ასე ვიტყოდი, ჭეშმარიტმა რწმენამ გზასაცდენილიც კი შეიძლება სწორ გზაზე დააყენოს.

* * *

ჩემი ოჯახი მრავალრიცხოვანია, ჩემი ძმისშვილებით, დისშვილებით მათი შვილებით და შვილიშვილებით. თავისუფალი დრო საკმაოდ მაქვს, რომელიც ჩემს განვლილ ცხოვრებას, გუშინდელ დღეს, აწმყოსა და მომავალს ეთმობა.

# მასწავლებლობა ბუნებისგან ნაბოძები ნიჭია

**შალვა ხარებავა,** *საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, ღირსების ორდენოსანი.*

## დვაწლი

მოსწავლეობამ 1942–1953 წლებში მომიწია. მოგეხსენებათ, ეს იყო ურთულესი პერიოდი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. კერძოდ, სსრკ–გერმანიის ომის პერიოდი. გამოვცადეთ შიმშილი, წყურვილი, ჩაუცმელობა, სასწავლო ნივთების არქონა. ხშირად დღისით დედასთან ერთად საკოლმეურნეო სამუშაოებზე გავდიოდი, ხოლო გაკვეთილებს ღამის საათებში ვსწავლობდი.

იმისათვის, რომ გვესწავლა, ჩვენი სკოლის დირექცია და მასწავლებლები გაკვეთილებს თითქმის–სკოლაში გვასწავლიდნენ. კლასის დამრიგებლები კვირაში ერთხელ მაინც მოგვაკითხავდნენ ოჯახში და დიდი სითბოთი გვმოძღვრავდნენ, რათა სკოლა არ მიგვეტოვებინა. ასეთი იყო მასწავლებელთა 90%, მაგრამ მაინც იყვნენ გამორჩეულები–ნადეჟდა და კლიმენტი ბებურიები.



ცნობილი ჩვენი წელთაღმრიცხველნი დიდი მეცნიერები–არისტოტელე, თალესი, ჰიპოკრატე, ევკლიდე და ბევრი სწავლული ტრაბახობდა ამ მეცნიერთა სკოლის დამთავრებით. მე მოვსწრებივარ, რომ თბილისის პირველ სკოლას ჯაჯუ ჯორჯიკიას სკოლას უწოდებდნენ, 77-ე სკოლას–კობახიძის სკოლას, 88-ე სკოლას გიორგაძის სკოლის სახელით მოიხსენიებდნენ.

ეს დირექტორები გამოირჩეოდნენ ადამიანობით და განსწავლულობით. ისინი ყველას არ ღებულობდნენ მასწავლებლად. მათ სკოლაში მოხვედრა მხოლოდ რჩეულებს შეეძლოთ.

მათზე მთელი ტომი შეიძლება დაიწეროს.

მიუხედავად ცუდი ეკონომიური პირობებისა–მხიარული ბავშვობა გვქონდა.

* * *

დავამთავრე ქ. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა–მათემატიკის ფაკულტეტი. მყავდა საუკეთესო ლექტორები და მქონდა მასწავლებლობის დიდი სურვილი.

* * *

ჩემი მომავალი პროფესიის არჩევანში ლომის წვლილი მიუძღვით ქალბატონებს ალექსანდრე ბერაიას და შურა შენგელიას–ჩემს საყვარელ მასწავლებლებს.

* * *

რეფორმა რომ აუცილებელი იყო, ეს ეჭვმიუტანელია, მაგრამ მის პირველ ეტაპს ქვეყნისათვის სიკეთე არ მოუტანია. რადგან მიმაჩნია, რომ იგი არ იყო ეროვნულ პრინციპებზე გათვლილი, მასში საკუთარი ქვეყნის მიღწევები ფუნდამეტად არ იყო ჩადებული.

* * *

აშკარად არასწორი იყო ახალი სახელმძღვანელოებისადმი მაშინდელი მიდგომა, ყოველწლიურად ცვლილებების შეტანა. ასეთი მიდგომა ქვეყნის ეკონომიკის დამანგრეველია.

* * *

ვემხრობი სკოლებში კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდების შემოღებას. მაგარმ ეს მეცნიერულად უნდა იყოს დასაბუთებული, კერძოდ, რომელ კლასში რამდენი გამოცდა უნდა ჩატარდეს და რა საგნებში. მისაღებია უმაღლეს სასწავლებლებში მიღების ახალი წესები. ასევე ვემხრობი მასწავლებელთა სერთიფიცირებას, მაგრამ ბევრი რაღაცა დასახვეწია. როგორც ფოლადი იჭედება გრდემლზე, ასევე მასწავლებელი გაკვეთილზე იხვეწება. მასწავლებლობა, როგორც პოეტობა, ბუნებისაგან ბოძებული ნიჭია. ბევრისათვის კარგადაა

სასწრაფო ზომებია გასატარებელი, რათა პედაგოგიურზე საუკეთესო მოსწავლეები ჩაირიცხონ და მათ საჭირო პირობები უნდა შეექმნათ.

აქვე დავძენ–საჭირო არ არის ყველა მოსწავლე ამთავრებდეს საშუალო სკოლას. არასრული განათლების მიღების შემდეგ, ახალგაზრდები ხელობას უნდა დაეუფლონ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს პრეზიდენტის შეფასება თბილისის უნივერსიტეტის რექტორად კვიტაშვილის დანიშვნასთან დაკავშირებით. მან მაღალი შეფასება მისცა კვიტაშვილის მინისტრად მუშაობას, მაგრამ ათჯერ მაღალი შეფასება, თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობას.

* * *

ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდოა ჩემი ყოფილი მოსწავლეების მიღწევები, ჩემი დიდი სიხარულია ის, რომ ერთი კლასიდან მყავს ხუთი მათემატიკაში ხარისხდაცული (დოქტორი).

შვილები ჩემი და ჩემი მეუღლის კვალს გაყვნენ. გოგონები მათემატიკოსები არიან, ვაჟი კი–ინჟინერი.

* * *

ჩემი ძირითადი საფიქრალი და საზრუნავი არის ჩემი შვილები და შვილიშვილები. სკოლას ჩემს ცხოვრებაში გარკვეული ადგილი უკავია.

ჩემი ჰობია ფეხბურთი.

არა მაქვს თავისუფალი დრო. დღე და ღამ ვმუშაობ.

ვწუხვარ იმის გამო, რომ იმათაც, ვისაც არაფერი შეუქმნია და ჩვენც, ვისაც საქმე გვიკეთებია, ერთნაირი პენსია გვეძლევა.

ნათქვამია, წარსულს ვინც ტალახი ესროლა, მას მომავალი ქვას ესვრისო.

# სიახლეებს ახალი პროექტებით, იმედებით და რწმენით ველით

ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი, როგორც სკოლისგარეშე განათლების ერთ-ერთი კერა, წარმატებულად ახორციელებს საგანმანათლებლო–სააღმზრდელო საქმიანობას, რაც მთელი სასწავლო წლის მანძილზე მნიშვნელოვანი და ხელშესახები იყო.

ცენტრი არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2007 წელს დაფუძნდა. ცენტრში გაერთიანებულია სასპორტო, სამუსიკო, კომპიუტერული სკოლები და მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლი.

საქართველოში მოქმედ სხვა კანონებთან ერთად, ცენტრი წესდების შესაბამისად ხელმძღვანელობს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“. ის ყველა ძირეული პროცესი, რომელიც დღეს სკოლასა და განათლების სისტემას ეხება, ასახვას ჰპოვებს ჩვენს საქმიანობაზეც. ჩვენც ვცდილობთ ამ მნიშვნელოვან სასიცოცხლო პროცესებს ნაბიჯი ავუწყოთ.

2009–2010 სასწავლო წელი მეტნაკლებად ნაყოფიერი იყო განათლების ცენტრისათვის. სასწავლო წლის შედეგების მიხედვით. გვყავს სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონის ფეხბურთის ჩემპიონატის ჩემპიონი–1993 წელს დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი (მწვრთნელ–მასწავლებელი რ. ქაშიბაძე), II ადგილის მფლობელი 20 წლამდე ფეხბურთელთა გუნდი (მწვრთნელი ზ. ლატარია). ამავე ჩემპიონატის II–III ადგილებს ჩვენი სასპორტო სკოლის 2 გუნდი (1995 წლიანთა და 1997-98 წლიანთა) ფლობს. (მწვრთნელ–მასწავლებლები: თ ჭიჭინაძე და ფ. გოცირიძე).

ჩვეულ ტრადიციებს არც ამჯერად არ უღალატეს ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ჯგუფის მწვრთნელებმა და სპორტსმენებმა. სხვადასხვა წონით კატეგორიებში საქართველოს პირველობაზე, რესპუბლიკურ ტურნირზე გამოვლინდნენ ჩვენი სკოლის გამარჯვებული მოსწავლეები: ო. კორტავა, ი. ჭითანავა, ბ. შენგელია, ნ. წურწუმია, გ. კვაშილავა, ი. ქანთარია, ნ. ყორშია (მწვრთნელ–მასწავლებლები: მ. ყორშია, ბ. ბუკია, ს. გვასალია).

რესპუბლიკურ ტურნირზე II–III ადგილებს ასევე დაეუფლნენ ჭიდაობა სამბოს აღსაზრდელები: ა. კვიკვინია, ხ. ჯანჯღავა, თ. კვარაცხელია (მწვრთნელ–მასწავლებლები მ. და რ. მორგოშიები).

ხობის მუნიციპალიტეტში ჭადრაკს (მწვრთნელ–მასწავლებელი ი. გეთია) დიდი ხნის საუკეთესო ტრადიცია აქვს. მიმდინარე წელსაც ნორჩმა მოჭადრაკეებმა დებმა მეგი და მარიამ ჭაჭიებმა, ამირან შონიამ წარმატებით იასპარეზეს საქართველოს პირველობაზე და ევროპის ჩემპიონატის საგზურები მოიპოვეს, რომელიც 19–29 სექტემბერს ქ. ბათუმში გაიმართება.

საკვალიფიკაციო ტურნირზე სასპორტო სკოლის ნორჩი მოჭადრაკეები ტოლს არავის უდებენ და საპრიზო ადგილის მფლობელები ღირსეულად ხდებიან. ასე იყო ამჯერადაც, გ. ლატარია, დ. ლომაია, ლ. შამუგია I–II–III ადგილებით, მედლებითა და დიპლომებით დაგვიბრუნდნენ.

უკვე მეხუთე წელია ქ. ფოთში იმართება საერთაშორისო ტურნირი „ნანა ალექსანდრიას თასი“, სადაც ჩვენს ნორჩ სპორტსმენებს არაერთი გამარჯვება აქვთ მოპოვებული.

სამუსიკო სკოლაში სასწავლო წლის მანძილზე რამდენიმე ღონისძიება გაიმართა. მათ შორის მნიშვნელოვანი იყო მუსიკალურ–შემეცნებითი ვიქტორინა (პედაგოგი ლ. ხურცია), კონკურსი–„სიმღერა გაზაფხულზე“ (პედაგოგი ნ. გვასალია), კონკურსი „წლის ნორჩი პიანისტი“ (გამარჯვებული ნ. ქირია). წარმატებით ჩატარდა გამოსაშვები გამოცდები, მიმდინარე სასწავლო წელს სამუსიკო სკოლა 14 მოსწავლემ დაამთავრა, მათზე სამუსიკო სკოლის დამთავრების დამადასტურებელი მოწმობები გაიცა.

კომპიუტერული სკოლა მთელი სასწავლო წლისა და საზაფხულო არდადაგების პერიოდში აქტიურად მუშაობდა. (მთავარი სპეციალისტი ნ. კილასონია) სასწავლო პროგრამები შერჩეულია ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით და სპეციალისტები შესაბამისად პასუხისმგებლობით ეკიდებიან თითოეული მოსწავლისათვის ცოდნის შეძენას. განახლებულია სასწავლო–კომპიუტერული ტექნიკა და სკოლა სრულად მომზადებული ხვდება ახალ სასწავლო წელს.

სკოლისგარეშე განათლების მიღებისათვის განხორციელებული ყველა პროექტი მხარდაჭერილია მუნიციპალიტეტის მიერ და დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში ხორციელდება წესდების საფუძველზე ცენტრის იურიდიული და ფინანსური საქმიანობა.

სწავლისა და ცოდნის კერების შექმნა საქართველოში ოდითგანვე იყო მიჩნეული ეროვნული ღირსების, ერის სრულყოფილ ფიზიკურად და სულიერად პრიორიტეტულ საქმედ და ეს მისია არც ამჯერად გაუფასურებულა. რომლის შედეგსაც დღევანდელი ახალგაზრდა თაობა წლების შემდეგ საქართველოს სიკეთითა და ღირსებით დაუბრუნებს. ამირტომაც ახალ სასწავლო წელს ჩვენი ცენტრის ყველა სტრუქტურული ერთეული ახალი პროექტებით, იმედითა და რწმენით

აღვსილები ველით.

***ხათუნა ხორავა,***

**ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის დირექტორი.**

# მასწავლებელი რეფორმის გარეშე ცხოვრების რიტმს ვერ გაუძლებს...

დრო მიდის. იცვლება მოვლენები, ტელევიზიის, მობილური კავშირგაბმულობის, კომპიუტერის და ინტერნეტის განვითარებამ მანძილი და დრო მკვეთრად შეამცირა. მიმდინარეობს კულტურათა ასიმილაციის პროცესი. ეს ყველაფერი მრავალსახოვანი მობილიზაციის გამოვლინებაა. ვითარებამ პედაგოგები ახალი პრობლემის წინაშე დააყენა. საჭირო გახდა ახალი უნარ-ჩვევების გამომუშავება, დროის გამოწვევამ მოიტანა რეფორმა.

მასწავლებელი რომელიც რეფორმას არ აჰყვება, ის ცხოვრების რიტმს ვერ გაუძლებს...

რეფორმის დადებით მხარეებთან ერთად შეცდომაც გაჩნდა, რომლის ინდიკატორია ის, რომ მოზარდების უმრავლესობამ ფუნდამენტალური ცოდნის შეძენის უნარი დაკარგა, პედაგოგობა კი არავის არ უნდა.

დემოკრატიული სისტემის პირობებში ადამიანს აქვს უფლება, აირჩიოს თავისი ცხოვრების წესი. დრო არ უნდა დაიკარგოს და საზოგადოება უნდა შეუდგეს ქრისტესმიერ გზას „ღვთის გარეშე თვით ანგელოზებსაც არ ძალუძთ არა რა“.

სკოლაში ყველა კლასში შესატანია ქრისტიანული სწავლება. მით უმეტეს, რომ ყოველ ცივილიზებულ ქვეყანაში, ეს სფერო ამ ქვეყნის ტრადიციულ რელიგიას აქვს გადაცემული და ამისათვის კაპელანის ინსტიტუტიც არსებობს.

* * *

მე-7 კლასიდან (და არა მე-9-დან) დასაწყებია ქიმიის და ფიზიკის სწავლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხარისხიანი სწავლება არ იქნება და მოსწავლეებს ფუნდამეტალური განათლება არ ექნებათ.

* * *

შეფასების სისტემას გავამარტივებდი.

პედაგოგებს პროფესიულ უნარ–ჩვევების გამომუშავებაში შევათავაზებდი ქრისტეს გაკვეთილებს, რომლის დროსაც ის ინფორმაციის გადაცემას ახდენდა: სიტყვით, მზერით, გულისთქმით (რაც საიდუმლო სერობის ხატზეა გამოსახული).

გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შემოთავაზებული წიგნი „პროფესიული უნარები“ ბევრ გაუგებრობას მოიცავს, კერძოდ, თუ საგამოცდო ცენტრი თავისთავს ეროვნულს უწოდებს, რატომ გვთავაზობენ 14 ავტორიდან 13 არაეროვნულ (ამერიკელ) ავტორებს? მე არ ვარ წინააღმდეგი, რომ მასწავლებელმა იცოდეს სხვა ქვეყნის დიდაქტიკოსების თეორიებიც, მაგრამ, როცა გულდასმით ეცნობი მათ წინააღმდეგობებში ვარდები.

კერძოდ: „ოპერატული განპირობებულობის თეორია“ სამ სიტყვას წაიკითხავ და აზრს ვერ გამოიტან (სიტყვა–ოპერანტიულს ვერც კომპიუტერში, ვერც უცხო სიტყვათა ლექსიკონში მოიძიებ).

* * *

ჩვენს ერს ქართული ენის სახით უდიდესი საუნჯე აქვს და მას თითოეული ჩვენთაგანი უნდა გაუფრთხილდეს. დავაკვირდეთ სიტყვებს: დედამიწა, წუთისოფელი, გარდაცვალება, განათლება... თითოეული მათგანი როგორი ფილოსოფიური სიღრმითაა დატვირთული, ხოლო ზემოაღნიშნული სათაურის სამი სიტყვა, არაფრისმთქმელია. ასევე გაუგებარია „მორალური განვითარების თეორიის“ მიერ შემოთავაზებული იდეოლოგია და სხვა...

ისმება კითხვა: რა საჭიროა უამრავი არასრულყოფილი თეორიების გაცნობა, როცა საქართველოში საშუალებაა ერთი ძლიერი, ჯანსაღი–ქრისტესმიერი სწავლების ათვისებისა, საჭიროა მენტალური რევოლუცია მოხდეს ამ სფეროში.

ხშირად გვეკითხებიან კომპიუტერი თუ წიგნი?

კომპიუტერი, კაცობრიობის მიერ შექმნილი, ერთადერთი გონიერი აპარატია, რომელსაც გონივრული გამოყენება სჭირდება. ის ისეთივე ტექნიკური საშუალებაა, როგორიც კალკულატორი, მობილური კავშირგაბმულობა, ტელევიზორი, ოღონდ მასში ეს ყველაფერი ერთადაა მოცემული. ადამიანი არ უნდა გახდეს მისი გამოგონების მონა (ლამის პირადი ცხოვრებაც კონტროლირებადი გახდა), არამედ მისი საშუალებით უკეთ და სწრაფად უნდა შეიცნოს სამყარო.

კომპიუტერს თავისი ადგილი აქვს. წიგნს – თავისი. კომპიუტერის სხივები (კათოდური სხივები) ადამიანისთვის სასარგებლო არაა.

რაც შეეხება წიგნს, კითხვა–თერაპიაა. ცნობილია, რომ იაპონიაში ასოებით (კითხვით) მკურნალობდნენ და იქიდან აყვავდა მონოგრამატული გრაფიკა, რომელსაც დღემდე აღფრთოვანებაში მოჰყავს უამრავი ადამიანი. (ხიროსიგე, ჰოკუსაი...).

ოჯახი, სკოლა, საზოგადოება ურთიერთგადაჯაჭვული წმინდა სამებაა, რომელიმე რგოლის განცალკევება ნიშნავს სრულყოფილების რღვევას. შემკრავი ძალა კი მხოლოდ–ღმერთია.

***მედეა ქობალია,***

***პედაგოგი.***

# ბაზისი და ზედნაშენიც საიმედოა

მოსწავლე–ახალგაზრდობის სრულფასოვნ პიროვნებად ჩამოყალიბება და მათი ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრების ბაზისი და ზედნაშენიც მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მიზნობრივად ფუნქციონირებასა და მის შემოქმედებით საქმიანობასთან.

ხობის მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლი 1955 წელს გაიხსნა. მისი პირველი დირექტორი გახლდათ ქალბატონი მერი აბრამია. სწორედ მის მიერ განისაზღვრა ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც შემდგომ ხელმძღვანელებს: ნელი ბუკიას, ლეილა მირცხულავას, დოდო ჭაჭიას, ციური მებონიას, ლუდმილა დოლბაიას, 1993 წლიდან კი ქალბატონ აზა თათარიშვილს გადაეცათ.

თუ გავაანალიზებთ მთელი ამ ხნის მანძილზე მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის მუშაობას, დავინახავთ, რომ ჩვენ გვჭირდება გაუკვალავი გზების მაძიებელი ახალგაზრდობა, რომლებიც გაბედულად აზროვნებენ, ფლობენ არა ზოგად ცოდნას, არამედ იმის უნარსაც, რომ აზროვნებდნენ საჭირო მიმართულებით.

ცხოვრებიდან გამომდინარე ჩვენი პედაგოგების უპირველესი ამოცანაა, მოსწავლეთა სახლის საწრეო მეცადინეობებსა და სხვადასხვა ღონისძიებებზე მოსწავლეთა ინტერესებისა და პროგნოზირების საფუძველზე ფუნქციონირებადი ცოცხალი მუშაობის ზუსტი ორიენტირის შექმნა.

წლევანდელი სასწავლო წელი გამორჩეულად მნიშვნელოვანია ჩვენთვის.

მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლისადმი განსაკუთრებული ყურადღების ხელშესახები დადასტურებაა, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ამ სახლის სცენისა და დარბაზის უმოკლეს ვადებში კეთილმოწყობა.

სახლის თანამშრომელთა, მოსწავლეთა და მშობელთა სახელით მადლობას ვუხდით მინიციპალიტეტის გამგებელს ბატონ იგორ ტყებუჩავას ამ საშვილიშვილო საქმის ინიცირებისა და განხორციელებისათვის.

დღეს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სწავლა–განათლებას. ხორციელდება მრავალი რეფორმა, მოსწავლისათვის სრულფასოვანი განათლების მიცემა სახელმწიფო პრიორიტეტადაა მიჩნეული.

ხობის მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლი კვალდაკვალ მისდევს დღევანდელობის მოთხოვნებს. აქ ფუნქციონირებს 17 წრე.

დიდი ყურადღება ექცევა სკოლისგარეშე მუშაობას. სახლთან ფუნქციონირებს ისტორია–მხარეთმცოდნეობის, ნორჩ–ჟურნალისტთა, ფოლკლორის, გამომეტყველებითი კითხვის, ხატვის, ინგლისური და გერმანული ენების, ქორეოგრაფიული და სხვა წრეები.

წრეობრივი მეცადინეობების პარალელურად მასწავლებლები მოსწავლე–ახალგაზრდობას აზიარებენ ქართულ განუმეორებელ კულტურას, ქართულ ხელოვნებას, ხელს უწყობენ მათ სულიერად, სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბებას.

სახლს არსებობის მანძილზე წრეობრივი მეცადინეობების პარალელურად მრავალი ღონისძიება ჩაუტარებია, მის აღსაზრდელებს მრავალი კონკურსსა თუ კონფერენციაში მიუღიათ მონაწილეობა და ბევრს წარმატებულადაც.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მასობრივი ღონისძიებების დაგეგმვა–ჩატარებას, რომელიც გამიზნულია მოსწავლეთა თვითშეგნების, სწავლის სურვილის, კულტურული ჩვევების, მშვენიერების, შრომის სიყვარულის ამაღლებისაკენ.

როცა ბაზისი საიმედოა, ზედნაშენიც, უთუოდ, საიმედო იქნება.

***მაკა გულორდავა,***
*მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სპეციალისტი*

***როგორ შეაფასებთ განათლების დღევანდელ სისტემას?***

ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებამ წარმოშვა აუცილებლობა საზოგადოებაში არსებული ყველა სისტემის რეფორმირებისა, რადგან განათლება არის საძირკველი ქვეყნის ცხოვრების, ამიტომ იმთავითვე დადგა საკითხი უწინარესად განათლების სისტემის გარდაქმნისა, რომელმაც მართლაცდა ძირეული ცვლილებები განიცადა, რომლის გვირგვინი უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდებია. დღეს უკვე ნებისმიერი ფენის ადამიანს შეუძლია მიიღოს თავისი ცოდნის შესაბამისი განათლება ყოველგვარი „ახლობლის“ გარეშე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სასკოლო რეფორმის დადებითი მხარეები: მთლიანად შეიცვალა სასწავლო გეგმები. დღევანდელი გაკვეთილები აბსოლუტურად განხვავედება რეფორმამდელი სწავლებისაგან. იხვეწება ურთიერთობები მასწავლებელისა და მოსწავლეს შორის. ყველა პირობაა შექმნილი მოსწავლეებში ფუნდამენტალური ცოდნის მისაღებად, თავისუფალი კრიტიკული აზროვნების ჩამოსაყალიბებლად, რაც აუცილებელი იყო სტერეოტიპების დაძლევისათვის. სკოლებში შეიქმნება იმის შესაძლებლობა, რომ მოსწავლეებმა მიიღონ საერთაშორისო სტანდარტების დონის განათლება. რამდენი რამ გაკეთდა ჩვენი ახალგაზრდების ხვალინდელი ბედნიერი დღისთვის, რომელიც ნებისმიერ ქართველს, თითოეულ დედას დადებითი ემოციებით გვტვირთავს.

***გაქვთ თუ არა სკოლის მიმართ „ნოსტალგია“?***

სკოლის მიმართ „ნოსტალგია“ დაწყებითი სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო. თვითონ ბაბუა ამ სკოლაში შემდგომ რუსული ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. განათლება ქუთაისის გიმნაზიაში ჰქონდა მიღებული. ჩემი ბაბუა–ბებიები, როგორც დედის, ასევე მამის მხრიდან ლენინის ორდენოსნები, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლები გახლდნენ. ბაბუაჩემის–გიორგი ახალაიას შთამომავლობა დღემდე 34 პედაგოგს ითვლის. ჩვენი ოჯახის პედაგოგიური დინასტიის (ახალაიების დინასტიის) შესახებ არაერთხელ დაბეჭდილა სტატიები საკავშირო თუ რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე. მაგრამ მიუხედავად ამისა, მე იმთავითვე ჩემი გზა ავირჩიე და მიმაჩნია, რომ სწორედ ეკონომისტობა ყველა კურსდამთავრებულს გააჩნია, რადგან ეს არის უბედნიერესი ხანა ადამიანის ცხოვრებაში. მე კი როგორც თავის დროზე ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოს საშუალო სკოლის წარჩინებულ მოსწავლეს, სკოლის პერიოდთან ბევრი ტკბილი მოგონება მაკავშირებს. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩემს მშობლიურ სკოლაში ძალიან ბევრი კარგი პედაგოგი მუშაობდა. ნამდვილად არ იქნება გადაჭარბებით ნათქვამი თუ ვიტყვით, რომ ისინი დღევანდელი რეფორმასაც წარმატებით გაითავისებდნენ. არც ერთს შეგნებულად არ ჩამოვთვლი, რადგან თითქმის უმეტესობა ზეციურ საქართველოში არიან დამკვიდრებულნი.

***განათლების სისტემაში რის შეცვლას მიიჩნევთ აუცილებლად?***

განათლების სისტემაში არსებული მიღწევების ფონზე შესამჩნევია ზოგიერთი ნაკლოვანი მხარეც, ამის მაგალითია სკოლის დირექტორთა ლოტოტრონით არჩევა, რაც აუცილებლად შეცვლას მოითხოვს.

***იქნებოდით თუ არა პედაგოგი?***

მე პედაგოგების ოჯახში გავიზარდე. დედაჩემი–ზაირა ჯიქია საჯიჯაოს საშუალო სკოლაში მათემატიკას ასწავლიდა. მამაჩემი–დავით ახალაია კი ქართულ ენასა და ლიტერატურას. ჩვენი ოჯახის პედაგოგიური შთამომავლობის სათავე ჩვენი ბაბუიდან–გიორგი ახალაიასაგან მოდის, რომელიც სოფელ საჯიჯაოს პირველ იყო ჩემი მოწოდება.

# აღზრდის აპრობირებული სამკუთხედია სკოლა, ოჯახი, საზოგადოება



***რა აზრისა ხართ სკოლასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობებზე?***

ბავშვთა აღზრდის აპობირებული სამკუთხედია სკოლა, ოჯახი, საზოგადოება. ამდენად სკოლასა და საზოგადოებას შორის ოდითგანვე არსებობდა პოზიტიური დამოკიდებულება. როგორც საზოგადოება არ შეიძლებოდა განვითარებულიყო სკოლის გარეშე, ასევე საზოგადოებისაგან მოწყვეტილი სკოლა იმთავითვე დასაღუპავად იყო განწირული. განათლების რეფორმის შედეგად განხორციელებულმა ცვლილებებმა ახალ საფეხურზე აიყვანა სკოლის და საზოგადოების ურთიერთობა და კიდევ უფრო მჭიდროდ დააკავშირა ისინი ერთმანეთს. ნათელი მაგალითია დირექტორისათვის ერთპიროვნული მმართველობის უფლებების შეკვეცა და სკოლებში სამეურვეო საბჭოების ჩამოყალიბება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

***კომპიუტერი თუ წიგნი? რომელს მიანიჭებთ უპირატესობას?***

განათლების რეფორმამ სკოლაში სხვა სიკეთესთან ერთად კომპიუტერული სწავლება შემოიტანა, რაც დღევანდელი და ხვალინდელი სწავლების ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, მისი უარყოფითი მხარე ერთი შეხედვით თითქოსდა სკოლიდან წიგნის გამოდევნაა, მაგრამ პროფესიონალი მასწავლებლის ხელში სწავლებისათვის ორივე თანაბარუფლებიანი ინსტრუმენტია. რომლებიც ერთმანეთს კი არ უპირისპირდებიან, არამედ ავსებენ. ამდენად უპირატესობის მინიჭება ერთ-ერთი მათგანისთვის შეცდომაა და დაღის დამსმელია მოსწავლის გონებრივი განვითარებისთვის.

**მარინა ახალაია,**
*სოციალური მომსახურეობის ხობის რაიონული განყოფილების მთავარი სპეციალისტი.*
*მშობელი.*

# წლიდან წლამდე...

კიდევ ერთი შინაარსიანი და სიახლეებით სავსე წელი მიითვალა სკოლამდელების ისტორიამ.

წლის ბიუჯეტმა მოგვცა შესაძლებლობა, საშუალება იმისა, რომ ბევრად უფრო მოგვეწესრიგებინა სისტემაში არსებული პრობლემები.

დღეის მდგომარეობით სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება აერთიანებს 28 სტრუქტურულ ერთეულს, 926 ჩარიცხულ აღსაზრდელს, რომელსაც ემსახურება 267 თანამშრომელი. მათ შორის 108 აღმზრდელ–მასწავლებელი და 159 სხვა მუშაკი.

2010 წლის 1 მარტიდან გაიხსნა ახალი ბაღი, პირველ ხორგაში, პატარა ფოთში, ზემო ქვალონსა და ძველ ხიბულაში, სადაც ოცი წელი არ ფუნქციონირებდა საბავშვო ბაღი.

სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელდა და უფრო მასშტაბური გახდა ახალი პროგრამა „ნაბიჯ–ნაბიჯ“–ის ეტაპები. ამ კუთხით სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდა ღია მეცადინეობები, რომელსაც ესწრებოდნენ მთავარი სპეციალისტები და აღმზრდელ–მასწავლებლები. მონიტორინგმა გვიჩვენა, რომ ახალი პროგრამით „ნაბიჯ–ნაბიჯ“ ჩატარებული მეცადინეობები დიდ შედეგს იძლევა.

ეს წელი მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების ბიუჯეტით და სახელმწიფო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული იყო ხობის №2 საბავშვო ბაგა–ბაღის სარემონტო სამუშაოების განხორციელება, რომელიც ჩატარებული იქნა შ.პ.ს. „ათენა“–ს მიერ. ჩატარდა რემონტის პირველი ეტაპი, მომავალში მეორე ეტაპიც იგეგმება.

ამჟამად სარემონტო სამუშაოები იწყება პირველი გურიფულისა და შუა ხორგის საბავშვო ბაღებში. ჩატარდა ფასთა კვოტირება, რომელმაც გამოავლინა გამარჯვებული, შუა ხორგაში შ.პ.ს. „ათენა“, პირველ გურიფულში ინდმეწარმე „ტრისტან ვადაქარია“.

და სასწავლო წლის რეზიუმე...

უკვე ტრადიციად იქცა ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდეს კონკურსი „ყველაზე ჭკვიანი“. 20 სტრუქტურულ ერთეულში ჩატარდა კონკურსის შესარჩევი ტური, რომლებიც ერთმანეთს ფინალში შეხვდნენ.

ფინალში გამოვლინდა „ყველაზე ჭკვიანი“–ს გამარჯვებული ხობის №1 საბავშვო ბაგა–ბაღის აღსაზრდელი მარი თოდუა (მთავარი სპეციალისტი – მარინე შონია, აღმზრდელ–მასწავლებელი – ირმა ხურცილავა). პროექტის თითოეული მონაწილე დაჯილდოვდა სიგელით და ფასიანი საჩუქრებით, გამარჯვებულს გადაეცა დიპლომი, მანტია და საჩუქრები. და დგება სკოლამდელების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი პერიოდი – სამზადისი სკოლაში ნასასვლელად. სექტემბერში სკოლის კარებს სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების 28 საბავშვო ბაგა–ბაღის 250 აღსაზრდელი შეაღებს. შესაბამისად სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება ახალი სასწავლო წლისათვის ემზადება. აღმზრდელობითი კუთხით კიდევ უფრო მეტი სიახლეების დანერგვას, სამომავლოდ ახალი მეთოდებით მუშაობას და ბაგა–ბაღების სათანადოდ მეთოდური მასალებით უზრუნველყოფას ვგეგმავთ.

ვიმედოვნებთ, რომ მომავალიც ასეთივე საინტერესო იქნება.

***ნორა იოსავა,***
***მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორი.***

# ჩვენებურები

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე თბილისში გამართული ფესტივალის „ჩვენებურები“–ს შემდეგ წერდა: „...ჩვენგან ყველაზე მეტი სითბო და სიყვარული თურქეთიდან და ფერეიდანიდან ჩამოსულ ქართველებს სჭირდებათ...

როცა უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეთ ჩვენს გვერდით ვხედავდით, სიხარულის ცრემლებს ველარ ვიკავებდით, რადგან ვგრძნობდით, როგორ გვჭირდებოდა ერთმანეთი და ერთად ყოფნა. ქართველი ხალხი აუცილებლად უნდა გამთლიანდეს, რისთვისაც ყველაფერი უნდა გავაკეთოთ“.

სამწუხაროდ, მერამდენე საუკუნეა ჩვენს შორის ერთობის საკითხი ვერ გვარდება, რომლის ძირითადი მიზეზი სხვასთან ერთად საკუთარ თავში უნდა ვეძიოთ და პატრიარქის გაფრთხილება ყველამ ყურად უნდა ვიღოთ. ქართველთა ტკივილს რა ჩამოთვლის–მოუშუშებელ ჭრილობად რჩება აფხაზეთი და სამაჩაბლო, ჩვენ არც ე.წ. „თურქეთის საქართველო“ უნდა დაგვავიწყდეს. სამწუხაროდ, რიგი მიზეზების გამო ჩვენი ძმები–ლაზები შუასაუკუნეებიდან მოყოლებული, ყოველთვის ჩვენი სახელმწიფოს მიღმა აღმოჩნდნენ, ისინი მაშინაც და ახლაც ილტვიან ჩვენსკენ. XV საუკნიდან ლაზები თავდაუზოგავად ებრძოდნენ ოსმალებს, XVI საუკუნეში ერთ-ერთი ბრძოლის შემდეგ 300 ლაზი მეომარი ტყვედ ჩაუვარდა ოსმალებს, რომლებმაც ლაზებს სიცოცხლის ფასად მოსთხოვეს გამუსულმანება, რისთვისაც ცივი უარი მიიღეს, თურქებმა ყველას თავები მოჰკვეთეს. ამ ადგილს ლაზები ახლაც „დუდიკვათას“ ეძახიან, იქვე ახლოს მამათა მონასტერი ყოფილა, რომელიც სასტიკად დაურბევიათ და ბერ-მონაზვნები ერთიანად გაუჟლეტიათ, ამ ადგილს კი „პაპათი“ ჰქვია. ამ მოვლენის შესახებ ფაქტობრივი მასალა ლაზებმა პატრიარქს ჩამოუტანეს, რომლის ინიციატივითაც წმ. სინოდმა 2003 წელს ქრისტესა და სამშობლოსათვის წამებული 300 ლაზი მეომარი და ბერ-მონაზვნები წმინდათა დასში შერაცხა, მათი მოსახსენიებელი დღე 29 აპრილია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შედარებით გაადვილდა ურთიერთობების დამყარება უცხოელ თანამემამულეებთან, ჩვენი მხრიდან მეტი აქტიურობაა საჭირო, როგორც ჩვენი პატრიარქი ამბობს“... უპირველეს ყოვლისა, უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს უნდა გავუთბოთ გულები, ვაგრძნობინოთ სითბო და სიყვარული, უნდა მივახვედროთ, რომ ისინი დავიწყებულნი და უსამშობლონი არ არიან და მათი სამშობლო ღვთივკურთხეული საქართველოა, მამული ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა!“

2004 წელს ლაზეთიდან–ქ. ხოფადან ლაზი პოეტები ჩამოვიდნენ, მათ სათავეში სარფელი პოეტი იაშა თანდილავა ედგა. მათი ჩამოსვლის მიზანი იყო ენახათ ხობის მონასტერი. საოცრად ამაღელვებელი იყო იმის ნახვა, თუ როგორ ეამბორებოდნენ მონასტრის ეზოში აღმართულ ქვაჯვარს ლაზები. მიმდინარე წლის „ცოტნეობის“ დღესასწაულს ლაზური ქალაქ არქაბიდან ლაზური კულტურის ცენტრის წარმომადგენლები ეწვივნენ, ხობში მათი ჩამოსვლა ძველი დადიანების საძვალის აღმოჩენას დაემთხვა, ისინი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს და საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდნენ. საოცრად ამაღელვებელი და თბილი შეხვედრები შედგა საჯიჯაოსა და ძველ ხიბულაში... სტუმრებს მეგზურობასა და მასპინძლობას ვუწევდით–ქორეოგრაფი კახა ჩიტაია და ამ წერილის ავტორი. მათ დავათვალიერებინეთ სამეგრელოს ღირსშესანიშნავი ადგილები: სალხინო, მარტვილის მონასტერი და მუზეუმი, ზუგდიდი, ხიბულისა და ხეთის ციხეები, კოლხური ნამოსახლარები, ანაკლია...

სამწუხაროდ, მრავალსაუკუნოვანმა თურქულმა ბატონობამ მძიმე დაღი დაასვა ლაზებს–მათ არც საკუთარი გვარები შეარჩინეს და არც რწმენა. დღეს ისინი სუნიტი მუსლიმანები არიან, თუმცა ლაზი ქალები პურზე დღესაც ჯვარს გამოსახავენ, ხოლო მამაკაცები დღესაც შესაწირავი ცხვრით მიდიან თავიანთ მამა-პაპათა „ოხვამე–ნაეკლესიარებში,“ რომლებიც მრავლად არის ლაზეთში. რაც არ უნდა გვიკვირდეს, რადგან ანდრია მოციქული სწორედ აქ ჩამოვიდა პირველად. სტუმრებმა ჩამომიტანეს არქაბის ციხისა და იქ აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლის ანალოგები აღმოჩენილი გვაქვს ჭალადიდსა და პირველ მაისში. ლაზური ინტელიგენცია ცდილობს არ დაიკარგოს ლაზური ენა, ფოლკლორი და ისტორია, მათ საკმაოდ კარგად იციან კოლხეთისა და ზოგადად საქართველოს ისტორია, ძალიან ეამაყებათ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მეთაური ნოე ჟორდანია წარმოშობით ლაზი იყო, ხოლო სვეტიცხოვლის ამგები –კონსტანტინე არსაკიძე ლაზია.

500 წლოვანი აუტანელი ჭირვარამ გადახდილ ლაზებს არ დაუკარგავთ საერთო ქართული მგრძნობელობა და ერთობისაკენ ისწრაფვიან, რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ ზოგადად ქართული პრობლემა მოგვარებადია. ჯერჯერობით ეგრისის მეფის გუბაზის მოწოდება და სურვილი–„დე, ნუ გაქრება ლაზების სახელი!“–აქტუალურია.

**გოგიტა ჩიტაია.**



არქაბის ციხეში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი



ჭალადიდში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი



## სწავლა-განათლებაზე უთქვამთ...

*წურთვნა სხვაა და სწავლა სხვა. ერთს ერთი საგანი აქვს და მეორეს–სხვა. წურთვნა მიმართულია ზნე-ხასიათის ზრდასა და განვითარებაზე და სწავლა–კი გონების გახსნასა და მსჯელობის განვითარებაზე. საკმაო არ არის, რომ კაცი მეცნიერი იყოს, დიდი სწავლა მიეღოს, ბევრი ცოდნა შეეძინოს. ამასთანავე იგი კაი კაციც იყოს და კაი–კაცობის შემძლეობაც ჰქონდეს. ეს კაი-კაცობა და კაი-კაცობის შემძლეობა მარტო ზნე–ხასიათისაგან ეძლევა ადამიანს. ავი კაცი რამოდენადაც მეცნიერია და დიდად სწავლული, იმოდენად უფრო ძლიერ საშიშარია, უფრო დიდად მავნებელია.*

* * *

*ბევრ ტანჯვას და ვაივაგლახს გამოივლის მქადაგებელი, ვიდრე დაიყოლიებს საზოგადოებას და ჩააგონებს თავის საკუთარ რწმენას.*

**ილია ჭავჭავაძე**

*მამულის სიყვარული, მხურვალე ეროვნული გრძნობა, არის უპირველესი რამ ქვეყნის ბედნიერებისათვის... ბედნიერება ქვეყნისა მით უფრო მტკიცე გზაზედა სდგას, რამდენადაც ბევრი ჰყავს მას გულშემატკივარი და ერთგული მამულიშვილი.*

* * *

*სადაც კი ჭეშმარიტი განათლების ლამპარი დანთებულა, დედაბოძად მას ჰქონია და აქვს დედაენა, სწავლება დედაენაზე, როგორც საუკეთესო დონე განვითარებისა და ცოდნის შეძენისა... რომელ ქვეყანაშიაც კი გადაუხვევიათ ამ გზისათვის, იქ გონების გახსნის მაგიერ მისი დახშობა მიუღიათ, განათლების მაგიერ – დაბნელება და ზნეობის გაწმენდის და ამაღლების მაგიერ–მისი დაცემა.*

**იაკობ გოგებაშვილი**

# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
## ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო დადგენილება N7

*ქ.ხობი* *2010 წლის 27 აგვისტო*

**„ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის N137 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე**

**„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

**1. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 ივლისის N5 დადგენილების შესაბამისად, შეტანილ იქნეს ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებული შემდეგი გადანაწილებები:**

ა) ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურისთვის გამოყოფილ ასიგნებებში შემცირებულია მუხლი „საქონელი და მომსახურების“ ხარჯები („ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის“ ხარჯები) 0,6 ათასი ლარით და შესაბამისად, 0,6 ათასი ლარით გაზრდილია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატისთვის გამოყოფილ ასიგნებებში „საქონელი და მომსახურების“ ხარჯები („ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის“ ხარჯები).

**2. შემცირდეს ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში:**

ა) ხობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები 0,6 ათასი ლარით (მათ შორის: გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის ხარჯები (მივლინების ხარჯები - 0,3 ათასი ლარი, ოფისის ხარჯები - 0,3 ათასი ლარი));

ბ) ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის ხარჯები - 152,9 ათასი ლარით (მათ შორის: გზების შენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები („არაფინანსური აქტივების ზრდა“) – 34,4 ათასი ლარით; წყლის სისტემის რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ხარჯები („არაფინანსური აქტივების ზრდა“) – 43,1 ათასი ლარით; სანიაღვრე და საკანალიზაციო სიტემების ექსპლოატაციის და რეაბილიტაციის ხარჯები („არაფინასური აქტივების ზრდა“) – 7,3 ათასი ლარით; კეთილმოწყობის სამუშაოების ხარჯები („არაფინასური აქტივების ზრდა“) – 68,1 ათასი ლარით).

**3. დადგენილების მე-2 პუნქტით გამოთავისუფლებული თანხები მიიმართოს შემდეგ დამატებით ღონისძიებათა დასაფინანსებლად:**

ა) წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებზე - 19,3 ათასი ლარი (აქედან: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯები“ – 15,0 ათასი ლარი; ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატის „სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯები“ - 3,7 ათასი ლარი; ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის ხარჯები („არაფინანსური აქტივების ზრდა“) - 0,6 ათასი ლარი);

ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების დაფინანსების ხარჯებზე („არაფინასური აქტივების ზრდა“) - 4,8 ათასი ლარი;

გ) „ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის“ ხარჯებზე - 129,4 ათასი ლარი (აქედან: „არაფინასური აქტივები“ - 129,4 ათასი ლარი (მათ შორის: გზების შენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 18,3 ათასი ლარი, წყლის სისტემის რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ხარჯები - 43,8 ათასი ლარი, სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი სამუშაოები - 3,9 ათასი ლარი, სანიაღვრე და საკანალიზაციო სიტემების ექსპლოატაციის და რეაბილიტაციის სამუშაოები - 7,8 ათასი ლარი, კეთილმოწყობის სამუშაოები - 55,6 ათასი ლარი);

**4. დადგენილების პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, „ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის N137 დადგენილებაში შეტანილიქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:**

**ა) დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ბალანსი თანახმად N1 დანართისა:

ა) ბიუჯეტის შემოსავლები - 7968,5 ათასი ლარით (აქედან: გადასახადები 6192.0 ათასი ლარი; გრანტები - 1459,5 ათასი ლარი; სხვა შემოსავლები - 317,0 ათასი ლარი);

ბ) ბიუჯეტის ხარჯები - 4870,4 ათასი ლარით (აქედან: შრომის ანაზღაურება - 1145,6 ათასი ლარი; საქონელი და მომსახურება - 811,7 ათასი ლარი; პროცენტი - 65,1 ათასი ლარი; სუბსიდიები - 2588,0 ათასი ლარი; სოციალური უზრუნველყოფა - 260,0 ათასი ლარი);

გ) საოპერაციო სალდო - 3098,1 ათასი ლარით;

დ) არაფინასური აქტივების ცვლილება - 3081,0 ათასი ლარით;

ე) მთლიანი სალდო - 17,1 ათასი ლარით;

ვ) ფინასური აქტივების ცვლილება - 6,3 ათასი ლარით.“.

**ბ) დადგენილების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანახმად N2 დანართისა. მათ შორის:

ა) შემოსულობები - 8618,5 ათასი ლარით (აქედან: შემოსავლები - 7968,5 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების კლება - 650,0 ათასი ლარი);

ბ) გადასახდელები - 8612,2 ათასი ლარით (აქედან: ხარჯები - 4870,4 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა - 3731,0 ათასი ლარი);

გ) ნაშთის ცვლილება - 6,3 ათასი ლარით;“.

**გ) დადგენილების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„5. ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია განისაზღვროს თანახმად N5 დანართისა. მათ შორის:

ა) საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 1573,1 ათასი ლარით;

ბ) თავდაცვა - 87,5 ათასი ლარით;

გ) საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 335,4 ათასი ლარით;

დ) ეკონომიკური საქმიანობა - 1686,1 ათასი ლარით;

ე) გარემოს დაცვა - 389,1 ათასი ლარით;

ვ) საბინაო კომუნალური მეურნეობა - 1618,8 ათასი ლარით;

ზ) ჯანმრთელობის დაცვა - 129,5 ათასი ლარით;

თ) დასვენება, კულტურა და რელიგია - 913,0 ათასი ლარით;

ი) განათლება - 1619,7 ათასი ლარით;

კ) სოციალური დაცვა - 260,0 ათასი ლარით.“.

**დ) დადგენილების დანართი 1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„დანართი 1
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2009 წლის 30 დეკემბრის N137 დადგენილებისა

**ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ბალანსი**

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2009 წლის გეგმა | 2010 წლის გეგმა |
|---|---|---|
| *შემოსავლები* | *7 002,6* | *7 968,5* |
| გადასახადები | 5387,0 | 6 192,0 |
| გრანტები | 1 023,0 | 1 459,5 |
| სხვა შემოსავლები | 592,6 | 317,0 |
| *ხარჯები* | *4 622,8* | *4 870,4* |
| შრომის ანაზღაურება | 1 216,4 | 1 145,6 |
| საქონელი და მომსახურება | 871,2 | 811,7 |
| პროცენტი | 0,0 | 65,1 |
| სუბსიდიები | 2 066,3 | 2 588,0 |
| გრანტები | 0,0 | 0,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 298,2 | 260,0 |
| სხვა ხარჯები | 170,7 | 0,0 |
| *საოპერაციო სალდო* | *2 379,8* | *3 098,1* |
| *არაფინანსური აქტივების ცვლილება* | *2 456,6* | *3 081,0* |
| ზრდა | 3 276,6 | 3 731,0 |
| კლება | 820,0 | 650,0 |
| *მთლიანი სალდო* | *-76,8* | *17,1* |
| *ფინანსური აქტივების ცვლილება* | *-76,8* | *6,3* |
| ზრდა | 259,2 | 24,4 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 259,2 | 24,4 |
| სესხები | 0,0 | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | | |
| **ვალდებულებების ცვლილება** | 0,0 | -10,8 |
| *ზრდა* | *0,0* | *0,0* |
| საგარეო | 0,0 | 0,0 |
| საშინაო | 0,0 | 0,0 |
| კლება | 0,0 | 10,8 |
| საგარეო | | |
| საშინაო | 0,0 | 10,8 |
| **ბალანსი** | 0,0 | 0,0 |

„დანართი 2
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2009 წლის 30 დეკემბრის N137 დადგენილებისა

**ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობებიბ, გადასახდელები, და ნაშთის ცვლილება**

| *დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა* | *2009 წლის გეგმა* | *2010 წლის გეგმა* |
|---|---|---|
| **შემოსულობები** | 7 822,6 | 8 618,5 |
| შემოსავლები | 7 002,6 | 7 968,5 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 820,0 | 650,0 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) | 0,0 | 0,0 |
| ვალდებულებების ზრდა | 0,0 | 0,0 |
| | | |
| **გადასახდელები** | 7 899,4 | 8 612,2 |
| ხარჯები | 4 622,8 | 4 870,4 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 3 276,6 | 3 731,0 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | 0,0 | 0,0 |
| ვალდებულებების კლება | 0,0 | 10,8 |
| **ნაშთის ცვლილება** | -76,8 | –6,3 |

| შემოსულობების კოდები | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2009 წლის გეგმა | 2010 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| | შემოსულობები | 8 158,6 | 8 618,5 |
| | შემოსავლები | 7 002,6 | 7 968,5 |
| | არაფინანსური აქტივების კლება | 820,0 | 650,0 |
| | ფინანსური აქტივების კლება | 336,0 | 0,0 |
| | ვალდებულებების ზრდა | 0,0 | 0,0 |
| | შემოსავლები | 7 002,6 | 7 968,5 |
| 11 | გადასახადები | 5387,0 | 6 192,0 |
| 11111 | საშემოსავლო გადასახადი | | |
| 11311 | ქონების გადასახადი | 5387,0 | 6 192,0 |
| 1131101 | საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 3 920,0 | 4 630,0 |
| 1131102 | უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | | |
| 1131103 | ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 10,0 | 2,0 |
| 11311042 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 100,0 | 100,0 |
| 11311052 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 1 357,0 | 1 460,0 |
| 1136 | სხვა გადასახადები ქონებაზე | | |
| 116 | სხვა გადასახადები | | |
| 13 | გრანტები | 1 023,0 | 1 459,5 |
| 131 | საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები | | |
| 132 | უცხო ქვეყნების მთავრობებიდან ან მათი წარმომადგენლობებიდან მიღებული გრანტები | | |
| 133 | სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები | 1 023,0 | 1 459,5 |
| | გათანაბრებითი ტრანსფერი | | |
| | მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 320,0 | 166,0 |
| | სპეციალური ტრანსფერი | 703,0 | 1 293,5 |
| | მ.შ. ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად | | 724,9 |
| | მ.შ. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები | 14,0 | |
| | მ.შ. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები | | |
| | მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები | 689,0 | 568,6 |
| 14 | სხვა შემოსავლები | 592,6 | 317,0 |
| 141 | შემოსავლები საკუთრებიდან | 140,0 | 85,0 |
| | პროცენტები | | |
| | დივიდენდები | | |
| | რენტა | 140,0 | 85,0 |
| 14151 | მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 140,0 | 80,0 |
| 14153 | მოსაკრებელი ნადირობის ნებართვაზე | | |
| 14154 | შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი,ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | | 5,0 |
| 14159 | სხვა არაკლასიფიცირებული რენტა | | |
| 142 | საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 132,0 | 112,0 |
| 1422 | ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 43,0 | 25,0 |
| 14222 | საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი | | |
| 14223 | სანებართვო მოსაკრებელი | | 5,0 |
| 14227 | სახელმწიფო ბაჟი | | |
| 14229 | საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი | | |
| 142210 | სატენდერო მოსაკრებელი | 3,0 | 2,0 |
| 142212 | სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | | |
| 142213 | სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 24,0 | |
| საშინაო | კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არიალის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი | | |
| 142216 | ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის | | |
| 142214 | ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 14,0 | 18,0 |
| 142299 | სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი | 2,0 | |
| 1423 | არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 89,0 | 87,0 |
| 14231 | შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან | | |
| 14232 | შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 89,0 | 87,0 |
| 143 | ჯარიმები,სანქციები და საურავები | 110,0 | 120,0 |
| 144 | ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე | | |
| 70455 | მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები | 0,0 | 0,0 |
| 7046 | კავშირგაბმულობა | | |


| | | | |
|---|---|---|---|
| 70441 | მინერალური რესურსების მოპოვება, მინერალური საწვავის გარდა | | |
| 70442 | გადამამუშავებელი მრეწველობა | | |
| 70443 | მშენებლობა | | |
| 7045 | ტრანსპორტი | 1 019,3 | 649,0 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 1 019,3 | 649,0 |
| 70452 | საზღვაო ტრანსპორტი | | |
| 70453 | სარკინიგზო ტრანსპორტი | | |
| 70454 | საჰაერო ტრანსპორტი | | |
| 70455 | მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები | 0,0 | 0,0 |
| 7046 | კავშირგაბმულობა | | |


| | | | |
|---|---|---|---|
| 7047 | ეკონომიკის სხვა დარგები | 0,0 | 0,0 |
| 70471 | ვაჭრობა,მარაგების შექმნა,შენახვა და დასაწყობება | | |
| 70472 | სასტუმროები და რესტორნები | | |
| 70473 | ტურიზმი | | |
| 70474 | მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტები | | |
| 7048 | გამოყენებითი კვლევები ეკონომიკური საქმიანობის სფეროში | 0,0 | 0,0 |
| 70481 | გამოყენებითი კვლევები საერთო ეკონომიკურ,კომერციულ და შრომით რესურსებთან დაკავშირებულ საქმიანობაში | | |
| 70482 | გამოყენებითი კვლევები სოფლის მეურნეობაში, სატყეო მეურნეობაში,მეთევზეობასა და მონადირეობაში | | |
| 70483 | გამოყენებითი კვლევები სათბობსა და ენერგეტიკაში | | |
| 70484 | გამოყენებითი კვლევები სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობასა და მშენებლობაში | | |
| 70485 | გამოყენებითი კვლევები ტრანსპორტის სფეროში | | |
| 70486 | გამოყენებითი კვლევები კავშირგაბმულობის სფეროში | | |
| 70487 | გამოყენებითი კვლევები სხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობაში | | |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | | |
| 705 | გარემოს დაცვა | 281,7 | 389,1 |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება,გადამუშავება და განადგურება | 243,8 | 265,0 |
| 7052 | ჩამდინარე წყლების მართვა | 37,9 | 124,1 |
| 7053 | გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა | | |
| 7054 | ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა | | |
| 7055 | გამოყენებითი კვლევები გარემოს დაცვის სფეროში | | |
| 7056 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში | | |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 442,7 | 1 618,8 |
| 7061 | ბინათმშენებლობა | ***0,0*** | ***0,0*** |
| 7062 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | | 488,9 |
| 7063 | წყალმომარაგება | 228,7 | 583,9 |
| 7064 | გარე განათება | 214,0 | 546,0 |
| 7065 | გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | | |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | | |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 116,5 | 129,5 |
| 7071 | სამედიცინო პროდუქცია,მოწყობილობები და აპარატები | | |
| 70711 | ფარმაცევტული პროდუქცია | | |
| 70712 | სხვა სამედიცინო პროდუქცია | | |
| 70713 | თერაპიული დანიშნულების მოწყობილობები და აპარატები | | |
| 7072 | ამბულატორიული მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| 70721 | ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება | | |
| 70722 | სპეციალიზებული ამბულატორიული მომსახურება | | |
| 70723 | სტომატოლოგიური მომსახურება | | |
| 70724 | საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება | | |
| 7073 | საავადმყოფოების მომსახურება | ***0,0*** | ***0,0*** |
| 70731 | ზოგადი პროფილის საავადმყოფოების მომსახურება | | |
| 70732 | სპეციალიზებული საავადმყოფოების მომსახურება | | |
| 70733 | სამედიცინო ცენტრებისა და სამშობიარო სახლების მომსახურება | | |


| | | | |
|---|---|---|---|
| 7073 | საავადმყოფოების მომსახურება | ***0,0*** | ***0,0*** |
| 70731 | ზოგადი პროფილის საავადმყოფოების მომსახურება | | |
| 70732 | სპეციალიზებული საავადმყოფოების მომსახურება | | |
| 70733 | სამედიცინო ცენტრებისა და სამშობიარო სახლების მომსახურება | | |


| | | | |
|---|---|---|---|
| 70734 | სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება | | |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 116,5 | 129,5 |
| 7075 | გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში | | |
| 7076 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში | 0,0 | 0,0 |
| 708 | დასვენება,კულტურა და რელიგია | 716,2 | 913,0 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 99,8 | 346,8 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 569,5 | 509,3 |
| 7083 | ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 38,9 | 39,4 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 8,0 | 7,0 |
| 7085 | გამოყენებითი კვლევები დასვენების,კულტურისა და რელიგიის სფეროში | | 10,5 |
| 7086 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების,კულტურისა და რელიგიის სფეროში | | |
| 709 | განათლება | 1 549,7 | 1 619,7 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | ***898,8*** | ***1 171,7*** |
| 7092 | ზოგადი განათლება | 650,9 | 157,0 |
| 70921 | დაწყებითი ზოგადი განათლება | | |
| 70922 | საბაზო ზოგადი განათლება | | |
| 70923 | საშუალო ზოგადი განათლება | | |
| 7093 | პროფესიული განათლება | | |
| 7094 | უმაღლესი განათლება | 0,0 | 0,0 |
| 70941 | უმაღლესი პროფესიული განათლება | | |
| 70942 | უმაღლესი აკადემიური განათლება | | |
| 7095 | უმაღლესისშემდგომი განათლება | | |
| 7096 | განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება | | |
| 7097 | გამოყენებითი კვლევები განათლების სფეროში | | |
| 7098 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | | 291,0 |
| 710 | სოციალური დაცვა | 298,2 | 260,0 |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 60,0 | 62,0 |
| 71011 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 60,0 | 62,0 |
| 71012 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | | |
| 7102 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 76,3 | 81,2 |
| 7103 | მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა | 8,0 | 6,2 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 153,9 | 110,6 |
| 7105 | უმუშევართა სოციალური დაცვა | | |
| 7106 | საცხოვრებლით უზრუნველყოფა | | |
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები,რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | | |
| 7108 | გამოყენებითი კვლევები სოციალური დაცვის სფეროში | | |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 0,0 | 0,0 |
| | **სულ** | **7 252,3** | **8 612,2** |

**5) დადგენილების ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე**

**საკრებულოს თავმჯდომარე**
**მ.ჭოხონელიძე**

# ანგარიში

## ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2010 წლის 6 თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის №137 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი საშემოსავლო ნაწილში 7325.0 ათასი ლარის, ხოლო საგასავლო ნაწილში 7262.5 ათასი ლარის ოდენობით. მიმდინარე წლის 6 თვეში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა საშემოსავლო ნაწილში 8449.9 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 8443.6 ათასი ლარი.

2010 წლის 6 თვის შედეგებით, შემოსულობების გეგმა შესრულებულია 71.7%-ით (გეგმა 5593.7 ათასი ლარი, შესრულება 4009.1ათასი ლარი ), შეუსრულებელია საგადასახადო შემოსავლები 1826,4 ათასი ლარით (გეგმა 3818,2 ათასი ლარი ფაქტიური შესრულება 1991,8 ათასი ლარი) გეგმა შესრულებულია 52,2 %. შეუსრულებელია საწარმოთა ქონების გადასახადი 1774,2 ათასი ლარით რაც გამოწვეულია შპს „შავი ზღვის ტერმინალი"–დან თანხის მიუღებლობით, მათ გააჩნიათ ზედმეტობა დ.ღ.გ–ის გადასახადში რომლის გადამისამართება შესაძლებელი იყო, რაზედაც მიეწერა ფინანსთა სამინისტროს,მაგრამ ჯერჯერობით მთლიანად არ მომხდარა დაფინანსება.

ქონების გადასახადი (მიწაზე) გეგმიური 155,0 ათასი ლარი შემოსულია 102,8 ათასი ლარი ე.ი შეუსრულებელია 52,2 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია გადასახადის გადახდის ვადაზე ადრე დაგეგმვით.

გრანტები დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ზემდგომი ბიუჯეტიდან ექვს თვეში გეგმით გათვალისწინებული 76,1 ათასი ლარიდან მიღებულია მხოლოდ 20,0 ათასი ლარი,

სპეციალური ტრანსფერი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის მიღებულია 1000,0 ათასი ლარი ნაცვლად 1124,9 ათასი ლარისა ე.ი. 124,9 ათასი ლარით ნაკლები,

სხვა შემოსავლები მიმდინარე წლის 6 თვეში გეგმით გათვალისწინებული 164,5 ათასი ლარიდან შემოსულია 173,7 ათასი ლარი ე,ი, 9,2 ათასი ლარით მეტი. გადაჭარბებით არის შესრულებული ადმინისტრაციული გადასახადები და მოსაკრებლები.

მიმდინარე წლის 6 თვეში იჯარიდან შემოსავალი გეგმით არ იყო გათვალისწინებული ფაქტიურად შემოსულია 9,2 ათასი ლარი მათ შორის მიწის იჯარა 7,2 ათასი ლარი შენობა ნაგებობის იჯარიდან შემოსულია 2,0 ათასი ლარი

გადაჭარბებითაა შესრულებული შემოსავლები ჯარიმიდან, სანქციებიდან და საურავებიდან 11,5 ათასი ლარი, შემოსავლების გადაჭარბებით შესრულება გამოწვეულია კაპიტალურ სამუშაოებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევით რის შედეგად დაეკისრათ ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმების გადახდა.

შეუსრულებელია შემოსავლები მომსახურეობის გაწევიდან 15,9 ათასი ლარით (გეგმა 53,5 ათასი ლარი ფაქტიური შესრულება 37,6 ათასი ლარი ) შესრულებულია სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებიდან სპეცსახსრების გეგმა 6,8 ათასი ლარით, (გეგმა 33,6 ათასი ლარი შესრულებულია 26,8 ათასი ლარი) გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია ბავშვთდღეთა დაგეგმილზე ნაკლები ოდენობით გატარებით, განათლების ცენტრიდან სპეცსახსრების გეგმის შესრულებას დააკლდა 2,4 ათასი რაც გამოწვეულია მუსიკალურ სკოლიდან მოსწავლეთა განთესვით, გეგმით გათვალისწინებული 80 მოსწავლიდან დარჩა 75 მოსწავლე.

კულტურის ცენტრის მიერ სპეცსახსრების შემოსვლის გეგმა შესრულებას დააკლდა 6,7 ათასი ლარი აქედან 3,2 ათასი ლარი 30 ივნისის გადმორიცხული თანხა ფაქტიურად შემოსულია ივლისის თვეში, რაც 6 თვის შესრულებას დააკლდა.

შემოსულობები არაფინასური აქტივების კლება შესრულებულია 413,6 ათასი ლარის გადამეტებით (გეგმა 410,0 ათასი ლარი ფაქტიური შესრულება 823,6 ათასი ლარი) გადაჭარბება გამოწვეულია შპს „ანაკლია პორტი"–ის მიერ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის შესყიდვით რაც ბიუჯეტით არ იყო გათვალისწინებული

ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი ათვისებულია 68,7 % (გეგმა 5518,1 ათასი ლარი ფაქტიური შესრულება 3792,4 ათასი ლარი რაც მოდის შემდეგ ღონისძიებებში კერძოდ: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯები 6 თვეში გეგმით გათვალისწინებული 775,3 ათასი ლარიდან ათვისებულია 625.9 ათასი ლარი ანუ 149.4 ათასი ლარით ნაკლები, აუთვისებელია წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები 83.4 ათასი ლარით რაც მოდის შემდეგ ორგანიზაციებზე: მუნიციპალიტეტის საკრებულოში აუთვისებელია ხელფასი 6.9 ათასი ლარით (გეგმა 102.8 ფაქტი 95.9), რაც გამოწვეულია თანამდებობათა ვაკანსიით. ოფისის ხარჯი 1.9 ათასი ლარით (გეგმა 15.1 ფაქტიური ხარჯი 13.2). ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი 5.2 ათასი ლარით (გეგმა 21.9 ფაქტიური შესრულება16.7 ათასი ლარი). არაფინანსური აქტივების ზრდა 5.0 ათასი ლარი (გეგმა 5.0 ათასი ლარი შესრულება არ აქვს).

მუნიციპალიტეტის გამგეობაში აუთვისებელია ხელფასი 1.7 ათასი ლარით რაც გამოწვეულია თანამდებობათა დროებითი ვაკანსიით ( გეგმა 89.7 ფაქტი 88.0 ). ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა შენახვის ხარჯი 0,5 ათასი ლარით ( გეგმა 14.3 ფაქტი 13.6 ). აუთვისებელია არაფინანსური აქტივების ზრდა 19.8 ათასი ლარით, ადმინისტრაციული შენობის რემონტი რომელიც გათვალისწინებული იყო ექვს თვეში ფაქტიურად არ ჩატარებულა.

ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში აუთვისებელია არაფინანსური აქტივების ზრდა 8.0 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია იმით რომ ა/მანქანის შეძენა გათვალისწინებული იყო 6-თვეში და ფაქტიურად არ განხორციელებულა შესყიდვა.

მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოების შენახვის ხარჯები აუთვისებელია 13.6 ათასი ლარით, კერძოდ, აუთვისებელია შრომის ანაზღაურების ხარჯი 2.1 ათასი ლარით, ოფისის ხარჯი 5.8 ათასი ლარით და კომუნალური ხარჯები 5.8 ათასი ლაარით.

სარეზერვო ფონდი ექვს თვეში გეგმით გათვალისწინებული 70.0 ათასი ლარიდან ათვისებულია 12.0 ათასი ლარი.

მაჟორიტარი დეპუტატის მომსახურეობის (წარმომადგენლობითი) ხარჯები აუთვისებელია 5.8 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო ა/მანქანის შეძენა რომელიც ფაქტიურად არ განხორციელებულა.

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის ხარჯები აუთვისებელია სულ 21.8 ათასი ლარი. აქედან, აუთვისებელია უნიფორმის შეძენის ხარჯები 10.0 ათასი ლარით, ტრანსპორტის შენახვის ხარჯი 6.0 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა 4.0 ათასი ლარით, საქონელი და მომსაურების ხარჯი 0.5 ათასი ლარით.

თავდაცვის ხარჯები აუთვისებელია სულ 7.0 ათასი ლარით. აქედან, აუთვისებელია ტრანსპორტის შენახვის ხარჯი 2.2 ათასი ლარითდა გაწვევის ხარჯი 3.1 ათასი ლარით.

ეკონომიკური საქმიანობა – გეგმით გათვალისწინებული 1476.4 ათასი ლარიდან ათვისებულია 1169.5 ათასი ლარი ანუ 306.9 ათასი ლარით ნაკლები, მათ შორის ნაპირსამაგრი სამუშაოები 219.5 ლარით, საგზაო სამუშაოები 87.4 ათასი ლარით, სადაც სამუშაოები ფაქტიურად ჩატარებულია მაგრამ ვინაიდან ვერ მოხერხდა დროულად ექსპერტის ჩატარება სამუშაო არ იქნა დაფინანსებულა.

წყალმომარაგების ხარჯები გეგმით გათვალისწინებული 543,3 ათასი ლარიდან ათვისებულია 206,7 ათასი ლარი ანუ 336,6 ათასი ლარით ნაკლები გარე განათების ხარჯები 216,2 ათასი ლარით ნაკლები. კეთილმოწყობის სამუშაოები 243,6 ათასი ლარით აღნიშნული სამუშაოთა უმეტესობა დამთავრებულია ზოგი სამუშაო მიმდინარეობს,

აიპ სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების ხარჯები 6 თვეში გეგმით გათვალისწინებული 548,5 ათასი ლარიდან ათვისებულია 435,5 ათასი ლარი 113,0 ათასი ლარით ნაკლები ეკონომია ძირითადად მოდის კვების ხარჯებში რაც გამოწვეულია ბავშვდღეთა გეგმაზე ნაკლები ოდენობით გატარებით

აიპ კულტურის ცენტრის ხარჯები აუთვისებელია 81,7 ათასი ლარით აუთვისებბლია არაფინასური აქტივების ზრდა 70,0 ათასი ლარით.

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხარჯები აუთვისებელია 27,3 ათასი ლარით აუთვისებელია სუბსიდიების ხარჯები ძეგლთა დაცვისა და კულტურულ მემკვიდრეობის ხარეჯები 5,1 ათასი ლარით საჯარო სკოლების დაფინასების ხარჯები აუთვისებელია 7,7 ათასი ლარით გეგმა შეადგენდა 27,9 ათას ლარს შესრულება 20,2 ათასი ლარი აუთვისებელია მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯები რაც გამოწვეულია ფაქიურად გაწეული ხარჯების მიხედვიტ დაფინანსებით.

აიპ განათლების ცენტრის ხარჯები აუთვისებელია 40,2 ათასი ლარით (გეგმა 176,1 ათასი ლარი ფაქტიური შესრულება 136,4 ათასი ლარი აუთვისებელია კაპიტალური ხარჯები რაც გათვალისწინებული იყო 6 თვეში ფაქტიურად ვერ მოხერხდა დღეის მდგომარეობით სამუშაო დამთავრებულია,

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხარჯები აუთვისებელია 9,8 ათასი ლარით (გეგმა 44,9 ათასი ლარი ფაქტიური ხარჯი 35,1 თასი ლარი).

სოციალური დაცვის ხარჯები გეგმით გათვალისწინებული 134,8 ათასი ლარისა ათვისებულია 102,0 ათასი ლარით 32,8 ათასი ლარით ნაკლები , აუთვისებელია მკურნალობის ხარჯები 20,1 ათასი ლარით უმწეოთა სასადილოს შენახვის ხარჯები 6,6 ათასი ლარით ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯი 2,4 ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2010 წლის 30 დეკემბერს, საშემოსავლო ნაწილი 7325,0 ათასი ლარით და საგასავლო ნაწილი 7262,5 ათასი ლარის ოდენობით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი დაყვანილ იქნა საბიუჯეტო დაწესებულებამდე დაწესებულებების მიერ მუხლობრივ ჭრილში თვეების მიხედვით. განაწილებული ბიუჯეტი წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურში, საფინანსო – საბიუჯეტო სამასახურის მიერ შედგენილ იქნა ბიუჯეტის განწერა და გადაეცა საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტერიას სახელმძღვანელოდ, მუნიციპალიტეტის დაწესებულებების მიერ შედგენილი და დამტკიცებული ინდივიდუალური ხარჯთააღრიცხვები წარმოდგენილია საფინანსო–სამსახურში,

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი საჭირო დანართებით წარდგენილია ფინანსთა სამინისტროში,, მიმდინარე წლის 6 თვეში მომხდარი ცვლილების შემდეგ დაზუსტებულმა გეგმამ საშემოსავლო ნაწილში შეადგინა 8449,2 ათასი ლარი, საგასავლო ნაწილში 8443,6 ათასი ლარი. მიმდინარე წლის 6 თვეში ზემდგომი ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო სულ 1124,9 ათასი ლარი. მათ შორის საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13.01 №41 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელებლად 724,9 ათასი ლარი, რის საფუძველზე სოფლების მიერ წარმოდგენილია თანხების განაწილება ღონისძიებების მიხედვით აღნიშნულზე ბიუჯეტში სათანადო ცვლილების შესატანად მომზადდა პროექტი.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13.01 №40 განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო რეგიონებში განსახორცილებელი პროექტების ფონდიდან 400 ათასი ლარი. საიდანაც 224 ათასი ლარი მიიმართა პ/ფოთში შავღელის უბანში წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად. 76 ათასი ლარი პ.ფოთში შ.ღელეს უბანში შესასვლელი გზის მოხრეშვითი სამუშაოების შესასრულებლად და 100 ათასი ლარი სოფ.საგვიჩიოში წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად. ბიუჯეტში ცვლილებების შესატანად საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის მიერ მომზადდა პროექტი რომელიც წარედგინა საკრებულოს, მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა პროექტი და მიღებულია სათანადო დაგენილება აღნიშნული თანხების დასაზუსტებლად.

6 თვეში სოფლის პროგრამის განსახორციელებლად მიღებულია 650 ათასი ლარი და გახარჯულია 599,3 ათასი ლარი, ხოლო საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 იანვრის №40 განკარგულებით ზემდგომი ბიუჯეტით მიღებულკია 350 ათასი ლარი და გახარჯულია 175,7 ათასი ლარი (დღეის მდგომერეობით აღნიშნული თანხა მთლიანად ათვისებულია) მიმდინარე წლის 6 თვეში 2010 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილება შეტანილია ოთხჯერ, ყველა ცვლილებების შემდეგ დაზუსტებული გეგმა წარდგენილია ფინანსთა სამინისტროში,

სამსახურის მიერ ხორციელდება შესყიდვების გეგმის შედგენა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარდგენა, ყველა ცვლილებები და შესრულებები პერიოდულად ეგზავნება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს. მუნიციპალიტეტში ყველა შესყიდვებზე გაფორმებულია მუნიციპალიტეტის გამგეობასა და მომწოდებელს შორის ხელშეკრულება. მიმდინარე წლის 6 თვეში გაფორმებულია 185 ხელშეკრულება თანხით 1723,5 ათასი ლარზე, საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის მიერ ყოველთვიურად შესრულების შედეგები იგზავნება ფინანსთა სამინისტროში დაზუსტებული გეგმის მიხედვით და კვარტალური ანგარიშები სათანადო ფორმით და ახსნა განმარტებითი ბარათებით, ასევე პერიუდულად წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობას.

მუნიციპალიტეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების დაფინანსება ხდება დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით წინასწარი კონტროლის გაწევით. თანხების არამიზნობრივად გადარიცხვას და გეგმაზე ზევით დაფინანსებას ადგილი არ აქვს საფინან-



→ 20

19 ←



სო–საბიუჯეტო სამსახუში დასაქმებულია 9 საშტატო ერთეული ყველას დაკისრებული აქვს ფუნქციები, თანამშრომლების მიერ უფლება მოსილების გადამეტებას ადგილი არ აქვს.

ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში გაერთიანებულია ორი განყოფილება 14 საშტატო ერთეულით, სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს გამგებლის მიერ დამტკიცებული დებულებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამსახურის მეშვეობით ხორციელდება მეწარმეთა საქმიანობის განმტკიცების მიზნით მათთან გარკვეული თანამშრომლობა, მათი განვითარებისა და ხელშეწყობის თვალსაზრისით სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თითოეული მეწარმის საქმიანობას, აძლევს რეკომენდაციებს და უქმნის ნორმალურ პირობებს საქმიანობის წარმართვისათვის.

მუნიციპალიტეტში დღეის მდგომარეობით რეგისტრირებულია 491 იურიდიული და ფიზიკური პირი, საიდანაც 21 საწარმო აწარმოებს სამრეწველო პროდუქციას, სოფლის მეურნეობაში რეგისტრირებულია 126, ვაჭრობიდან 307, მშენებლობიდან 37.

მუნიციპალიტეტის იურიდიული და ფიზიკური პირების საქმიანობიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქციის მიხედვით შიდა პროდუქტმა შეადგინა 11.2 მილიონი ლარი, მათ შორის მრეწველობიდან 117 ათასი ლარი, სოფლის მეურნეობიდან 6.5 მილიონი ლარი, მშენებლობიდან 520 ათასი ლარი, ვაჭრობიდან 4.1 მილიონი ლარი, სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში შეადგენს 59 %-ს.

ბიუჯეტში ადგილობრივი მოსაკრებლების სახით შემოსულ იქნა 93 ათასი ლარი, მათ შორის სანებართვო მოსაკრებელი 9.4 ათასი ლარი, სატენდერო მოსაკრებელი 1.0 ათასი ლარი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი 8.5 ათასი ლარი, შემოსავლები მომსახურების გაწევიდან შემოსულია 37.6 ათასი ლარი, მათ შორის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში შემოსულია 26.8 ათასი ლარი, ნაცვლად დაგეგმილი 33.6 ათასი ლარისა, გეგმის შეუსრულებლობას დააკლდა 6.8 ათასი ლარი, რაც გამოწვეულია საბავშვო ბაღებში ბავშვების გამოუცხადებლობით. ასევე ბიუჯეტში კულტურის ცენტრის მიერ შეტანილმა თანხამ შეადგინა 4.8 ათასი ლარი,ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11.5 ათასი ლარისა, გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია თანხის არასწორი ჩარიცხვით, ხოლო სამუსიკო სკოლის მიერ შეტანილმა თანხამ 6 თვის მდგომარეობით შეადგინა 6.0 ათასი ლარი ნაცვლად დაგეგმილი 8.4 ათასი ლარისა. მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შემოტანილია 36.5 ათასი ლარი მათ შორის ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის შემოსულია 4946 ლარი, რომელიც გადახდილი აქვს 186 იურიდიულ და ფიზიკურ პირს.

სამსხურის მიერ პერიოდულად კონტროლდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ქვიშის, კირქვისა და ღორღის მომპოვებელ მეწარმეთა მიერ წარმოებისა და ბიუჯეტთან ურთიერთობის საკითხი, 2010 წლის 6 თვის მონაცემებით რეგისტრირებულია 34 და ლიცენზია გააჩნია 34 საწარმოს, საიდანაც დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებადია 22. წიაღით სარგებლობისათვის მოსაკრებელს იხდიან მოპოვების შესაბამისად 2010 წლის 6 თვის მონაცემებით აღნიშნული თანხა გადახდილი აქვს შპს 'შავი ზღვის ტერმინალს˜-7901 ლარი, შპს „გრისი"-ს -3400 ლარი, შპს „შარა-გზამშენი პირველს"-12945 ლარი, ასევე ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის მოსაკრებელი შემოსულია 18.5 ათასი ლარი, მათ შორის შპს „პრაიმ ბეტონი" 600 ლარი, შპს „კარიერი" 5.2 ათასი ლარი, შპს ხეთა-1.2 ათასი ლარი, ინდ.მეწარმე 'ზურაბ ლომაია-5200 ლარი და შპს „აკაკი"-1962 ლარი.

ექსპერტული შეფასებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოებულ იქნა 540 ტონა ხორცი, 610 ტონა რძე, 405 ათასი ცალი კვერცხი და 240 ტონა დაფნა.

ასევე ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში ფუნქციონირებს მრავალწლიანი ნარგავების მდგომარეობის შემსწავლელი კომისია, მათი მეშვეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესწავლილ იქნა 6 ძირი მრავალწლიანი ნარგავი და კომისიის მიერ დაიდო მათზე დასკვნები.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შემოსავლების ფორმირებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა აგრალურ-სამრეწველო და სასურსათო კომპლექსის საწარმოთა რესტრუქტურიზაციამ და პრივატიზების დასრულებამ, აგრალური რეფორმის გაღრმავებამ და მიწაზე კერძო საკუთრების დამკვიდრებამ. მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდიდარია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით, ის თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ფლობს 29942 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სავარგულებს, მათ შორის სახნავი 11717 ჰა, საძოვარი 12125 ჰა, სათიბი 11 ჰა, მრავალწლიანი ნარგავები 5626 ჰა.

მრავალწლიანი კულტურებიდან ხეხილის ფართობი შეადგენს 1622 ჰა, მათ შორის თესლოვანია 107 ჰა-ზე, ხოლო კურკოვანი 1515 ჰა, ვენახი 33 ჰა-ზე, ჩაი 280 ჰა-ზე, ფეიხოა 12 ჰა-ზე, კერძო სტრუქტურებში არის 36917 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და 2172 სული ღორი, 210 სული ცხვარი, 400 სული თხა და 150 ათასი ფრთა ფრინველი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიქსირებულია 2204 ფუტკრის ოჯახი.

მოსახლეობის მიერ დამუშავებულ იქნა სახნავი ფართობიდან 8500 ჰა, რომელზეც მოქცეულია ერთწლიანი კულტურები.

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის მიერ, გამგეობის ხელშეწყობით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალწლიან ნარგავებზე ჩატარდა „ამერიკული თეთრი პეპელა"-ს საწინააღმდეგო ქიმიური ღონისძიება „თერმული ნისლი"-ს ტექნოლოგიით, სულ დამუშავდა 160 ჰა ფართობი.

აქვე მოგახსენებთ, რომ მუნიციპალიტეტის სოფლებში მომრავლებული იქნა მგელი, რომელიც სერიოზულ ზიანს აყენებს მოსახლეობას. აღნიშნულზე გარემოს დაცვის სამინისტროსა და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის დაიდო ხელშეკრულება გარკვეული ღონისძიების გასატარებლად, რის საფუძველზეც ორი მგელი იქნა ლიკვიდირებული.

სამსახურის მიერ კონტროლზეა აყვანილი სასოფლო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის საკითხი, 6 თვის მდგომარეობით საიჯარო ქირის სახით შემოსულია 21.7 ათასი ლარი, საიდანაც ადგილობრივ ბიუჯეტში შემოვიდა 7.6 ათასი ლარი.არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარაზე 3 ხელშეკრულება არის მოქმედი, მათ მიერ ყოველწლიურად ბიუჯეტში უნდა შემოვიდეს 610 ლარი, ხოლო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწიდან მომქედი იჯარა არის მხოლოდ 8.

სამსახურის მიერ პერიოდულად კონტროლდება საიჯარო ქირის გადახდის საკითხი და თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში საკითხი დადგება ხელშეკრულების გაუქმებაზე.

განსაკუთრებულ კონტროლზეა აყვანილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქონების პრივატიზებისა და საკუთრების უფლების გარკვევის საკითხი. დაზუსტებულ იქნა გასამიჯნი ქონება, შედგა სია და მომზადდა ნახაზები, რომლებიც წარედგინა ეკონომიკის სამინისტროს, რის შედეგადაც 42 ობიექტის გადმოცემა განხორციელდა და გატარდა საჯარო რეესტრში, ხოლო გადმოსაცემად წარდგენილია 3 ობიექტი. 2010 წლის 6 თვეში განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო მიწების საკადასტრო აზომვითი ნახაზების მომზადება სოფელ საჯიჯაოში, პატარა ფოთში, ასევე 20 საკრებულოზე მომზადდა საკადასტრო ინფორმაცია საპრივატიზებო გეგმის შესაბამისად, რის საფუძველზეც გაიყიდა პატარა ფოთის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 1 ჰა-ს ოდენობით საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამინისტროს მეშვეობით.

2010 წლის 6 თვეში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა 5496.3 ათასი ლარის კაპიტალური სამუშაოები, ნაცვლად დაგეგმილი 6951 ათასი ლარისა.

მათ შორის რეგიონალური პროექტის ფონდით გამოყოფილი 400 ათასი ლარიდან შესაძლებელი გახდა სოფელ პატარა ფოთის შავღელეს და საგვიჩიოს უბნებში წყალგაყვანილობის სისტემის რეაბილიტაციაზე სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, რისთვისაც გაიხარჯა 11.7 ათასი ლარი. აღნიშნული პროექტის შესაბამისად დაწყებულია სამუშაოები და ხელშეკრულების შესაბამისად ობიექტები უნდა ჩაბარდეს აგვისტოს თვეში.

ასევე იგივე ფონდით შესაძლებელი გახდა სოფელ პატარა ფოთის 7-კმ-იან მონაკვეთზე გზის მოხრეშვითი სამუშაოების ჩატარება, სამუშაოს მთლიანი ღირებულება შეადგენს 88.5 ათას ლარს.



1 ივლისის მდგომარეობით ეკონომია მიღებულია მხოლოდ 850 ლარი, რადგანაც ორი ობიექტი მშენებლობის პროცესშია.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე 'სოფლის მხარდაჭერის პროგრამის˜ შესაბამისად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნდა შესრულებულიყო 724.8 ათასი ლარის სამუშაოები, მუნიციპალიტეტის 20 სოფელში შესრულებულ იქნა 97 სხვადასხვა სახის სამუშაოები, ნაცვლად გათვალისწინებული 101 ლარის სამუშაოსი. მომზადებული და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად სოფლის გზების შეკეთებაზე უნდა გახარჯულიყო 212.5 ათასი ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 183.8 ათასი ლარი, ხიდბოგირების შეკეთებაზე უნდა გახარჯულიყო 72.7 ათასი ლარი, გაიხარჯა 62.4 ათასი ლარი, წყალსადენების რეაბილიტაციაზე 126.5 ათასი ლარიდან გაიხარჯა 90 ათასი ლარი, სოფლის ცენტრების კეთილმოწყობაზე 78.4 ათასი ლარიდან გაიხარჯა 59.2 ათასი ლარი, სტადიონების შემოკავებაზე 107.8 ათასი ლარიდან გაიხარჯა 93.4 ათასი ლარი, მოსაცდელების მოწყობაზე გათვალისწინებული 27.9 ათასი ლარიდან გაიხარჯა 22.8, წყალსადენების გამრიცხველიანების სამუშაოებზე 13.5 ათასი ლარი აუთვისებელია, სანიაღვრე არხების ამოწმენდის სამუშაოებზე გათვალისწინებული 40.4 ათასი ლარიდან გახარჯულ იქნა 33.9 ათასი ლარი, სასაფლაოს შემოკავებაზე გამოყოფილი 11.7 ათასი ლარიდან გახარჯულ იქნა 9.6 ათასი ლარი, ჭაბურღილის მოწყობაზე გამოყოფილი 3 ათასი ლარიდან ათვისებულ იქნა 2.5 ათასი ლარი, ბაღებისა და კლუბების რემონტისათვის გამოყოფილი 18.2 ათასი ლარიდან ათვისებულ იქნა 15 ათასი ლარი, სულ 'სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გახარჯულ იქნა 579.7 ათასი ლარი.

1 ივლისის მდგომარეობით შეუსრულებელია 5 ობიექტი, აღნიშნული ობიექტების პროექტი მოითხოვს ცვლილებების შეტანას, გამომდინარე აღნიშნულიდან გათვალისწინებული სამუშაოები უნდა განხორციელდეს მეორე ეტაპზე კერძოდ: შეუსრულებელია სოფელ ბიაში წყალსადენის გამრიცხველიანება, სოფელ ნოჯიხევში დასახლების უბანში ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაო, ხამისქურის საკუკაოს უბანში გზების შეკეთება და ხეთა წინაგოლის უბანში წყალსადენის რეაბილიტაცია, სულ აღნიშნული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 39.4 ათას ლარს.

'სოფლის მხარდაჭერის პროგრამით˜ სამუშაოების შესრულებით მიღებულ იქნა 85.2 ათასი ლარის ეკონომია, რაც გამოიყენება სოფლების შესსაბამისად სხვა სამუშაოების ჩასატარებლად კერძოდ: ახალსოფელში მიღებულია 3.5 ათასი ლარის ეკონომია, ახალ ხიბულაში 4.2 ათასი ლარი, ბიაში 2.6 ათასი ლარი, პირველ მაისში 1.6 ათასი ლარი, გურიფულში 3.3 ათასი ლარი, ზემო ქვალონში 1.6 ათასი ლარი, თორსა-დღვაბაში 5 ათასი ლარი, ნოჯიხევში 7.9 ათასი ლარი, პატარა ფოთში 6.6 ათასი ლარი, პირველ ხორგაში 2.2 ათასი ლარი, საგვიჩიოში 2.1 ათასი ლარი, საჯიჯაოში 4.6 ათასი ლარი, ქარიატაში 3.1 ათასი ლარი, ქვალონში 9.4 ათასი ლარი, ჭალადიდში 3.8 ათასი ლარი, ყულევში 1.2 ათასი ლარი, შუა ხორგაში 3.3 ათასი ლარი, ძველ ხიბულაში 2.3 ათასი ლარი, ხამისქურში 5.4 ათასი ლარი და სოფელ ხეთაში 11.5 ათასი ლარი.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" გათვალისწინებული სამუშაოების სახელშეკრულებო პირობების დარღვევის გამო დაჯარიმებულ იქნა 13 სამუშაოს შემსრულებელი და მათ მიერ ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის სახით გადახდილ იქნა 23 ათასი ლარი.

ასევე მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით შესაძლებელი გახდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესრულებულიყო 3717 ათასი ლარის კაპიტალური სამუშაოები, კერძოდ მათი დაფინანსებით შესაძლებელი გახდა სოფელ ნოჯიხევისა და ხეთის პროფსასწავლებლის კორპუსებში იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების რემონტი, აღნიშნული სამუშაო შესრულებულ იქნა შპს „აქსისი"-ის მიერ და შესრულებული

სამუშაოს მოცულობამ შეადგინა 1318,5 ათასი ლარი, ასევე მათ მიერ რემონტი ჩაუტარდა სოფელ თორსა-დღვაბაში მდებარე საცხოვრებელ №1, №2, №3 სახლებს და ხობის ცოტნე დადიანის ქუჩაზე მდებარე სპორტულ სკოლა ინტერნატის შენობებს 1186,9 ათასი ლარის ოდენობით.

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ხორციელდება გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები 1212 ათასი ლარის ოდენობით, სამუშაოს ახორციელებს შპს „შარა-გზამშენი პირველი„ და დღეის მდგომარეობით შესრულებულია სამუშაოს 60 % ანუ 727 ათასი ლარი.

2010 წლის დამტკიცებული ადგილობრივი ბიუჯეტის შესაბამისად 6 თვეში უნდა განხორციელებულიყო 2018,8 ათასი ლარის კაპიტალური ხარჯები ფაქტიურად შესრულებულ იქნა 1224,1 ათასი ლარის სამუშაო.

გზების მოვლა-შენახვაზე გახარჯულ იქნა 21 ათასი ლარი. სოფელ ძველი ხიბულის ხიდის რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 50 ათასი ლარი. მოწყობილ იქნა 9 აპრილისა და 8 აგვისტოს მემორიალი 45 ათასი ლარის ღირებულებით. შესრულებულ იქნა ნაპირსამაგრი სამუშაოები. მდინარე ჭანისწყალზეე სოფელ ძველ ხიბულაში 98,8 ათასი ლარის, სოფელ საჯიჯაოში 297,6 ათასი ლარის ოდენობით, მდ.ხობის წყალზე სოფელ პირველ ხორგაში 404,9 ათასი ლარის, მდ.ხობის წყალზე სოფელ გაღმა საჯიჯაოში 109,1 ათასი ლარის ოდენობით.

ველის ქუჩებზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოების ჩატარება. სამუშაო შესრულებულია 30 %.

ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ შესრულებული სამუშაოებიდან ეკონომია მიღებულ იქნა 21 ათასი ლარის.

სახელმწიფო შესყიდვების კანონის შესაბამისად სამუშაოების შესყიდვაზე ჩატარებულ იქნა 4 ტენდერი და 1 ფასთა კოტირება, რის საფუძველზეც ბიუჯეტმა მიიღო 40 ათასი ლარის ეკონომია.

რეგიონული მართვის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე ბატონ ჯამბულ ბაკურაძის მომართვის საფუძველზე, 2010 წლის იანვარ-აპრილში ჩატარდა 1993 წელს დაბადებულ მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, რომლებსაც სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისას შეუსრულდათ 17 წელი. შესაბამისად, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურმა „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ˜ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს წარედგინა დასამტკიცებლად, მიწერის კომისიის პროექტი და მიწერის მუშაობის გრაფიკი

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან გამოთხოვილ იქნა მომუშავე (მოსწავლე) 1993 წელს დაბადებულ ჭაბუკთა სახელობითი სიები. (ფორმა №1) პირველად სამხედრო აღრიცხვაზე ასაყვან 1993 წელს დაბადებული ჭაბუკების საერთო რაოდენობამ მოწოდებული ფორმა №1-ის მიხედვით შეადგინა 203 ჭაბუკი. შესაბამისად სამსახურის მიერ შედგენილ იქნა 1993 წელს დაბადებული ჭაბუკთა საერთო სახელობითი სია, ალფავიტის მიხედვით (ფორმა №2). ასევე თითოეულ ჭაბუკზე შეიქმნა პირადი საქმე სათანადო დოკუმენტაციის მოთავსებით. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის რწმუნებულებისაგან გამოთხოვილ იქნა ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან და ცნობა ოჯახის შემადგენლობის შესახებ, სკოლებიდან კი აღრიცხვაზე ასაყვანი ჭაბუკების დახასიათება ავტობიოგრაფია და ფოტოსურათი, პარალელურად შეიქმნა 1993 წელს დაბადებული ჭაბუკების პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის ალფაბეტური წიგნი და მიწერის კომისიის სხდომათა საოქმო

→ 21

20 ←

წიგნი. სამართალდამცავი ორგანოებიდან და სამედიცინო დაწესებულებებიდან გამოთხოვილ იქნა იმ ჭაბუკთა სახელობითი სია რომლებიც აღრიცხვაზე იმყოფებიან რაი-პოლიკლინიკის სხვადასხვა კაბინეტებში.

მიმდინარე წლის 30 აპრილს დასრულდა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, აღრიცხვაზე აყვანილია 187-92% მათ შორის აფხაზეთიდან დევნილი 13 ჭაბუკი, სხვადასხვა მუნიციპალიტეტის გაწვევის სამსახურებთან მიმოწერით დადგინდა რომ მათ მიერ პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილია ხობის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 8 ჭაბუკი, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ იმყოფება 5, რეგისტრირებულ მისამართზე არ ცხოვრობს და საცხოვრებელი დაუდგენელია 9 სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ გამოცხადდნენ მიწერის კომისიაზე 7.

მიწერის საექიმო კომისიის მიერ ჯანმრთელად ცნობილ თითოეულ ჭაბუკზე გაიცა, პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის დამადასტურებელი მოწმობა (წვევამდელის სამხედრო სააღრიცხვო მოწმობა) არსებულ უწყისში გატარებითა და მიმღები პირის პირადი ხელმოწერით. საექიმო კომისიის მიერ გამოკვლევაზე გაგზავ-



ნილ ჭაბუკებზე გამოიწერა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევის აქტი, სათანადო გატარებით და გაიგზავნა დამატებით სამედიცინო გამოკვლევაზე ხობის რაი-საავადმყოფოში. მიწერის კომისიის მუშაობის პერიოდში სამსახურის მიერ გამოვლენილი და პირველად სამხედრო აღრიცვაზე აყვანილია 1983-92 წლებში დაბადებული 26 წვევამდელი, რომლებიც წლების განმავლობაში არ იყვენენ გამოცხადებული გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში. ხოლო უაღრიცხვო წვევამდელებზე რომლებიც თავს არიდებენ გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში წლების განმავლობაში გამოცხადებას, მათი სახელობითი სია გადაეგზავნა ხობის შსს სამმართველოს რეაგირებისათვის.

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 25.01 №55-ე ბრძანებულების საფუძველზე ჩატარდა, სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა საგაზაფხულო გაწვევა, გაწვევას ექვემდებარება 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები. ბრძანებულების შესრულების მიზნით, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურმა შეიმუშავა, 1983-92 წელს დაბადებული ჭაბუკების გამწვევ უბანზე მომზადების, გაწვევის კომისიის გეგმა და საგაზაფხულო გაწვევაზე გამოსაცხადებელ წვევამდელთა გრაფიკი, რომელიც გადეგზავნა დასამტკიცებლად ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს ასევე შემუშავდა გაწვევის პერიოდში განსახილველი საკითხები.

ხობის მუნიციპალიტეტში არსებულ სამსახურებს კერძოდ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს, ხობის რაიონის სახალხო მოსამართლეს, შსს რაიონულ სამმართველოს, რაი-პოლიკლინიკის ნარკოლოგიურ, ფსიქიატრიულ, დერმატოვენეროლოგიურ, ტუბკაბინეტს და რაი-საავადმყოფოს გადაეგზავნა 1983-92 წელს დაბადებულ იმ წვევამდელთა სახელობითი სია, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობით იმყოფებიან აღრიცხვაზე.

საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში, გამწვევ კომისიაზე გამოძახებული იყო 390 წვევამდელი გამოცხადდა 192, ქ. თბილისის ცენტრალურ შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტს წარედგინა 73 წვევამდელი, რომლებზედაც გამოიწერა სამხედრო ნამსახურების ბარათი (სამხ. ბილეთი), მათ შორის გაწვეულია შ.სს სასაკონტრაქტო სამსახურში 11, თავდაცვის სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში 16, სახელმწიფო დაცვის სპეც სამსახურში 3 და ალტერნატიულ სამხედრო სამსახურში 1. მთლიანობაში სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულია 31 წვევამდელი.

საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში გამოცხადებულ წვევამდელებზე, გამწვევი კომისიის მიერ გაფორმდა კანონით გათვალისწინებული შემდეგი სახის გადავადებები

1) მუხლი 30 „მ“ (დედისერთა) გაუფორმდა 9 წვევამდელს

2) მუხლი 30 „პ“ (ცოლ-შვილიანი ერთი შვილი სამ წლამდე) 5 წვევამდელს

3) მუხლი 30 „ზ“ (ყავს ორი შვილი) 5 წვევამდელს

4) მუხლი 30 „დ“ (პატრონობს შრომის უუნარო წევრს) 2 წვევამდელს

5) მუხლი 30 „გ“ (სტუდენტი) 14 წვევამდელს

6) მუხლი 30 „ე“ (სკოლის მოსწავლე) 28 წვევამდელს

7) მუხლი 30 „ლ“(არის მღვდელმსახური ან სწავლობს სასულიერო სასწავლებელში)
2 წვევამდელს

8) ზღვრული ასაკის შესრულების გამო გადაირიცხა მეორე თანრიგის რეზერში 36 წვევამდელი. რომელთა პირადი საქმეები მოთავსებულია სამსახურში არსებულ სათანადო კართოტეკაში.

გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის სამობილიზაციო განყოფილების მიერ მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე სამხედრო აღრიცხვაზე აყვნილია, 81 რეზერვისტი, სხვადასხვა მიზეზების გამო სამხედრო აღრიცხვიდან მოიხსნა, 291 რეზერვისტი აქედან ზღვრული ასაკის შესრულებასთან დაკავშირებით მოიხსნა აღრიცხვიდან 239, ხოლო შინაგან საქმეთა სამმართველოდან და სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან მიღებული მომართვების საფუძველზე სპეცაღრიცხვაზე გადაყვანილია 24 რეზერვისტი, გარდაიცვალა 7 გასამართლდა 2 რეზერვისტი.

გაერთიანებული შტაბის ჯ-1 დეპარტამენტიდან მიღებული მომართვების საფუძველზე საქართველოს შეიარაღებული ძალების საკონტრაქტო სამსახურში გაწვეულია, 16 რეზერვისტი და 9 წვევამდელი შესაბამისად თითოეულ გაწვეულ მოქალაქეზე შეიქმნა პირადი საქმე 2 ეგზემპლიარად. შ.ს.ს სამმართველოს ცენტრალური საექიმო კომისიის მიერ გამოგზავნილი მომართვების საფუძველზე, გაიგზავნა ამომწურავი პასუხი მომართვაში მითითებულ რეზერვისტებზე. საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით სხვა რაიონის სამობილიზაციო სექტორებს გადაეგზავნა,. სააღრიცხვო ბარათის ასლები, პირადი საქმე და სამხედრო კათედრის გავლის შესახებ მონაცემები. „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე შედგენილ იქნა სახელობითი სიები სოფლების მიხედვით იმ მოქალაქეებზე რომლებსაც შეუსრულდათ 27 წელი, სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და სამხედრო ბილეთის გაცემის მიზნით, სულ იანვრ-ივნისის თვეში გაიცა, 57 სამხედრო ბილეთის შემცვლელი დროებითი მოწმობა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტიდან მიღებული 23.12.2009.წლის №23/7-1589 მომართვის საფუძველზე სახანძრო-სამაშველო სამსახურში შექმნილ და დამტკიცებულ იქნა თანამშრომელთა ფუნქცია მოვალეობები, გამოცხადების გრაფიკი, მორიგე ცვლის დღის განაწესი, პირადი შემადგენლობის მორიგეობის გრაფიკი, სამსახურეობრივი წიგნი, სატრანსპორტო საშუალებათა მომსახურების ყოველთვიური გრაფიკი, 2010 წელს ჩასატარებელი ძირითადი ორგანიზაციულ და ხანძარსაწინალმდეგო ღონისძიებების კალენდარული გეგმა, სახემძღვანელო სახანძრო-სამაშველო, სახანძრო-სამწყობრო მომზადებისთვის, 2010 წლის სასწავლო საათების განაწილების წლიური გეგმა,დისციპლინების მიხედვით, პირადი შემადგენლობის ყოველთვიური მეცადინეობის ნორმატივების ცხრილი. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკაში ჩასატარებელი ინსტრუქტაჟების ჟურნალი.

დეპარტამენტიდან მიღებული ინსტრუქციის შესაბამისად შიდა ბრძანებით სახემწიფო ზედამხედველობის ინსპექტორები მიმაგრებულ იქნა თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებზე საკრებულოებისსექტორების მიხედვით.

დაწესებული გრაფიკით გამოთხოვილ იქნა გამგეობის რწმუნებულებისგან მათ სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ;ეროვნული მეურნეობის’ სახემწიფო დაწესებულებების მონაცემები სპეციალური ნუსხის მიხედვით.

შესაბამისი მასალები გამოთხოვნილ იქნა სტატისტიკის, რესურსცენტრის, სკოლამდელი საღმზრდელო გაერთიანების, სახალხო ქონების აღრიცხვის,შრომის საზოგადოებრივი ჯამრთელობის და სოციალური დაცვის, კულტურის განათლების სპორტის ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურებიდან.

მიღებული მასალების საფუძველზე ზედამხედველობის ინცპექტორების მიერ (სექტორების) საკრებულოების მიხედვით შექმნილ იქნა საზედამხედველო სამუშაო ჟურნალი სადაც ასახულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახემწიფო ;ხანძარსაწინალმდეგო ზედამხედველობას’ დაქვემდებარებული (მეურნეობების) სარეჟიმო და მნიშვნელოვანი ობიექტების ჩამონათვალი. მისამართების ჩვენებით და ფუნქციონალური დასახელებით. პარალელურად აღრიცხულ და შესწავლილ იქნა იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილები.

შ.ს.ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტიდან მიღებული მიმდინარე წლის 29.04. №23/7-296 მომართვის საფუძველზე ქ. ხობის №66 საოლქო სარჩევნო კომისიის თავიმჯდომარისგან გამოთხოვილ იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საარჩევნო უბნების მონაცემები შიდა ბრძანებით ზედამხედველობის ინსპექტორების მიერ გრაფიკით ადგილზე გასვლით შემოწმებულ იქნა 32 სარჩევნო უბანი. კომისიის თავიმჯდომარეების თანდასწრებით შედგენილ იქნა მიწერილობა ფორმა №1 ;სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე; 2 ეგზემპლარად სადაც აისახა არჩევნების მიმდინარეობისას სახანძრო უსაფრთხოების დაცვის წესები. გაწეული მუშაობის(შედეგების) შესახებ მოხსენდა საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს, მუნიციპალიტეტის გამგეობას, ქ. ხობის #66 საოლქო სარჩევნო კომისიის თავიმჯდომარეს და მართველი პარტიის ხემძღვანელობას.

სახანძრო-სამაშველო სამსახურზე რიცხულ ავტო სატრანსპორტო საშუალებების (ტექნიკური აღჭურვილობისთვის) შეძენილ იქნა 822 ლარის სათადარიგო ნაწილები, რაზედაც შედგა დეფექტურობისა და შესრულებილი სამუშაოების აქტები შესაბამისი მასალები გაეგზავნა გამგეობის საფინანსო სამსახურს.

მ/წლის პირველ ნახევარში სამსახურმა მიიღო შესასრულებლად 52 კორესპონდენცია მიღებულ კორესპონდენციებზე დროულად იქნა მიღებული რეაგირება და სხვადასხვა უწყებებს დაეგზავნა 106 საპასუხო წერილი.

მ/წლის პირველ ნახევარში რეგისტრირებულია ხანძრის 16 შემთხვევა. ქ. ხობის შინაგან საქმეთა რაი სამმართველოს გამოძახებით განხორციელდა 20 გასვლა, შ.ს.ს საპატრულო პოლიციის გამოძახებით საგზაო შემთხვევებზე 2 გასვლა, გამგეობის დავალებით 4 გასვლა, სხვადასხვა რაიონში დასახმარებლად გასვლა განხორციელდა 3 ჯერ.

ზემოთ აღნიშნულ ხანძრების შემთხვევებზე ადგილზე გასვლით ხანძარსაწინალმდეგო ზედამხედველობის სახემწიფო ინსპეფტორების მიერ შეიქმნა ;ხანძრის (წაკიდების) აღრიცხვის ბარათი; ორ ეგზემპლარად. შესაბამისი მასალები ყოველ ხანძარზე მოკვლევისთვის ოპერატიულად გაეგზავნა ქ.ხობის შინაგან საქმეთა რაი სამმართველოს.

გეგმის მიხედვით შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს წარედგინა მომხდარ შემთხვევებზე ხანძრების (წაკიდების) აღრიცხვის ბარათი, ნაკრები ცხრილი, ხანძრებისა და მათი შედეგების ანგარიში.

2010 წლის ივნისის ჩათვლით კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა არა ერთი საინტერესო ღონისძიება განახორციელა.

ხობის მუნიციპალიტეტში კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს. სამსახური აგრძელებს მუშაობას ენციკლოპედიური გამოცემის მომზადებაზე ხობის მონასტრის შესახებ. .მოვამზადეთ მასალები ხობის მუნიციპალიტეტის ისტორიული გეოგრაფიის შესახებ, ხოლო დამუშავებული მასალა რედაქტირებისათვის გადაეგზავნა პროფესორ თამაზ ბერაძეს.

მუნიციპალიტეტის მაშტაბით დაფიქსირდა წინაქრისტიანული ხანის 19 მიწისქვეშა ისტორიული ძეგლი, მათ შორის ერთი სენაკიფოთის გაზსადენის ტრასაზე, რომელიც უახლოეს ხანში შესწავლილი იქნება. 27 მარტს გერმანულ-ქართული ერთობლივი პროექტის განხორციელების მიზნით, რაც ითვალისწინებს ძველკოლხური ნამოსახლარების ე.წ დიხაგუძუბების შესწავლას, ხობში ჩამოვიდნენ პროფესორები ვახტანგ ჯაფარიძე და ჯონი აფაქიძე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი რევაზ პაპუაშვილი, დასათვალიერებლად შევარჩიეთ ძველკოლხური ნამოსახლარები – ქვემო ქვალონში „გორსიალაფირი“, I ჭიხუს „დიხაგუძუბა“, თორსა- ღლვაბის „ტაბაკონა” და გურიფულის სამარხები მდ. ხობისწყლის მარჯვენა ნაპირზე.

12 აპრილს მოეწყო ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის საანგარიშო კონფერენცია. საინტერესო მოხსენება წარმოადგინა პროფესორმა დავით ლომიტაშვილმა, ექსპედიცია მუშაობს ეგრისის სამეფოს საფორტეფიკაციო სისტემებზე, ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამ პერიოდის ციხე-სიმაგრეების შესახებ სპეციალისტმა გოგიტა ჩიტაიამ მიაწოდა ინფორმაცია. 13 -17 აპრილს ხობში

2

მეცნიერების მიერ დათვალიერებულიქნა ზემოთ აღნიშნული პერიოდის ძეგლები. 23 აპრილს ზუგდიდში ძეგლთა დაცვის სპეციალისტმა მონაწილეობა მიიღო „ისტორიის პედაგოგთა ასოციაციის“ დამფუძნებელ კრებაში, ვიდეო –დისკები საქართველოს ისტორიის შესახებ, მუნიციპალიტეტის სკოლებში ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მეშვეობით გავრცელდა.

1-3 მაისს ხობში ჩამოსულ მეცნიერებთან იუზა ხუსკივაძესთან, ირინე ელიზბარაშვილთან, არქიტექტორ ბაადურ კუპრეიშვილთან ერთად შესწავლილიქნა ხობის მონასტრის არქიტექტურა, ფრესკები, დეკორი.

8 მაისს ფოთის აეროპორტთან ისტორიულ-მეცნიერებათა დოქტორ რევაზ პაპუაშვილთან ერთად დაფიქსირდა გვიანანტიკური ხანის ფაზისი, ამ ადგილს „ნაჯიხური“ ქვია. 22 მაისს ხობის I საჯარო სკოლის მოსწავლეთა ჯგუფის მიერ დათვალიერებულიქნა სოფელ პირველ მაისში არსებული ეგრისული პერიოდის ციხე - „ყურუმულიას ჯიხა“, სადაც მოპოვებულიქნა არქეოლოგიური მასალა.

22 მაისს სოფელ ბიაში ადგილობრივ ახალგაზრდებთან ერთად ხე-მცენარეებისაგან გაწმენდილიქნა გვიანფეოდალური ხანის ნაეკლესიარი თუთბერიძეების უბანში. მიმდებარე ტერიტორიაზე დაფიქსირდა ძველკოლხური ნამოსახლარების კვალი.

ივნის-ივლისში დავიწყეთ არქეოლოგიური სამუშაოები ხობის მონასტერში, სადაც დაზვერვითი სამუშაოები შარშან ჩატარდა, გათხრებს ხელმძღვანელობდა არქეოლოგი რევაზ პაპუაშვილი, შედეგები შთამბეჭდავი გამოდგა, აღმოჩენილიქნა ძველ დადიანთა საგვარეულო სამარხი, რომელსაც უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა მთელ ქვეყანაში, რადგან იგი ცოტნე დადიანის სახელს უკავშირდება, შეიძლება ეს ჩაითვალოს ამ საუკუნის უდიდეს აღმოჩენად. ტაძრის ქვეშ გამოვლინდა წინარე ტაძრის კედლების ფრესკები, ხოლო ტაძრის ეზოში - ძველ-კოლხური ნამოსახლარები ძვ.წ.აღ.ით VIII-VII საუკუნეებისა. ტაძრიდან სამხრეთ-დასავლეთით 350 მეტრის მანძილზე დაფიქსირდა ადრექრისტიანული ხანის ნატაძრალი (შემორჩენილია აფსიდა და სამხრეთის კედლის ნაშთები). ასევე ჭიხუს მთაზე დაფიქსირდა ძვ.წ.აღ-ის II-I ათასწლეუ-



ლების მიჯნის ძველკოლხური ნამოსახლარი, პირველ მაისში ჯახუთის უბანში აღმოჩნდა ადრექრისტიანული ტაძრის ნაშთები.

საანგარიშო პერიოდში პერიოდულად მოწმდება მიწისზედა ისტორიული ძეგლების მდგომარეობა. ივლისში შედგა შეხვედრა ეროვნული მუზეუმის მიერ მოწვეულ ამერიკელ მეცნიერებს, რომლებიც გვპირდებიან ისტორიული ძეგლების ფიქსირებას თანამედროვე გეოფიზიკური ხელსაწყოებითა და მეთოდებით, მათ დავათვალიერებინეთ რამდენიმე არქეოლოგიური ძეგლი.

გრძელდება მუშაობა ხობის მუნიციპალიტეტის მიწისქვეშა ისტორიული ძეგლების ბეჭდურ გამოცემაზე, რომელსაც დაერთვება ორენოვანი რუკა სპეციალისტებისა და ტურისტებისათვის.

→ 22

22 ←

წარმატებული იყო 6 თვეში გაწეული მუშაობა სპორტის დარგში, მის სხვადასხვა სახეობებში. 22-24 იანვარს ქ. ქუთაისში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ხობიდან შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მსოფლიოს ვიცე- ჩემპიონი მანუჩარ ცხადაია და ალუდა ხუნჯუა, ორივე სპორტსმენი გამოდიოდა 74კგ. წონით კატეგორიაში. მეორე ადგილი დაიკავა მანუჩარ ცხადაიამ.

10-16 თებერვალს ქ. ხობში ჩატარდა რუსული აგრესიის შედეგად ტრაგიკულად დაღუპული რეზერვისტის დათა ხურცილავას სახელობის თასის გათამაშება მინი-ფეხბურთში, შეჯიბრებაში მუნიციპალიტეტის უბნის 10 გუნდმა მიიღო მონაწილეობა და ტურნირში გამარჯვება ჭავჭავაძის ქუჩის გუნდმა მოიპოვა. ასევე, 25-28 თებერვალს ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პირველობა გაიმართა მაგიდის ჩოგბურთში, შეჯიბრება ჩატარდა, როგორც გუნდურ, ისე პირად პირველობებში (გოგონები, ჭაბუკები),

3

4-11 მარტს ხობის №1 საჯარო სკოლის სპორტდარბაზში ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პირველობა კალათბურთში, შეჯიბრება გაიმართა როგორც ჭაბუკებში, ისე გოგონებში, ორივე შეჯიბრების გამარჯვებულები გახდნენ ხობის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეები. 28 მარტს ჩატარდა ქ. ხობის მეორე ტრადიციული ტურნირი კარატე-დოში, შეჯიბრებაში რეგიონის 100-ზე მეტი ნორჩი კარატისტი იღებდა მონაწილეობას.

10-17 აპრილს გაიმართა ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა პირველობა ჭადარაკში, როგორც გუნდურ, ისე პირად პირველობებში (გოგონები, ჭაბუკები), გუნდურ პირველობაში გაიმარჯვეს ხობის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა,

14-19 აპრილს სოფელ პირველ ხორგაში ჩატარდა რუსული აგრესიის შედეგად ტრაგიკულად დაღუპული რეზერვისტის გოგა ბერაიას სახელობის ტურნირი მინი-ფეხბურთში, სადაც მონაწილეობას იღებდა 6 გუნდი. გოგა ბერაიას სახელობის თასის გამარჯვებული გახდა გოგას მეგობრებისგან შემდგარი გუნდი „სამეგობრო".

5 -26 მაისს ჩატარდა დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრი ფეხბურთში, სადაც ყველა სოფლისა და ქალაქის გუნდებმა მიიღეს მონაწილეობა. 21 გუნდი ორი თვის განმავლობაში დაძაბულ ბრძოლაში ეპაექრებოდა ერთმანეთს. ტურნირი ღირსეულად დაამთავარა ხეთის ფეხბურთელთა გუნდმა, მათ ფინალში 2:0 დაამარცხეს შუა ხორგის ფეხბურთელთა გუნდი და გახდნენ მუნიციპალიტეტის ჩემპიონები. 17-23 ივნისს ქ. ხობში ჩატარადა ჭაბუკთა რეგიონული ტურნირი მინი-ფეხბურთში ნოდარ შენგელიას სახელობის თასზე, 8 გუნდი იბრძოდა ჩემპიონობისთვის, მაგრამ ღირსეულად გაიმარჯვა ზუგდიდის ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდმა „ბაიამ".

8 მარტს კულტურის ცენტრის ორგანიზებით მოეწყო დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი საღამო, ასევე, 9 მაისს ხეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში საინტერესოდ აღინიშნა ფაშიზმზე გამარჯვების დღესასწაული.

მიიღო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ლაზიკამ" კახა ჩიტაიას ხელმძღვანელობით. წარმატებული იყო სახალხო ანსამბლ „კოლხეთის" მონაწილეობა ფესტივალ „არტგენში".

კულტურის განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ინიციატივით ხობის საჯარო ბიბლიოთეკაში მოეწყო ლიტერატურული სალონი სლოგანით: „კულტურა გადაარჩენს კულტურას".

ხობის კულტურის სახლთან არსებულმა დასმა წარმოადგინა სპექტაკლი-„ჯერ დაიხოცნენ და მერე იქორწინეს".

სკოლამდელი დაწესებულების ქსელში ფუნქციონირებს ბაღისა და ბაგის 52 ჯგუფი, სადაც ირიცხება 926 აღსაზრდელი, წინა წელთან შედარებით კონტიგენტი გაზრდილია 115 აღსაზრდელით.

4

მ/წლის მარტიდან გაიხსნა ოთხი ახალი საბავშვო ბაღი (პ/ხორგა, პ/ფოთი, ზ/ქვალონი, ძვ/ხიბულა). პერიოდულად ხორციელდება მონიტორინგი საბავშვო ბაღებში ჩარიცხულ ბავშვთა კონტიგენტზე, შემოწმდა ფაქტიური დასწრებები, კვების ბლოკები, ბავშვთა აღრიცხვის მდგომარეობა, მენიუები, პროდუქტების შენახვისა და დამზადების ხარისხი, სისუფთავე.



ივნისის თვეში ჩატარდა პროექტ „ყველაზე ჭკვიანის" შესარჩევი ტური და შეირჩა რაიონული ტურისთვის 18 აღსაზრდელი, ხოლო 1 ივლისს რაიონულ ტურში გამოვლინდა გამარჯვებული ხობის №1 საბავშვო ბაგა-ბაღიდან მარი თოდუა, მეორე ადგილზე გავიდა ხობის №2 საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელი – მარი შონია, მესამე ადგილზე კი – ხეთის №1 საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელი ეკა ბარქაია. გამარჯვებული დაჯილდოვდა დიპლომით, ყველაზე ჭკვიანის მანტიითა და ფასიანი საჩუქრებით.

სკოლისგარეშე საგანმანათლებლო საქმიანობას ღირსეულად წარმართავს განათლების ცენტრის ყველა ობიექტი.

ცენტრის სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 23 სასწავლო ჯგუფი. მათ შორის, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით_ფეხბურთის 11 ჯგუფი, ჭიდაობა-სამბოს-4 ჯგუფი, ჭადრაკის 2 ჯგუფი, და მძლეოსნობის 2 ჯგუფი.

სასპორტო სკოლის ფეხბურთის ჯგუფები წარმატებით ასპარეზობენ კალენდარულ მატჩებზე და აქვთ გარკვეული წარმატებები:

სამეგრელოს რეგიონის მესამე ლიგის გათამაშებაზე 20 წლამდე ასაკის ჭაბუკ ფეხბურთელთა გუდმა მოიპოვა III საპრიზო ადგილი (მწვრთნელ-მასწავლებელი ზ. ლატარია)

სამეგრელოს რეგიონის ჩემოინატში 1993-1994წ დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდმა მოიპოვა I ადგილი (მწვრთნელ-მასწავლებელი რ. ქაშიბაძე)

სამეგრელოს რეგიონის ჩემპიონატში 1995 წ. დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდმა მოიპოვა II ადგილი (მჭვრთნელ-მასწავლებელი ტ. ჭიჭინაძე)

წარმატებით ასპარეზობენ ჭიდაობა სამბოს ჯგუფის მოსწავლეები:

ივნისში ქ. თერჯოლაში რესპუბლიკურ ტურნირზე II ადგილი მოიპოვა ირაკლი ჩიტიშვილმა, ხოლო III ადგილი ა. კვირკველიამ, ხ. ჯანჯალავამ, თ. კვარაცხელიამ.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1-3 აპრილს ქ.თბილისში საქართველოს პირველობაზე ჭაბუკთა შორის III საპრიზო ადგილი მოიპივა 42 კგ. წონბით კატეგორიაში ირაკლი ჭითანავამ და დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.

18-19 მარტს ჩხოროწყუში ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაული ჭიდაობაში. I ადგილები დაიკავეს 29 კგ. წონით კატეგორიაში ნ. წურწუმიამ, 33 კგ. წონით კატეგორიაში ი. ქანტარიამ, ხოლო III საპრიზო ადგილები დაიკავეს 29 კგ. წონით კატეგორიაში ნ. ყორშიამ, ო. კორტავამ. 59 კგ. წონით კატეგოგორიაში გ. კვაშილავამ. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ შესაბამისი სიგელებით, მედლებით, ფასიანი საჩუქრებითა და ფულადი ჯილდოებით.



სხვადასხვა ტურნირებზე განსაკუთრებით კარგად იასპარეზეს ჭადრაკის ჯგუფის მოსწავლეებმა.

16-25 მარტს ქ, თბილისში საქართველოს პირველობაზე 12 წლიანთა შორის ა. შონიამ მოიპოვა ევროპის საგზური, რომელიც გაიმართება ქ. ბათუმში 19-30 სექტემბერს.

ივნისსი საქართველოს ფედერაციის მიერ ჩატარებულ საქართველოს პიტველობაზე 14 წლამდე გოგონათა შორის მეგი ჭაჭიამ დაიკავა VI ადგილი და მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის საგზური, რომელიც გაიმართება 19-29 სექტემბერს.

5

8-14 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის ქ. თბილისში გამართულ ტურნირზე, ვახტანგ ქარსელაძის მემორიალიზე გუნდმა დაიკავა V ადგილი, ხოლო პირად პირველობაზე შამუგია ლუკამ დაიკავა I ადგილი.

წლის განმავლობაში სხვადასხვა შემოქმედებითი ღონისძიებები ჩატარდა სამუსიკო სკოლაში: საახალწლო ზეიმი, „ სიმღერა გაზაფხულზე", „ვიქტორინა-კონკურსი".

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტი ახალგაზრდების ხელშეწყობის პროგრამაა. ამისათვის უამრავი სახელმწიფოებრივი პროექტები ხორციელდება რესპუბლიკური თუ რაიონული მაშტაბისა. ერთ-ერთი გამორჩეული პროექტი გახლავთ საპრეზიდენტო ნაციონალური პროგრამა „პატრიოტი", რომელიც უკვე მერამდენე წელია ახალგაზრდების საზაფხულო კულტურულ-პატრიოტული აღზრდის საქმეს ემსახურება. ამ პროგრამით, დრეისათვის ჩვენი მუნიციპალიტეტის 24 ახალგაზრდა გაემგზავრა ანაკლიის ბანაკში.

ჩვენი ქვეყნის განვითარების საფუძვლები რეფორმების გატარებაა. ერთ-ერთი წარმატებული რეფორმა, რომელიც ჩვენს თვალწინ განხორციელდა ქართული არმიის ჩამოყალიბებით დაგვირგვინდა. სამწუხაროდ, აგვისტოს მოვლენებმა მწარე დაღი დაასვა ქვეყნის არა მარტო რეფორმის განვითარების, არამედ მორალური თვალსაზრისითაც. სწორედ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად ახალგაზრდულ საქმეთა წარმომადგენლობის ინიციატივითა და ორგანიზებით გაიმართა დისკუსია „როგორ ვემსახუროთ ქართულ არმიას". ამ დისკუსიის მიზანი გახლდათ ქართული არმიის ჩამოყალიბების.

მნიშვნელობისა და მისი განვითარების პირობების შექმნის აუცილებლობის გამოკვეთა. დისკუსიაზე გამოიკვეთა, რომ ჩვენი ქვეყნის ძლიერების ერთ-ერთი ქვაკუთხედი ძლიერი არმიის ჩამოყალიბებაა, არმიას კი რიგითი ჯარისკაცები ქმნიან, ეს ჯარისკაცები კი ჩვენ უნდა ვიყოთ რიგითი ახალგაზრდები, ქართველები; დისკუსიაში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების XI_XII კლასის მოსწავლეები, მომავალი წვევამდელი ახალგაზრდები. ახალგაზრდებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ქართული არმია უნდა ემსახურებოდეს მშვიდობის დაცვას და იგი უნდა იყოს გარანტი ადამიანთა ღირსეული და მშვიდი ცხოვრებისა.

დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობა, უპირველეს ყოვლისა, დემოკრატი მოქალაქის ჩამოყალიბებაა, ამისათვის კი დემოკრატიული საფეხურების გავლა აუცილებელი წინაპირობა. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით გაიმართა მუნიციპალიტეტის მაშტაბით მოსწავლეთა სამეცნიერო-სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია. ამ კონფერენციაზე მსოფლიოს გამოჩენილ მხატვართა შემოქმედების შემსწავლელ სექციასთან ერთად ამუშავდა სამოქალაქო განათლების შესწავლის ხელშემწობი სექცია, რომელმაც ახალგაზრდების საინტერესო ნამუშევრები გამოავლინა. კონფერენციაზე, ზოგადად, ხელი შეეწყო ახალგაზრდა თაობის თვითრეალიზაციას, მიღებული ცოდნის გაღრმავებას, ცხოვრებისეული მაგალითების საფუძველზე არგუმენტირებულად მსჯელობის უნარის გამომუშავებას, საკვლევაძიებო სამუშაოს, პრეზენტაციის უნარის განვითრებას, შემოქმედებითი უნარის გამოვლენას. კონფერენციამ საინტერესოდ და ნაყოფიერად იმუშავა. გამოავლინა გამარჯვებულები. სამეცნიერო-შემოქმედებითი ხასიათის შეხვედრებსა თუ მსჯელობებს ენაცვლება მუსიკალურ-გასართობი ხასიათის კონკურსები და ღონისძიებები. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება მუსიკალური კონკურსი - „ვარსკვლავებია", რომელიც უკვე მე-2 წელია იმართება ჩვენთან. 6-დან 18 წლამდე ახალგაზრდები 2 ნომინაციაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. კონკურს „ვარსკვლავებში" გამარჯვებულები კონფერენციაში გამარჯვებულ ახალგაზრდებთან ერთად დაჯილდოვდნენ ექსკურსიით მარშრუტით _ წინანდალი-სიღნაღი-ბოდბე..

6

კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა ეს არის, არა მხოლოდ გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება, არამედ ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება, ჩვენი სულიერი ღირებულებების არაერთგზის გაცნობიერება, გარკვეული კულტურულ-იდეოლოგიური ორიენტირი ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე.

ინფორმაციის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება დებულების თანახმად ასრულებს და კოორდინაციას უწევს პიარ ფუნქციებს ადგილობრივი ხელისუფლების იმიჯის ფორმირებისათვის.

ყოველდღიურად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე მნიშვნელოვან პოლიტიკური და ეკონომიკური ინფორმაციების მოპოვებას და საზოგადოებისათვის დროულად და ოპერატიულად მიწოდებას.

კოორდინაციას უწევს და თანამშრომლობს მედიასთან. რეგიონისა და ცენტრალური სამაუწყებლო საშუალებებით წარმოაჩენს მუნიციპალიტეტის მიერ გაწეულ საქმიანობას, რითაც ხელს უწყობს ხელისუფლებასა და ხალხს შორის ნდობის ამაღლებას.

განყოფილების მიერ შექმნილია ხობის მუნიციპალიტეტის ინტერნეტ ვებ- გვერდი (www.khobi.ge), რომლითაც უზრუნველყოფილია მუდმივი კავშირი საზოგადოებასთან, დაინტერესებულ პირებთან, საწარმოებთან, იურიდიულ პირებთან, რომელთაც აქვთ საშუალება შეუფერხებლად მიმართონ და მიაწოდონ წინადადებები თვითმმართველობის ორგანოებს და ხელმძღვანელებს არსებული მიმდინარე პრობლემებისა და მისაღებ გადაწყვეტილებათა პროექტების შესახებ. ვებ- გვერდი იძლევა შესაძლებლობას ხარისხობრივად გაუმჯობესდეს ადგილობრივი მომსახურეობა, უზრუნველყოფილ იქნას თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა თანამონაწილეობა საზოგადოების ინტერესებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით.

განყოფილებამ 2010 წელს მონაწილეობა მიიღო ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ღონისძიებებში, მათ შორის ადგილობრივ თვითმართველობის არჩევნებში, რაც გამოიხატებოდა ინფორმაციის დროულად მოპოვებასა და საზოგადოებისათვის მიწოდებაში.

განყოფილებაში შექმნილია ხობის მუნიციპალიტეტში სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის ამსახველი ყველა მნიშვნელოვანი ვიდეო და ფოტო არქივი.

განყოფილება უზრუნველყოფს ადგილობრივი და რესპუბლიკური პრესისთვის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირების ინტერვიუების, პრესრელიზების, შეტყობინებების, ვებ-გვერზე განსაკუთრებული ტექსტური მომზადებული და სხვა საინფორმაციო მასალების გავრცელებას მედიაში.

უზრუნველყოფს ცენტრალური რეგიონალური პრესის, ქართული და საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტოების სატელევიზიო მასალების ოპერატიულ შეგროვებას და ანალიზს.

ასევე თანამშრომლობს სამხარეო ადმინისტრაციის საინფორმაციო სამსახურთან და მიღებული აქვს არა ერთი მადლობა ინფორმაციების დროული და ხარისხიანი მიწოდებისათვის.

განყოფილება ამჟამად მუშაობს ხობის მუნიციპალიტეტის წარმატებების ამსახველი ალმანახის გამოცემაზე.

მუნიციპალიტეტის გამგეობა მუშაობს აღმშენებლობისა და მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით, თუმცა წინ კიდევ მრავალი საქმე და სამუშაოა ნებისმიერ ეტაპზე და ყოველ უბანზე-ინდივიდუალურად ერთი ოჯახის პრობლემიდან დაწყებული სახელმწიფო პროგრამების განხორციელებამდე.

ამისათვის გვჭირდება ძალთა კონსოლიდირება, რომ მომდევნო ეტაპზე სრულყოფილად განხორციელდეს მნიშვნელოვანი ღონისძიებები ინფრასტრუქტურის, სამეურნეო, კულტურულ – საგანმანათლებლო და სოციალურ ეკონომიკური თვალსაზრისით. რომ ყოველმა ხობელმა იცხოვროს სიტყვისა და საქმის ერთობლიობით შეკრულ მუნიციპალიტეტში-სადაც სულიერი და მატერიალური კეთილდღეობა უპირველესი პრიორიტეტია.

# ინფორმაცია ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2010 წლის 6 თვის შედეგების შესახებ

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის №137 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი საშემოსავლო ნაწილში 7325.0 ათასი ლარის, ხოლო საგასავლო ნაწილში 7262.5 ათასი ლარის ოდენობით. მიმდინარე წლის 6 თვეში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა საშემოსავლო ნაწილში 8449.9 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 8443.6 ათასი ლარი.

2010 წლის 6 თვის შედეგებით, შემოსულობების გეგმა შესრულებულია 71.7%-ით (გეგმა 5593.7 ათასი ლარი, შესრულება 4009.1ათასი ლარი ), შეუსრულებელია საგადასახადო შემოსავლები 1826,4 ათასი ლარით (გეგმა 3818,2 ათასი ლარი ფაქტიური შესრულება 1991,8 ათასი ლარი) გეგმა შესრულებულია 52,2 %. შეუსრულებელია საწარმოთა ქონების გადასახადი 1774,2 ათასი ლარით რაც გამოწვეულია შპს „შავი ზღვის ტერმინალი“–დან თანხის მიუღებლობით, მათ გააჩნიათ ზედმეტობა დ.ღ.გ–ის გადასახადში რომლის გადამისამართება შესაძლებელი იყო, რაზედაც მიეწერა ფინანსთა სამინისტროს,მაგრამ ჯერჯერობით მთლიანად არ მომხდარა დაფინანსება.

ქონების გადასახადი (მიწაზე) გეგმიური 155,0 ათასი ლარი შემოსულია 102,8 ათასი ლარი ე.ი შეუსრულებელია 52,2 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია გადასახადის გადახდის ვადაზე ადრე დაგეგმვით.



გრანტები დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ზემდგომი ბიუჯეტიდან ექვს თვეში გეგმით გათვალისწინებული 76,1 ათასი ლარიდან მიღებულია მხოლოდ 20,0 ათასი ლარი.

სპეციალური ტრანსფერი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის მიღებულია 1000,0 ათასი ლარი ნაცვლად 1124,9 ათასი ლარისა ე.ი. 124,9 ათასი ლარით ნაკლები,

სხვა შემოსავლები მიმდინარე წლის 6 თვეში გეგმით გათვალისწინებული 164,5 ათასი ლარიდან შემოსულია 173,7 ათასი ლარი ე,ი, 9,2 ათასი ლარით მეტი. გადაჭარბებით არის შესრულებული ადმინისტრაციული გადასახადები და მოსაკრებლები.

მიმდინარე წლის 6 თვეში იჯარიდან შემოსავალი გეგმით არ იყო გათვალისწინებული ფაქტიურად შემოსულია 9,2 ათასი ლარი მათ შორის მიწის იჯარა 7,2 ათასი ლარი შენობა ნაგებობის იჯარიდან შემოსულია 2,0 ათასი ლარი.

გადაჭარბებითაა შესრულებული შემოსავლები ჯარიმიდან, სანქციებიდან და საურავებიდან 11,5 ათასი ლარი, შემოსავლების გადაჭარბებით შესრულება გამოწვეულია კაპიტალურ სამუშაოებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევით რის შედეგად დაეკისრათ ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმების გადახდა.

შეუსრულებელია შემოსავლები მომსახურეობის გაწევიდან 15,9 ათასი ლარით (გეგმა 53,5 ათასი ლარი ფაქტიური შესრულება 37,6 ათასი ლარი ) შესრულებულია სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებიდან სპეცსახსრების გეგმა 6,8 ათასი ლარით, (გეგმა 33,6 ათასი ლარი შესრულებულია 26,8 ათასი ლარი) გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია ბავშვთდღეთა დაგეგმილზე ნაკლები ოდენობით გატარებით, განათლების ცენტრიდან სპეცსახსრების გეგმის შესრულებას დააკლდა 2,4 ათასი რაც გამოწვეულია მუსიკალურ სკოლიდან მოსწავლეთა განთესვით, გეგმით გათვალისწინებული 80 მოსწავლიდან დარჩა 75 მოსწავლე.

კულტურის ცენტრის მიერ სპეცსახსრების შემოსვლის გეგმა შესრულებას დააკლდა 6,7 ათასი ლარი აქედან 3,2 ათასი ლარი 30 ივნისის გადმორიცხული თანხა ფაქტიურად შემოსულია ივლისის თვეში, რაც 6 თვის შესრულებას დააკლდა.

შემოსულობები არაფინასური აქტივების კლება შესრულებულია 413,6 ათასი ლარის გადამეტებით (გეგმა 410,0 ათასი ლარი ფაქტიური შესრულება 823,6 ათასი ლარი) გადაჭარბება გამოწვეულია შპს „ანაკლია პორტი“–ის მიერ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის შესყიდვით რაც ბიუჯეტით არ იყო გათვალისწინებული.

ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი ათვისებულია 68,7 % (გეგმა 5518,1 ათასი ლარი ფაქტიური შესრულება 3792,4 ათასი ლარი რაც მოდის შემდეგ ღონისძიებებში კერძოდ: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯები 6 თვეში გეგმით გათვალისწინებული 775,3 ათასი ლარიდან ათვისებულია 625.9 ათასი ლარი ანუ 149.4 ათასი ლარით ნაკლები, აუთვისებელია წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები 83.4 ათასი ლარით რაც მოდის შემდეგ ორგანიზაციებზე: მუნიციპალიტეტის საკრებულოში აუთვისებელია ხელფასი 6.9 ათასი ლარით (გეგმა 102.8 ფაქტი 95.9), რაც გამოწვეულია თანამდებობათა ვაკანსიით. ოფისის ხარჯი 1.9 ათასი ლარით (გეგმა 15.1 ფაქტიური ხარჯი 13.2). ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი 5.2 ათასი ლარით (გეგმა 21.9 ფაქტიური შესრულება16.7 ათასი ლარი). არაფინანსური აქტივების ზრდა 5.0 ათასი ლარი (გეგმა 5.0 ათასი ლარი შესრულება არ აქვს).

მუნიციპალიტეტის გამგეობაში აუთვისებელია ხელფასი 1.7 ათასი ლარით რაც გამოწვეულია თანამდებობათა დროებითი ვაკანსიით ( გეგმა 89.7 ფაქტ.88.0 ). ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა შენახვის ხარჯი 0,5 ათასი ლარით ( გეგმა 14.3 ფაქტი 13.6 ). აუთვისებელია არაფინანსური აქტივების ზრდა 19.8 ათასი ლარით, ადმინისტრაციული შენობის რემონტი რომელიც გათვალისწინებული იყო ექვს თვეში ფაქტიურად არ ჩატარებულა.

ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში აუთვისებელია არაფინანსური აქტივების ზრდა 8.0 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია იმით რომ ა/მანქანის შეძენა გათვალისწინებული იყო 6-თვეში და ფაქტიურად არ განხორციელებულა შესყიდვა.

მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოების შენახვის ხარჯები აუთვისებელია 13.6 ათასი ლარით, კერძოდ, აუთვისებელია შრომის ანაზღაურების ხარჯი 2.1 ათასი ლარით, ოფისის ხარჯი 5.8 ათასი ლარით და კომუნალური ხარჯები 5.8 ათასი ლაარით.

სარეზერვო ფონდი ექვს თვეში გეგმით გათვალისწინებული 70.0 ათასი ლარიდან ათვისებულია 12.0 ათასი ლარი.

მაჟორიტარი დეპუტატის მომსახურეობის (წარმომადგენლობითი) ხარჯები აუთვისებელია 5.8 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო ა/მანქანის შეძენა რომელიც ფაქტიურად არ განხორციელებულა.

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის ხარჯები აუთვისებელია სულ 21.8 ათასი ლარი. აქედან, აუთვისებელია უნიფორმის შეძენის ხარჯები 10.0 ათასი ლარით, ტრანსპორტის შენახვის ხარჯი 6.0 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა 4.0 ათასი ლარით, საქონელი და მომსაურების ხარჯი 0.5 ათასი ლარით.

თავდაცვის ხარჯები აუთვისებელია სულ 7.0 ათასი ლარით. აქედან, აუთვისებელია ტრანსპორტის შენახვის ხარჯი 2.2 ათასი ლარითდა გაწვევის ხარჯი 3.1 ათასი ლარით.

ეკონომიკური საქმიანობა – გეგმით გათვალისწინებული 1476.4 ათასი ლარიდან ათვისებულია 1169.5 ათასი ლარი ანუ 306.9 ათასი ლარით ნაკლები, მათ შორის ნაპირსამაგრი სამუშაოები 219.5 ლარით, საგზაო სამუშაოები 87.4 ათასი ლარით, სადაც სამუშაოები ფაქტიურად ჩატარებულია მაგრამ ვინაიდან ვერ მოხერხდა დროულად ექსპერტის ჩატარება სამუშაო არ იქნა დაფინანსებულა.

წყალმომარაგების ხარჯები გეგმით გათვალისწინებული 543,3 ათასი ლარიდან ათვისებულია 206,7 ათასი ლარი ანუ 336,6 ათასი ლარით ნაკლები გარე განათების ხარჯები 216,2 ათასი ლარით ნაკლები. კეთილმოწყობის სამუშაოები 243,6 ათასი ლარით აღნიშნული სამუშაოთა უმეტესობა დამთავრებულია ზოგი სამუშაო მიმდინარეობს,

ვეში გეგმით გათვალისწინებული 548,5 ათასი ლარიდან ათვისებულია 435,5 ათასი ლარი 113,0 ათასი ლარით ნაკლები ეკონომია ძირითადად მოდის კვების ხარჯებში რაც გამოწვეულია ბავშვდღეთა გეგმაზე ნაკლები ოდენობით გატარებით

აიპ კულტურის ცენტრის ხარჯები აუთვისებელია 81,7 ათასი ლარით აუთვისებბლია არაფინასური აქტივების ზრდა 70,0 ათასი ლარით

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხარჯები აუთვისებელია 27,3 ათასი ლარით აუთვისებელია სუბსიდიების ხარჯები ძეგლთა დაცვისა და კულტურულ მემკვიდრეობის ხარეჯები 5,1 ათასი ლარით საჯარო სკოლების დაფინასების ხარჯები აუთვისებელია 7,7 ათასი ლარით გეგმა შეადგენდა 27,9 ათას ლარს შესრულება 20,2 ათასი ლარი აუთვისებელია მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯები რაც გამოწვეულია ფაქიურად გაწეული ხარჯების მიხედვიტ დაფინანსებით.

აიპ განათლების ცენტრის ხარჯები აუთვისებელია 40,2 ათასი ლარით (გეგმა 176,1 ათასი ლარი ფაქტიური შესრულება 136,4 ათასი ლარი აუთვისებელია კაპიტალური ხარჯები რაც გათვალისწინებული იყო 6 თვეში ფაქტიურად ვერ მოხერხდა დღეის მდგომარეობით სამუშაო დამთავრებულია,

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხარჯები აუთვისებელია 9,8 ათასი ლარით (გეგმა 44,9 ათასი ლარი ფაქტიური ხარჯი 35,1 თასი ლარი)

სოციალური დაცვის ხარჯები გეგმით გათვალისწინებული 134,8 ათასი ლარისა ათვისებულია 102,0 ათასი ლარით 32,8 ათასი ლარით ნაკლები, აუთვისებელია მკურნალობის ხარჯები 20,1 ათასი ლარით უმწეოთა სასადილოს შენახვის ხარჯები 6,6 ათასი ლარით ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯი 2,4 ათასი ლარით.

**ნ. ლომაია,**
**საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.**

# აუდიტორული დასკვნა

**გასული წლების მსგავსად, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინიციატივით, მოწვეული აუდიტის მიერ განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საფინანსო დოკუმენტაციის აუდიტორული შემოწმება. კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად, აუდიტორული დასკვნა საკრებულოს თავმჯდომარის მიერ, 2010 წლის 27 აგვისტოს წარედგინა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას. აუდიტორული შემოწმების შედეგები ასევე ქვეყნდება საჯაროდ.**

**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტის საზოგადოებას გასაცნობად სთავაზობს აუდიტორული ფირმა „პულსი XXI“-ს მიერ 2010 წლის მაისში ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2009 წლის საფინანსო დოკუმენტაციის აუდიტორული შემოწმების შედეგებს**

**ხობის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის საფინანსო დოკუმენტაციის შემოწმების შედეგებზე**

აუდიტი ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და შპს. აუდიტორული ფირმა „პულსი XXI”-ს შორის 2010 წლის 27 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

შემოწმება ჩატარებულია შპს. აუდიტორული ფირმა „პულსი XXI“-ის აუდიტორის ედიშერ ბულიას, რომელიც ფლობს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ გაცემულ ზ№5/264 სერთიფიკატს ზოგად აუდიტში და ბუღალტერ ექსპერტი მარინა თურქიას მიერ

აუდიტის მიზანი და ამოცანები: ხობის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის საფინანსო დოკუმენტაციის, მხარჯველი დაწესებულებების მიერ საბიუჯეტო სახსრების მიღების, აღრიცხვის და გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოქმედ კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შემოწმება.

***გამოყენებული პროცედურები:*** ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მიმღებ დაწესებულებათა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე (ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშები და ხარჯების გაწევის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები, ოფიციალური წესით დამოწმებული ცნობები) რომელთა უტყუარობაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ დაწესებულების ხელმძღვანელებს. შემოწმება ჩატარდა კომპლექსური მეთოდით, მაჩვენებლების ნაწილი შემოწმდა დეტალურად (დოკუმენტურად) დანარჩენი კი შერჩევით, რათა აუდიტორებს ჰქონოდათ შესაძლებლობა გამოეთქვათ მოსაზრება, რომ ხობის მუნიციპალიტეტის 2009 წლის წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიში არ შეიცავს არსებითი ხასიათის უზუსტობებსა და დამახინჯებებს.

**<u>აუდიტორული შემოწმების შედეგად დადგინდა:</u>**

**ხობის მუნიციპალიტეტის 2009 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის ცვლილებები და დაზუსტებები**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“, „შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“, „საქართევლოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“, „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონების, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებების, აგრევე ამ და წინა წლების ტექნიკური მითითებების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 6 თებერვლის №113 დადგენილებით დამტკიცდა ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შემოსავლებისა და გასავლების ნაწილში 7245,0 ათასი ლარით. კერძოდ: შემოსავლები 6089,0 ათასი ლარი, ბიუჯეტის გადასახადები -5387.0 ათასი ლარით; გრანტები 320.0 ათასი ლარით (აქედან მიზნობრივი ტრანსფერი -320 ათასი ლარი); სხვა შემოსავლები 382.0 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების კლება – 820,0 ათასი ლარი; ფინანსური აქტივების კლება – 336,0 ათასი ლარი; ხარჯები – 4437,6 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 2807,4 ათასი ლარი.

წლის განმავლობაში ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილ იქნა ცვლილებები; კერძოდ:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 მარტის №116 დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილებები ბიუჯეტში:

„საქართველოს რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდიან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 20 იანვრის №35 „საქართველოს სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 10 თებერვლის №75 განკარგულების, „სტიქიის (ქარიშხალი) შედეგად საგანმანთლებლო დაწესებულებებისათვის მიყენებული ზიანის სალიკვიდაციოდ „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებული პროექტების ფონდიდან” ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 26 თებერვლის №144განკარგულებით ხობის მუნიციპალიტეტს გამოეყო სპეც. ტრანსფერი 443,0 ათასი ლარი. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე გაიზარდა ხობის მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 443,0 ათასი ლარით და დამტკიცდა 7688,0 ათასი ლარის ოდენობით, ნაცვლად ადრე დამტკიცებული 7245,0 ათასი ლარისა. შესაბამისად გაიზარდა ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 443,0 ათასი ლარით და იგი 4490,2 ათასი ლარით განისაზღვრა.

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 25 ივნისის №125 დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილება ბიუჯეტში:

„საქართველოს რეგიონებში განსხორციელებული პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 20 მაისის №387 განკარგულებისა და „საჯარო სკოლების მშენებლობისა და რეაბილიტაციის მიზნით საქართველოს რეგიონებში რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 8 მაისის №347 განკარგულების საფუძველზე ხობის მუნიციპალიტეტს გამოეყო სპეც ტრანსფერი 260,0 ათასი ლარი. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე გაიზარდა ხობის მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 260,0 ათასი ლარით და განისაზღვრა 7948,0 ათასი ლარით, ნაცვლად ადრე დამტკიცებული 7688,0 ათასი ლარისა. იგივე თანხით გაიზარდა ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა.

3. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 22 ივლისის №127 დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილება ბიუჯეტში:

ადგილობრივ ბიუჯეტში „შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები“-ს მუხლით 43,8 ათასი ლარის მიღებამ გამოიწვია იგივე თანხით ბიუჯეტის შემოსულობების გაზრდა და იგი 7991,8 ათასი ლარით განისაზღვრა. იგივე თანხით გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა.

4. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 13 აგვისტოს №128 დადგენილებით შეტანილ იქნა შიდა მუხლობრივი ცვლილებები ადრე დამტკიცებულ ბიუჯეტში.

5. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 29 სექტემბრის №129 დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილება ბიუჯეტში:

ადგილობრივ ბიუჯეტში „შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები“-ს მუხლით 166,8 ათასი ლარის მიღებით გაიზარდა ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ამავე თანხით და ხობის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები განისაზღვრა 8158,6 ათასი ლარის ოდენობით.

აუდიტორები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ სადაზღვევო კომპანია „ვესტი“-საგან ჩამოწერილი 166.8 ათასი ლარი, რომლის გადახდის ვალებულება წარმოიქმნა შპს „ქემაილ“-ზე გაცემული საბანკო გარანტიის საფუძველზე, ფაქტობრივად წარმოადგენდა ამავე საბანკო გარანტიით შპს „ქემაილ“-ზე 2008 წლის ბოლოს ავანსად გაცემულ თანხის (დებიტორული დავალიანების) ნაწილობრივ დაბრუნებას. იმ მოტივით რომ შპს „ქემაილ“-მა დაარღვია ხელშეკრულების პირობები. ამდენად აღნიშნული თანხის (166.8 ათასი ლარის) მიკუთვნება „შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების“მუხლზე აუდიტორებს მიაჩნიათ არასწორად.

ანალოგიურ მოსაზრებას გამოვთქვამთ სადაზღვევო კომპანია „ვესტი“-სგან მირებული 43.8 ათასი ლარის მიმართ, რომლის საფუძველზე 2009 წლის 22 ივლისს შეტანილია ცვლილება ბიუჯეტში.

6. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 28 ოქტომბრის №132 დადგენილებით შეტანილ იქნა შიდა მუხლობრივი ცვლილებები ბიუჯეტში, რომლის მიხედვითაც ხობის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 8158,6 ათასი ლარით, ხოლო გადასხდელები – 7863,6 ათასი ლარის ოდენობით.

7. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 27 ნოემბრის №135 დადგენილებით შეტანილ იქნა შიდა მუხლობრივი ცვლილებები ბიუჯეტში. გარდამავალი ნაშთის 32,9 ათასი ლარით შემცირებამ გამოიწვია ხარჯვითი ნაწილის იგივე თანხით გაზრდა. გამომდინარე აქედან ხობის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 8158,6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო გადასახდელები – 7863,6 ათასი ლარით.

8. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 22 დეკემბრის №136 დადგენილებით შეტანილ იქნა შიდა მუხლობრივი ცვლილებები ბიუჯეტში, რომლის მიხედვითაც ხობის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ბიუჯეტის შემოსულობები საბოლოოდ დამტკიცდა 8158,6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო გადასახდელების მოცულობა 7899,4 ათასი ლარით განისაზღვრა.

**ხობის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ტერიტორიული ბიუჯეტის შემოსულობების აუდიტი**

ხობის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ბიუჯეტის შემოსულობების გეგმის საკასო შესრულებამ 6706,7 ათასი ლარი შეადგინა, ნაცვლად 8158,6 ათასი ლარისა, შესრულების 82,2 %-ით; აქედან: შემოსავლების გეგმა შესრულდა 95,6 %-ით, გეგმით გათვალისწინებული 7002,6 ათასი ლარის ნაცვლად, ფაქტიურად შემოსულია 6695,3 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების კლება გეგმით გათვალისიწნებული იყო 820,0 ათასი ლარი, ფაქტიურად შესრულებაში ასახულია 11,4 ათასი ლარი, შესრულების 1,4 %-ით. ფინანსური აქტივების კლება დაგეგმილი იყო 336,0 ათასი ლარი, რაც ფაქტობრივად არ განხორციელებულა.

მთლიანად შემოსავლების გეგმის შესრულებას დააკლდა 307,3 ათასი ლარი, ხოლო გადასახადების გეგმის შესრულებას 345,8 ათასი ლარი, შესრულების 93,6 %-ით. კერძოდ: საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გეგმით გათვალისწინებული 3920,0 ათასი ლარისა მიღებულ იქნა 3615,8 ათასი ლარი. შესრულების მაჩვენებელი 92,2 %, ხოლო ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) შემოსავალი დაფიქსირებული არ არის, თუმცა გეგმით 10,0 ათასი ლარი იყო გათვალისწინებული. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის გეგმა შესრულდა 66,7 %-ით, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი შესრულდა 1,5 ათასი ლარის ზედმეტობით, 1357 ათასი ლარის ნაცვლად შემოსულია 1358.6 ათასი ლარი. დაუგეგმავად არის შემოსული „სხვა გადასახადების“ მუხლით 0,2 ათასი ლარი.

სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტები დაფინანსებულია სრულად 1023,0 ათასი ლარის ოდენობით. აქედან: მიღებულია მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 320,0 ათასი ლარი და სპეციალური ტრანსფერი 703,0 ათასი ლარის ოდენობით; მათ შორის: საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები 14,0 ათასი ლარი და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებული დაფინანსება 689,0 ათასი ლარი.

„სხვა შემოსავლების“ მუხლით მისაღები 592,6 ათასი ლარის ნაცვლად. საკასო შესრულებაში ნაჩვენებია 631,1 ათასი ლარი. შესრულების მაჩვანებელი 106,5 %. მათ შორის: „შემოსავლები საკუთრებიდან“ მუხლის შესრულებას დააკლდა 41,0 ათასი ლარი. გეგმა 140,0 ათასი ლარი, ფაქტი 99,0 ათასი ლარი. კერძოდ: „მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის“ გეგმის შესრულებას დააკლდა 43,9 ათასი ლარი, ხოლო „შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან“ მუხლით დაუგეგმავად შემოვიდა 2,9 ათასი ლარი.

„საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის“ მუხლი შესრულდა 89.4 %-ით. საკასო შესრულებაში ნაჩვენებია 118,0 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 132,0 ათასი ლარისა; მათ შორის: „ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელების“ გეგმის შესრულებას დააკლდა 9,5 ათასი ლარი, გეგმით გათვალიწინებული 43,0 ათასი ლარის ნაცვლად ფაქტიურმა შემოსავალმა 33,5 ათასი ლარი შეადგინა. აქედან: „სანებართვო მოსაკრებლის“ მუხლი გეგმით გათვალისწინებული 2,0 ათასი ლარის ნაცვლად შესრულდა 7-ჯერ გადაჭარბებით, საკასო შესრულებაში ნაჩვეებია 13,3 ათასი ლარის შემოსავალი. 1,0 ათასი ლარით მეტია შემოსავალში ასახული „სატენდერო მოსაკრებელი“ გეგმა 3,0 ათასი ლარი. ფაქტი 4,0 ათასი ალრი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გეგმა შესრულდა მხოლოდ 20 %-თ, გეგმით გათვალისწინებული 24,0 ათასი ლარის ნაცვლად საკასო შესრულებაში ასახულია 4,8 ათასი ლარი. 2,6 ათასი ლარის ნაკლებობით აისახა შესრულებაში ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის, შემოსულია 11,4 ათასი ლარი, ნაცვლად 14,0 ათასი ლარისა.

„არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურების“ მუხლი შესრულდა 95 %-ით. მათ შორის: „შემოსავლები მომსახურეის გაწევიდან“ მუხლის შესრულებას დააკლდა 6,0 ათსი ლარი, ხოლო „შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან“

→ 25

24 ←

მუხლით დაუგეგმავად შემოვიდა 1,5 ათასი ლარი.

„ჯარიმები სანქციები და საურავები"-ს მუხლით შემოსულია 203,4 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 110,0 ათასი ლარისა, შესრულების მაჩვენებელი 185 %.

„შერეული დ ა სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების" გეგმა შესრულდა 100 %-ით. გეგმით გათვალისწინებუბლი 210,6 ათასი ლარი სრულადაა ასახული საკასო შესრულებაში.

არაფინანსური აქტივების კლების მუხლი შესრულდა მხოლოდ 1,4 %-ით. გეგმით გათვალისწინებული 820,0 ათასი ლარის ნაცვლად საკასო შესრულებაში ასახულია 11,4 ათასი ლარი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მისაღები 120,0 ათასი ლარის ნაცვლად საკასო შესრულებაში ასახულია 0,4 ათასი ლარი; ხოლო არაწარმოებული აქტივების (მიწა) მუხლით მისაღები 700,0 ათასი ლარის ნაცვლად ფაქტიურმა შემოსავალმა 11,0 თასი ლარი შეადგინა, ანუ 1,6 %.

ფინანსური აქტიცვების კლების მუხლი მთლიანად ათვისებულია, კერძოდ 2010 წლის I იანვრისათვის არსებული ფაქტიური ნაშთი 336,0 ათასი ლარი მთლიანად მიმართულ იქნა დაგეგმილი ხარჯების დასაფინანსებლად.

საბიუჯეტო სახსრების ნაშთმა 01.01.2010 წლისათვის შეადგინა 18,1 ათასი ლარი.

**ხობის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების (ხარჯების) აუდიტი**

ხობის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის მოცულობა დაზუსტებული ბიუჯეტის მიხედვით 7899,4 ლარს შეადგენდა ( მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები 703,0 ათასი ლარი). საკასო შესრულებამ კი 874,8 ათასი ლარით ნაკლები 7024,6 ათასი ლარი შეადგინა. შესრულება 88,9 %. აქედან: ხარჯების გეგმა შესრულდა 90,7 %-ით. საკასო ხარჯი 4191,0 ათასი ლარი, გეგმა 4622,8 ათასი ლარი. მათ შორის: შრომის ანაზღაურების მუხლი დაფინანსდა 1197,3 ათასი ლარით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1216,4 ათასი ლარისა, შესრულების მაჩვენებელი 98,4%. 68,6 ლარის ნაკლებობით დაფინანსდა „საქონელი და მომსახურების" მუხლი, 866,5 ათასი ლარის ნაცვლად საკასო შესრულებამ 797,9 ათასი ლარი შეადგინა, დაგეგმილის 92,0 %. ოფისის ხარჯები დაფინანსებულ იქნა 135,1 ათასი ლარით, ნაცვლად დაგეგმილი 139,4 ათასი ლარისა, შესრულების მაჩვენებელია 96,9 %. „მივლინების ხარჯების" მუხლი დაფინანსებულ იქნა 34,8 %-ით, საკასო შესრულებამ შეადგინა 4,0 ათასი ლარი, ნაცვლად დაგეგმილი 11,5 ათასი ლარისა. წარმომადგენლობითი ხარჯების მოცულობამ კი 9,5 ათასი ალრი შეადგინა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20,0 ათასი ლარისა. შესრულების მაჩვენებელი 47,5 %.

„რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების" შეძენის ხარჯი დაფინანსებულია სრულად, გეგმით გათვალისწინებული 10,0 ათასი ლარი ათვისებულია. ანუ 100 %-ით. ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები დაფინანსებულია 142,4 ათასი ლარით. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 168,1 ათასი ლარით. შესრულების მაჩვენებელი 84,7 %.

„სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების" მუხლი ნაცლად გეგმით გათვალისწინებული 517,5 ათასი ლარისა დაფინანსებულ იქნა 496,9 ათასი ლარით, შესრულების მაჩვენებელი – 96 %.

სუბსიდიების მიმღებ მხარჯავ დაწესებულებებს აუთვისებელი დარჩათ 300,7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ 1673,3 ათასი ლარი შეადგინა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1974,0 ათასი ლარისა, შესრულების მაჩვენებელი 84,8 %.

21,8 ათასი ლარით ნაკლებით იქნა დაფინანსებული „სოციალური უზრუნველყოფის" მუხლი. გეგმით გათვალიწინებული 414,7 ათასი ლარის ნაცვლად 392,9 ათასი ლარით ანუ 94,7 %-ით.

„სხვა ხარჯების" მუხლი დაგეგმილი 151,2 ათასი ლარის ნაცვლად დაფინანსებულ იქნა 129,6 ათასი ლარით, ანუ 85,7 %-ით.

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის დაფინანსებას დააკლდა 443,0 ათასი ლარი. საკასო შესრულებაში ასახულია 2833,6 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალიწინებული 3276,6 ათასი ლარისა. შესრულების მაჩვენებელი 86,5 %.

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯები შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება:

მთლიანი მოცულობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო ხარჯებისა განსაზღვრული იყო 1623,5 ლარით, ხოლო საკასო შესრულებაში ასახულია 1529,1 ათასი ლარი, ანუ 94,2 %. მათ შორის: ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა დაფინანსებულია 1401,3 ათასი ლარით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1458,4 ათასი ლარისა, ანუ 96,0 %-ით. ფინანსური და ფისკალური საქმიანობის დაფინანსებას დააკლდა 19,7 ათასი ლარი, ხოლო საერთო დანიშნულების სხვა მომსახურების ხარჯებს 6,6 ათასი ლარი. სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში დაფინანსებულია 72.7 პროცენტით, გეგმა 38,5 ათასი ლარი, ფაქტი 28,0 ათასი ლარი.

„თავდაცვის" მუხლით განსაზღვრული 83,0 ათასი ლარის ნაცვლად საკასო შესრულებაში ნაჩვენებია 60,4 ათასი ლარი. ანუ 72,8 %.

„საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების" მუხლის დაფინანსებას დააკლდა 23,6 ათასი ლარი. 356,1 ათასი ლარის ნაცვლად დაფინანსებულ იქნა 332,5 ათასი ლარით, მათ შორის: „პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვის" მუხლი სრულად იქნა ათვისებული, ბიუჯეტით გათვალისწინებული 122,9 ათასი ლარი სრულადაა ასახული საკასო შესრულებაში, ხოლო ხანძარსაწინააღმდეგო და სამაშველო სამსახური დაფინანსებულ იქნა 89,9 %-ით, ანუ 209,6 ათასი ლარით, ნაცვლად გეგმით გათვალიწინებული 233,2 ათასი ლარისა.

„ეკონომიკური საქმიანობის" მუხლი დაფინანსებულ იქნა 1440,6 ათასი ლარით, ნაცვლად ბიუჯეტით გათვალისწინებული 1784,7 ათასი ლარისა, ანუ 80,7 %-ით. მათ შორის: „სოფლის მეურნეობის" მუხლი 432,6 ათასი ლარით, ნაცვლად ბიუჯეტით გათვალიწინებული 765,4 ათასი ლარისა ანუ 56,5%-ით. „საავტომობილო ტრანსპორტი და გზების" მუხლი 1008,0 ათასი ლარით. ნაცვლად გეგმით გათვალიწინებული 1019,3 ათასი ლარისა, ანუ 98,9 %-ით.

„გარემოს დაცვის" მუხლი დაფინანსებულია 0,8 ათასი ლარის ზედმეტობით, 282,5 ათასი ლარით, ნაცვლად გეგმით გათვალიწინებული 281,7 ათასი ლარისა. აქედან: „ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება" 247,1 ათასი ლარით, ნაცვლად ბიუჯეტით გათვალიწინებული 243,8 ათასი ლარისა, ხოლო ჩამდინარე წყლების მართვა 35,4 ათასი ლარით, ნაცვლად ბიუჯეტით გათვალისწინებული 37,9 ათასი ლარისა.

„საბინაო-კომუნალური მეურნეობის" მუხლის დაფინანსებას დააკლდა 33,0 ათასი ლარი. დაფინანსებულია 787,4 ათასი ლარით, ნაცვლად დაგეგმილი 820,4 ათასი ლარისა,ანუ 96,0 %-ით. მათ შორის: „კომუნალური მეურნეობის განვითარების" მუხლით გათვალიწინებული 30,0 ათასი ლარი ათვისებულია სრულად. წყალმომარაგების მუხლით გათვალისწინებული 228,7 ათასი ლარი, გაიხარჯა 0,9 ათასი ლარის ნაკლებობით, ანუ 100 %-ით. ხოლო გარე განათების მუხლით გათვალიწინებული 214,0 ათასი ლარის ნაცვლად გაიხარჯა 214,5 ათასი ლარი, ანუ 100,2 %. „სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის" მუხლით საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში გაიხარჯა 315,1 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 347,7 ათასი ლარისა, ანუ 90,6 %.

„საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების" მუხლით გაიხარჯა 116,8 ათასი ლარი, 300 ლარით მეტი გეგმით გათვალიწინებულზე.

„დასვენება, კულტურა და რელიგიის" მუხლით წლის განმავლობაში გაიხარჯა 652,2 ათასი ლარი, ნაცვლად ბიუჯეტით გათვალიწინებული 850,1 ათასი ლარისა ,ანუ 76,7 %.

მათ შორის: „მომსახურება კულტურისა და სპორტის სფეროში" მუხლი დაფინანსებულ იქნა 183,0 ათასი ლარით 1,2 ათასი ლარის ნაკლებობით. 67,5 პროცენტითაა დაფინანსებული. მუხლი „მომსახურების კულტურის სფეროში", 603,8 ათასი ლარის ნაცვლად დაფინანსების მოცულობა 407,4 ათას ლარს შეადგენს. დაგეგმილი 38,9 ათასი ლარის დაფინანსების მოცულობა მიიღო ტელერადიო და საგამომცემლო საქმიანობამ. რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა დაფინანსდა 100 პროცენტით, დაგეგმილი 8,0 ათასი ლარი ათვისებულია სრულად. სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში დაფინანსებულია 98,0 პროცენტით, 15,2 ატასი ლარის ნაცვლად 14,9 ათასი ლარით.

„განათლების" სფეროსათვის გეგმით გათვალიწინებული იყო 1685,2 ათასი ლარის დაფინანსების მოცულობა. საკასო შესრულებაში ასახულია 1547,0 ათასი ლარი. ანუ დაფინანსებულია 91,8 %-ით. მათ შორის: სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებას დააკლდა 44,7 ათასი ლარი. ბიუჯეტით გათვალიწინებული 898,8 ათასი ლარის ნაცვლად საკასო შესრულებაში ნაჩვენებია 854,1 ათასი ლარი, ანუ 95,0 % (საკასო შესრულებაში ასახულია სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების ადმინისტრაციის დაფინანსებაც, რომლის საგეგმო მაჩვენებელი გათვალისწინებული იყო მუხლში - „სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში"). „ზოგადი განათლების" მუხლი დაფინასებულია 601.3 ათასი ლარით, ნაცვლად ბიუჯეტით გათვალიწინებული 650,9 ათასი ლარისა, შესრულების 92,4 %-ით.

ხოლო რაც შეეხება მუხლს „სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში" იგი დაფინანსებულია 91,6 ათასი ლარით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 135,5 ათასი ლარისა.

„სოციალური დაცვის" მუხლი დაფინანსებულია 276,1 ათასი ლარით, გეგმით გათვალისწინებულზე 22,1 ათასი ლარით ნაკლები. მათ შორის: „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის" მუხლი დაფინანსებულია 197,7 ათასი ლარით, ნაცვლად ბიუჯეტით გათვალისწინებული 227,4 ათასი ლარისა. ანუ 86,9 %-ით. „ხანდაზმულთა სოციალური დაცვის" მუხლის დაფინანსებას დააკლდა 3,7 ათასი ლარი და დაფინანსებულ იქნა 44,1 ათასი ლარით, ხოლო „ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის" მუხლი დაფინანსებულ იქნა 11,3 ათასი ლარის ზედმეტობით – 34,3 ათასი ლარით, ნაცვლად გეგმით გათვალიწინებული 23,0 ათასი ლარისა.

„სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები"-დან გამოყოფილი 703,0 ათასი ლარის ხარჯვა ასე ხასიათდება: „ეკონომიკური საქმიანობის" მუხლით, საავტომობილო ტრანსპორტი და გზები გახარჯული იქნა 90,4 ათასი ლარი. „გარემოს დაცვის" მუხლით, ჩამდინარე წყების მართვა 34,5 ათასი ლარი. „საბინაო კომუნალური მეურნეობის" მუხლით 286,4 ათასი ლარი; მათ შორის: წყალმომარაგების მუხლით – 197,3 ათასი ლარი და სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში 89,1 ათასი ლარით. ზოგადი განათლება დაფინანსდა 291,7 ათასი ლარით.

„სარეზერვო ფონდის" დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული 92,4 ათასი ლარიდან ფაქტიურად გახარჯულია და საკასო შესრულებაში ნაჩვენებია 74,7 ათასი ლარი. თითოეული თანხა გამოყოფილია შესაბამისი ბრძანებებით.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წელს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად ხარჯების გეგმა განისაზღვრა 327.7 ათასი ლარით, აქედან შრომის ანაზღაურება 205.6 ათასი ლარით; შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება 21.1 ათასი ლარით; მივლინებები 1.5 ათასი ლარით; ოფისის ხარჯები 30.2 ათასი ლარით; ტრანსპორტის, ტექნიკის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯი 35.4 ათასი ლარით; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 33.9 ათასი ლარით;

არაფინანსური აქტივების ზრდის საგეგმო მაჩვენებელი 11.4 ათასი ლარით განისაზღვრა.

წლის განმავლობაში ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების შედეგად ხარჯების გეგმა დაზუსტდა და განისაზღვრა 284.9 ათასი ლარით. აქედან შრომის ანაზღაურება შემცირდა 13.5 ათასი ლარით და განისაზღვრა 192.1 ათასი ლარით. შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება დაგეგმილი იყო 21.1 ათასი ლარით, რომელიც მთლიანად შემცირდა. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა შემცირდა 8.2 ათასი ლარით და განისაზღვრა 25.7 ათასი ლარით. მივლინება განისაზღვრა 1.5 ათასი ლარით; ოფისის ხარჯები 30.2 ათასი ლარით; ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის და ექსპლუატაციის ხარჯი 35.4 ათასი ლარით; არაფინანსური აქტების ზრდა 11.4 ათასი ლარით.

ფაქტიურად ხარჯები დაფინანსებულია 95.6 პროცენტით, ანუ დაზუსტებული გეგმით განსაზღვრული 284.9 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 272.5 ათასი ლარი; აქედან:

შრომის ანაზღაურება დაფინანსებულია 97.7 პროცენტით, ანუ 192.1 ათასი ლარის ნაცვლად 187.7 ათასი ლარით. აუთვისებელი დარჩა 4.4 ათასი ლარი, ამასთან გაუცემელი ხელფასების დავალიანება მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 იანვრისათვის არ ერიცხება.

პირველადი დოკუმენტების აუდიტით დასტურდება, რომ შრომის ანაზღაურება დაფინანსებულია 185.5 ათასი ლარით, ნაცვლად ანგარიშში დაფიქსირებული 187.7 ათასი ლარისა (სხვაობის თანხა 2.2 ათას ლარი წარმოადგენს შტატგარეშე მომუშავეზე გაცემულ პრემიის თანხას). შტატგარეშე მომუშავეზე გაცემული შრომის ანაზღაურება 21.5 ათასი ლარი, მიკუთვნებულია სხვა ხარჯების მუხლს, აღნიშნულ მუხლს უნდა მიკუთვნებოდა გაცემული პრემიაც.

მივლინების მუხლი დაფინანსებულია 20 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 1.5 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია მხოლოდ 0.3 ათასი ლარი. გაწეული ხარჯები დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტებით.

ოფისის ხარჯები დაფინანსებულია 97.0 პროცენტით, ანუ 30.2 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 29.3 ათასი ლარი. გაწეულია ხარჯი საკანცელარიო და სამეურნეო საქონლის შეძენაზე, საკომუნიკაციო ბარათების შეძენაზე, კავშირგაბმულობაზე, ინტერნეტით სარგებლობაზე და ა.შ.

ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ექსპლუატაციის ხარჯები დაფინანსებულია 86.2 პროცენტით, ანუ 35.4 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 30.5 ათასი ლარი; აქედან შეძენილია საწვავი 22,7 ათასი ლარის (მათ შორის 5,7 ათასი ლარის საწვავი გაცემულია საკრებულოს წევრებზე უფლებამოსილების განხორციელების მიზნით), ხოლო 7,8 ათასი ლარის შეძენილია ავტომანქანის სათადარიგო ნაწილები და ჩატარებულია მიმდინარე სარემონტო სამუშაოები.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა დაფინანსებულია 96.0 პროცენტით, ანუ 25.7 ათასი ლარის ნაცვლად 24.7 ათასი ლარით. აქედან აღნიშნულ ხარჯებში შეყვანილია შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება 21.5 ათასი ლარი, ხოლო სხვადასხვა დანიშნულებით გახარჯულია 4.2 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდა დაფინანსებულია 81.6 პროცენტით, ანუ 11.4 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 9.3 ათასი ლარი აქედან შპს „მიფასი"-ს გადაერიცხა 5.3 ათასი ლარი გასული წლის დავალიანების თანხა, შპს „კასკადს"გადაერიცხა 3.0 ათასი ლარი კომპიუტერული ტექნიკის ღირებულება, შპს ლია და კომპანია" გადაერიცხა 1,0 ათასი ლარი მობილური ტელეფონის ღირებულება.

საკრებულოს მიერ გაწეული ხარჯების აუდიტით დასტურდება რომ შესყიდვები ნაწარმოებია საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მოთხოვნათა დაცვით. ყველა შესყიდვაზე წარმოდგენილია შესაბამისი შეძენის დოკუმენტები, ხოლო ხარჯებზე მიკუთვნება მოხდენილია შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებისა და ხარჯვის უწყისების საფუძველზე.

**ხობის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო**

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა 1162.6 ათასი ლარის ნაცვლად დაფინანსებულია 1119.5 ათასი ლარით 43.1 ათასი ლარით ნაკლები ანუ 96,3 პროცენტით.

ხარჯების გეგმის შესრულება ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლებით.

– შრომის ანაზღაურება დაფინანსებულია 98.2 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 826.6 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 811.9 ათასი ლარი, ანუ 14.7 ათასი ლარით ნაკლები.

– მივლინება დაფინანსებულია 32.9 პროცენტით, ანუ 7.3 ათასი ლარის ნაცვლად 2.4 ათასი ლარით ე.ი. 4.9 ათასი ლარით ნაკლები.

– ოფისის ხარჯები დაფინანსებულია 96.9 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 73.2 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 70.9 ათასი ლარი ე.ი. 2,3 ათასი ლარით ნაკლები.

– ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები დაფინანსებულია 82.3 პროცენტით, ანუ 41.9 ათასი ლარის ნაცვლად 34.5 ათასი ლარით, ე.ი. 7.4 ათასი ლარით ნაკლები.

– სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა დაფინანსებულია 98.7 პროცენტით, ანუ 87.7 ათასი ლარის ნაცვლად 86.6 ათასი ლარით, ე.ი. 1.1 ათასი ლარით ნაკლები.

– არაფინანსური აქტივების ზრდა დაფინანსებულია 89.9

→ 26

25 ←

პროცენტით ანუ დაგეგმილი 125.9 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 113.2 ათასი ლარი.

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატი**

დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატის გადასახადელების გეგმა 378.3 ათასი ლარით განისაზღვრა. წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების Აშედეგად დაზუსტებულმა გეგმამ 415.5 ათასი ლარი შეადგინა, ანუ დაგეგმილი გადასახდელები გაიზარდა 37.2 ათასი ლარით. დაზუსტებები განხორციელებულია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს Აშესაბამისი დადგენილებებით. დაზუსტებები განხორციელებულია, როგორც დამტკიცებული ასიგნების ზრდის თვალსაზრისით ასევე მუხლობრივ ჭრილშიც. კერძოდ შრომის ანაზღაურების მუხლი შემცირებულ იქნა 4.5 ათასი ლარით, ოფისის ხარჯები შემცირდა 64.8 ათასი ლარით; გაიზარდა ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯი 1.9 ათასი ლარით; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა 59.3 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდა გაიზარდა 41.7 ათასი ლარით. (ანგარიშში დაფიქსირებული მონაცემების მიხედვით) აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 22 ივლისის №127 დადგენილებით გაიზარდა ინვენტარის შეძენის ხარჯები (რომელიც ოფისის მუხლს განეკუთვნება) და არა „არაფინანსური აქტივების" ზრდას. ამდენად 2009 წლის გამგეობის აპარატის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ 415.5 ათასი ლარი შეადგინა.

გამგეობის აპარატი დაფინანსებულია 97,8 პროცენტით, ანუ 415.5 ათასი ლარის ნაცვლად 406.5 ათასი ლარით ე.ი. 9.0 ათასი ლარით ნაკლები, აქედან:

– შრომის ანაზღაურება დაფინანსებულია 98,9 პროცენტით, ანუ 204.2 ათასი ლარის ნაცვლად 201.9 ათასი ლარით ე.ი. 2.3 ათასი ლარით ნაკლები.

– მივლინებები დაფინანსებულია 46.7 პროცენტით ანუ 1.5 ათასი ლარის ნაცვლად 0.7 ათასი ლარით, ე.ი. 0,8 ათასი ლარით ნაკლები.

– ოფისის ხარჯები დაფინანსებულია 102.0 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 35.7 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 36.4 ათასი ლარი, ანუ დაშვებულია გადახარჯვა 0.7 ათასი ლარის ოდენობით.

– ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები დაფინანსებულია 80.0 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 33.5 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 26.8 ათასი ლარი, 6.7 ათასი ლარით ნაკლები.

– სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა დაფინანსებულია 100.0 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 80.9 ათასი ლარი ათვისებულია სრულად.

– არაფინანსური აქტივების ზრდა დაფინანსებულია 100 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 59.7 ათასი ლარი ათვისებულია სრულად.

–შრომის ანაზრაურებაზე გაწეული ხარჯები წარმოადგენს ძირითად საშტატო რიცხოვნობით რიცხულ პერსონალზე ხელფასის სახით განაცემს და შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურებას.

ამასთან არ იქნა სრულად დაფინანსებული შრომის ანაზღაურების მუხლი. დაზუსტებული ბიუჯეტით შრომის ანაზრაურების დაფინანსებას დააკლდა 2.3 ათასი ლარი.

წლის განმავლობაში დარიცხული ხელფასიდან ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი დაკავებულია სწორად და დროულად გადარიცხულია ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე. ყოველთვიური დეკლარაციები წარდგენილია დროულად შესაბამის რეგიონალ ცენტრში (საგადასახადო ინსპექცია).

მივლინებების საკასო ხარჯმა 0.7 ათასი ლარი შეადგინა ფაქტიურად გაწეულია იგივე. ყველა სამივლინებო ხარჯი გაწეულია ქვეყნის შიგნით მივლინებებზე. წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტების აუდიტით დასტურდება რომ მივლინებებთან დაკავშირებით გამოცემულია შესაბამისი ბრძანებები, გაცემულია სამივლინებო მოწმობები, რომლებიც დამოწმებულია შესაბამისი ორგანიზაციების მრგვალი ბეჭდით და ხელმოწერებით. სამივლინებო თანხების გაცემა უმეტეს შემთხვევაში ხდება ხარჯების დამადასტურებელი

დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ. სამივლინებო თანხების გაანგარიშებები მოხდენილია სწორად ძირითადად ანაზღაურებულია მგზავრობის ღირებულება და დღიური ნორმა.

წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად გამგეობის აპარატის ოფისის საკასო ხარჯებმა 36.4 ათასი ლარი შეადგინა. ფაქტიურად გახარჯულია იგივე. მათ შორის გადარიცხულია მონობარათების ღირებულება, საკანცელარიო ნივთების ღირებულება. ელკავშირის მომსახურეობის; საქპრესის, შეძენილია სხვადასხვა დასახელების სამეურნეო საქონელი და მცირეფასიანი საგნები. წარმოდგენილი ანგარიშების შესაბამისად გადარიცხულია ელ.ენერგიის ღირებულება, წყალკანალს გადაერიცხა მოხმარებული წყლის ღირებულება და ა.შ. ნაწარმოებია შესაბამისი ბუღალტრული გატარებები.

ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების მუხლიდან გახარჯულია სულ 26.8 ათასი ლარი; მათ შორის ჩატარებულია ავტომანქანის მიმდინარე რემონტები, შეძენილია საწვავი. საწვავის ხარჯვა მოხდენილია საგზურის ფურცლისა და ბენზინის ხარჯვის უწყისების საფუძველზე.

„სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის" მუხლიდან გახარჯულია 81.0 ათასი ლარი, მათ შორის: სსიპ „დაცვის პოლიციას" ხელშეკრულების შესაბამისად გადაერიცხა 43.2 ათასი ლარი, ხოლო სხვადსახვა დანიშნულებით გახარჯულია 37.8 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდა დაფინანსებულია 59.7 ათასი ლარით. მათ შორის: შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი" გადაერიცხა 46,7 ათასი ლარი, საიდანაც გამგეობისათვის შეძენილია 1 ერთეული ავტომობილი. რომელზეც წარმოდგენილია შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი და გაფორმებულია შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო 14.0 ათასი ლარით შეძენილია სხვადასხვა დასახელების ძირითადი საშუალებები.

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოები**

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოების გადასახდელების დამტკიცებული გეგმა 432.7 ათასი ლარით განისაზღვრა. წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად დაზუსტებულმა გეგმამ 460.1 ათასი ლარი შეადგინა დამტკიცებული გეგმა გაზრდილია 27.4 ათასი ლარით.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოები დაფინანსებულია 97.3 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 460.1 ათასი ლარიდან გახარჯულია 447.5 ათასი ლარი. მათ შორის:

– შრომის ანაზღაურება დაფინანსებულია 100 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 374.3 ათასი ლარი გახარჯულია სრულად.

– ოფისის ხარჯები დაფინანსებულია 92.2 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 23.2 ათასი ლარიდან გახარჯულია 21.4 ათასი ლარი.

– არაფინანსური აქტივების ზრდა დაფინანსებულია 82.9 პროცენტით, ანუ 62.6 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 51.9 ათასი ლარი.

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წელს განხორციელებული შესყიდვების აუდიტი**

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწიენბული ხარჯების ბაზაზე საქონლისა და მომსახურების შესყიდვის მიზნით ტენდერი გამოცხადებულია 8 შემთხვევაში, ხოლო ფასთა კოტირების მეთოდი გამოყენებულია 1 შემთხვევაში. ტენდერების შედეგებიდან გამომდინარე ბიუჯეტით დაგეგმილი ხარჯების გათვალისწინებით მიღებულია 274.4 ათასი ლარის ეკონომია, ხოლო ფასთა კოტირების შედეგად 10.1 ათასი ლარის ეკონომია. სხვა შემთხვევაში შესყიდვები ნაწარმოებია ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

იმავდროულად, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების დარღვევებისთვის, გატარებული საჯარიმო სანქციების შედეგად წლის განმავლობაში დარიცხულია სულ 292619.8 ლარი, საიდანაც 207186.62 ლარი წარმოადგენს შპს „ქემაილ"-ზე დაკისრებულ თანხას, ხოლო 28631.61 ლარი ი/მ „ნიკოლოზ ბერაია"-ზე სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებულ თანხას.

2009 წელს საბიუჯეტო სახსრები ძირითადად მიმართულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ობიექტების რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის სამუშაოებზე. კერძოდ:

ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციისთვის დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 2886.8 ათასი ლარი, საიდანაც ათვისებულია 2510.5 ათასი ლარი, რაც 376.3 ათასი ლარით ნაკლებია დაგეგმილზე. აქედან:

გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები დაგეგმილი იყო 1019.3 ათასი ლარი, ფაქტობრივ შესრულებაში კი ასხულია 1008.0 ათასი ლარი ანუ დაგეგმილზე 11.3 ათასი ლარით ნაკლები.

სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციისათვის დაზუსტებული ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 765.4 ათასი ლარის გასავალი. შესრულაბაში ასახულია 432.6 ათასი, რაც 332.8 ათასი ლარით ნაკლებია დაგეგმილზე.

წყლის სისტემების რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ღონისძიებებისათვის დაზუსტებული ბიუჯეტით გამოყოფილი 228.7 ათასი ლარიდან ათვისებულია 227.8 ათასი ლარი, ანუ 0.9 ათასი ლარით ნაკლები.

გარე განათების ქსელის რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციისთვის დაგეგმილი იყო 214.0 ათასი ლარის გასავალი, საიდანაც ათვისებულია 214,5 ათასი ლარი, რაც 0,5 ათასი ლარით მეტია დაგეგმილზე.

დასუფთავების ღონისძიებებისთვის 2009 წელს გამოყოფილი იყო 243.8 ათასი ლარი. ფაქტობრივ შესრულებაში ასახულია 247,1 ათასი ლარი, რაც 3,3 ათასით მეტია დაგეგმილზე, ხოლო სანაიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოებში აუთვისებელია 2.5 ათასი ლარი (გეგმა 37.9 – შესრულება 35.4 ათასი ლარი).

მიწის დარეგისტრირების, ზედამხედველობისა და ექსპერტიზის სამუშაოებისთვის დაგეგმილი იყო 30.7 ათასი ლარის გასავალი, საკასო შესრულებაში კი ასახულია 16.7 ათასი ლარი, ანუ აუთვისებელია 14.0 ათასი ლარი.

მინი სტადიონების მოწყობისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 149.6 ათასი ლარის ხარჯი, საიდანაც ათვისებულია 131.2 ანუ დაგეგმილზე 18.4 ათასი ლარით ნაკლები.

ეკლესიის მიმდებარე სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოების დასაფინანსებლად 2009 წლის დაზუსტებული ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 65.0 ათასი ლარის გასავალი, საკასო შესრულებაში კი ასახულია 66.7 ანუ დაგეგმილზე 1.7 ათასი ლარით მეტი.

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა კომუნალურ მეურნეობაში დაგეგმილი იყო 102.4 ათასი ლარი, საიდანაც ათვისებულია 100.5 ათასი ლარი, ანუ გეგმაზე 1.9 ათასი ლარით ნაკლები. დაფინანსება მთლიანად მიმართულია არაფინანსური აქტივების ზრდაზე.

საგანმანათლებლო ღონისძიებებისთვის დაზუსტებული ბიუჯეტით გამოყოფილი 1685.2 ათასი ლარიდან ათვისებულია 1547.0 ათასი ლარი, ანუ 138.2 ათასი ლარით ნაკლები. აქედან სკოლამდელი განათლების ღონისძიებების დაფინანსებას დააკლდა 44.7 ათასი ლარი. საჯარო სკოლების დაფინანსებას 49.6 ათასი ლარი, ხოლო სხვა საქმიანობას განათლების სფეროში 43.9 ათასი ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელით შესყიდვების განხორციელების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების, სახარჯთაღრიცხვო და ფაქტიური შესრულების დოკუმენტაციის მიმართ აუდიტორებს გააჩნიათ ცალკეული ხასიათის შენიშვნები და მოსაზრებები. კერძოდ:

– წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით ირკვევა, რომ ადგილი აქვს ხარჯთაღრიცხვების და შესაბამისად შესრულების აქტებში ერთგვაროვანი პარამეტრების განსხვავებულად შეტანას. რაშიც იგულისხმება ის გარემოება, რომ ცალკეულ შემთხვევებში ზედნადები ხარჯები და გეგმიური დაგროვება გაანგარიშებულია 8-10 პროცენტის ოდენობით, ხოლო სხვა შემთხვევებში 10-12 პროცენტის ფარგლებში.

– 2009 წლის 3 ივნისს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს „გეომეფს" შორის გაფორმდა №153 ხელშეკრულება, რომლის საგანსაც წარმოადგენდა ქ. ხობის განაშენიანების გენერალური გეგმის შედგენა. შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 29000 ლარს. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებებით სამუშაოთა შესრულების საბოლოო ვადა განისაზღვრა 2009 წლის 19 ოქტომბრის ჩათვლით.

შპს „გეომეფთან" ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ანგარიშსწორება ნაწარმოებია შემდეგნაირად: 2009 წლის 11 აგვისტოს გარანტიის საფუძველზე, ჩაერიცხა 8700 ლარი. 26 ოქტომბერს – 5000 ლარი, ხოლო 4 ნოემბერს – 15300 ლარი, რითაც დასრულდა საბოლოო ანგარიშწორება.

როგორც წარმოდგენილი მასალების ანალიზით ირკვევა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ არ იქნა გათვალისწინებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების სპეციფიკურობა და შესრულებული სამუშაოების (განაშენიანების გენ.გეგმა) საბოლოოდ დამტკიცების პროცედურული პირობები და თანხა სრულად იქნა ანაზღაურებული ისე, რომ განაშენიანების გენერალური გეგმა აუდიტის მიმდინარეობის პროცესშიც განხილვის საკითხად რჩება. ვინაიდან მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად არ ყოფილა დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებული ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესი.

იმავდროულად ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამგეობის მიერ მომზადებული დადგენილების პროექტი სამართლებრივი კონსულტაციის მიზნით გაიგზავნა სახელმწიფო წრმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციაში, საიდანაც მიღებულია სამართლებრივი დასკვნა სათანადო შენიშვნებით.

– 2009 საბიუჯეტო წლის ბოლოს ნაპირსამაგრი სამუშაოების შესყიდვის მიზნით გაფორმდა №307 და №315 ხელშეკრულებები შპს „ოხომირა"-სთან და სს „საქჰიდროენერგომშენი"-თან შესაბამისად 575583 და 716741 ლარზე. ორივე ფირმის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიების საფუძველზე ავანსის სახით გადაერიცხათ: შპს „ოხომირა"-ს – 172675 ლარი, ხოლო სს „საქჰიდროენერგომშენს" – 215000 ლარი. ვინაიდან ობიექტები შესასრულებელი სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე იყო გარდამავალი მათ მიერ 2009 წელს სამშაოთა შესრულებაზე აქტები წარმოდგენილი არ ყოფილა.

**ხობის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური**

დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის გადასახდელების გეგმა 77.7 ათასი ლარით განისაზღვრა. წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად დაგეგმილი გადასახდელები არ გაზრდილა. დაზუსტებები განხორციელებულია ცალკეული მუხლების მიხედვით. დაზუსტების შედეგად შემცირდა სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის მუხლი 0,6 ათასი ლარით, ხოლო გაიზარდა არაფინანსური აქტივების ზრდა 0,6 ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახური დაფინანსებულია 92.4 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 77.7 ათასი ლარის ნაცვლად 71.8 ათასი ლარით 5.9 ათასი ლარით ნაკლები; მათ შორის:

– შრომის ანაზღაურება დაფინანსებულია 95.3 პროცენტით, ანუ 67.8 ათასი ლარის ნაცვლად 64.6 ათასი ლარით ანუ 3.2 ათასი ლარით ნაკლები.

– მივლინება დაფინანსებულია 55.0 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 2.0 ათასი ლარის ნაცვლად დაფინანსებულია 1.1 ათასი ლარით.

– ოფისის ხარჯები დაფინანსებულია 100.0 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 5.9 ათასი ლარი გახარჯულია სრულად. „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა" დაფინანსებულია 50.0 პროცენტით, ანუ 0.4 ათასი ლარის ნაცვლად 0.2 ათასი ლარით.

– არაფინანსური აქტივების ზრდისთვის დაგეგმილი 1.6 ათასი ლარი არ ათვისებულა.

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა 64.6 ათასი ლარი შეადგინა, რომელიც წარმოადგენს ძირითად საშტატო რიცხოვნობით რიცხულ პერსონალზე ხელფასის ანარიცხების სახით გაცემულ თანხას. სამსახურში საშტატო რიცხოვნობა შეადგენს 9 ერთეულს. შრომის ანაზღაურების ფონდი დამტკიცებული ბიუჯეტით განისაზღვრა 67.8 ათასი ლარით.

ამასთან არ იქნა სრულად დაფინანსებული დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება დაფინანსებას დააკლდა 3.2 ათასი ლარი.

წლის განმავლობაში დარიცხული ხელფასიდან დაკავებულია ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი სწორად და გადარიცხულია ბიუჯეტში.

ყოველთვიური საშემოსავლო გადასახადის დეკლარაცია წარ-

→ 27

26 ←

დგენილია შესაბამის რეგიონულ ცენტრში დროულად.

მივლინების საკასო ხარჯმა 1.1 ათასი ლარი შეადგინა სამივლინებო თანხები გახარჯულია კანონმდებლობის შესაბამისად.

ოფისის ხარჯებმა 5.9 ათასი ლარი შეადგინა ანუ დაფინანსებულია 100.0 პროცენტით. ოფისის ხარჯებიდან შეძენილია ძირითადად საკანცელარიო და სამეურნეო საქონელი და დაფინანსებულია სხვადსახვა მომსახურეობის ხარჯები.

**ხობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური**

ხობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურს დამტკიცებული ბიუჯეტით გადასახდელების მოცულობა 48.4 ათასი ლარი განესაზღვრა. დაზუსტება არ განხორციელებულა.

ხობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური დაფინანსებულია 93.6 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 48.4 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 45.3 ათასი ლარი. ე.ი. 3.1 ათასი ლარით ნაკლები. მათ შორის:

– შრომის ანაზღაურება დაფინანსებულია 99.8 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 43.8 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 43.7 თასი ლარი.

– მივლინების ხარჯები დაფინანსებულია 12.5 პროცენტით ანუ დაგეგმილი 0.8 ათასი ლარიდან გახარჯულია 0.1 ათასი ლარი.

– ოფისის ხარჯები დაფინანსებულია 50.0 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 1.8 ათასი ლარიდან გახარჯულია 0.9 ათასი ლარი.

– არაფინანსური აქტივების ზრდა დაფინანსებულია 80.0 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 2.0 ათასი ლარიდან გახარჯულია მხოლოდ 1.6 ათასი ლარი.

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური**

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად გადასახდელების გეგმა განესაზღვრა 117.8 ათასი ლარით. წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად დაგეგმილი მაჩვენებელი არ შეცვლილა. დაზუსტებების შედეგად ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები გაიზარდა 1.9 ათასი ლარით, 1.0 ათასი ლარით შემცირდა სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურობის ხარჯები, ხოლო არაფინანსური აქტივებისთვის დაგეგმილი 1.0 ათასი ლარი შემცირდა.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური დაფინანსებულია 91.5 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 117.8 ათასი ლარიდან ათვისებულია 107.8 ათასი ლარი. მათ შორის:

– შრომის ანაზღაურება დაფინანსებულია 92.6 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 97.6 ათასი ლარის ნაცვლად ათვისებულია 90.4 ათასი ლარი. აუთვისებელია 7.2 ათასი ლარი.

– მივლინება დაფინანსებულია 26.7 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 1.5 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია მხოლოდ 0.4 ათასი ლარი.

– ოფისის ხარჯები დაფინანსებულია 100 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 3.8 ათასი ლარი ათვისებულია სრულად.

– ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვა და ექსპლუატაციის ხარჯები დაფინანსებულია 91.7 პროცენტით, 8.4 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 7.7 ათასი ლარი.

– სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა დაფინანსებულია 84.4 პროცენტით, ანუ 6.4 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 5.4 ათასი ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში საშტატო რიცხოვნობა შეადგენს 14 ერთეულს რომელზეც დარიცხული ხელფასებიდან დაკავებულია საშემოსავლო გადასახადი სწორად და გადარიცხულია ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე სრულად.

**ხობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური**

ხობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური დაფინანსებულია 94.0 პროცენტით, ანუ 43.2 ათასი ლარის ნაცვლად 40.6 ათასი ლარით. მათ შორის:

– შრომის ანაზღაურება დაფინანსებულია 97.9 პროცენტით ანუ დაგეგმილი 38.9 ათასი ლარის ნაცვლად 38.1 ათასი ლარით.

– მივლინება დაფინანსებულია 6.7 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 1,5 ათასი ლარიდან გახარჯულია 0.1 ათასი ლარი.

– ოფისის ხარჯები დაფინანსებულია 85.7 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 2.8 ათასი ლარიდან გახარჯულია 2.4 ათასი ლარი ე.ი. 0.4 ათასი ლარით ნაკლები.

**მაჟორიტარი დეპუტატის მომსახურების ხარჯები**

დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად მაჟორიტარი დეპუტატის მომსახურეობის ხარჯებისათვის დაიგეგმა 20,0 ათასი ლარი.

ფაქტიურად გახარჯულია 9.5 ათასი ლარი დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით 10.5 ათასი ლარით ნაკლები, ანუ დაფინანსებულია 47.5 პროცენტით, აღნიშნული თანხები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით მიკუთვნებულია წარმომადგენლობით ხარჯებს.

**შსს ადგილობრივი ორგანოები**

შსს ადგილობრივი ორგანოები დაფინანსებულია 100 პროცენტით ანუ დაზუსტებული გეგმით განსაზღვრული 122.9 ათასი ლარი ათვისებულია სრულად, აქედან:

ოფისის ხარჯები დაფინანსებულია 100 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 26.4 ათასი ლარი ათვისებულია სრულად.

ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა შენახვის და ექსპლოატაციის ხარჯები დაფინანსდა 104.0 პროცენტით ანუ დაგეგმილი 49.5 ათასი ლარის ნაცვლად ათვისებულია 51.5 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდა დაფინანსებულია 96.4 პროცენტით ანუ 47.0 ათასი ლარის ნაცვლად 45.3 ათასი ლარით.

**ხობის მუნიციპალიტეტის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური**

ხობის მუნიციპალიტეტის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად გამოეყო ასიგნება 230.7 ათასი ლარის ოდენობით, წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების შედეგად ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურს გადასახადების დაზუსტებული გეგმა 233.2 ათასი ლარით განესაზღვრა. ფაქტიურად გაწეულია ხარჯები 209.6 ათასი ლარის ოდენობით. საგეგმო მაჩვენებელს დააკლდა 23.6 ათასი ლარი, ანუ დაფინანსებამ 89.9 პროცენტი შეადგინა. აქედან:

„შრომის“ ანაზღაურება დაფინანსებულია 100.0 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 156.6 ათასი ლარი ათვისებულია სრულად.

„მივლინების“ ხარჯებსთვის დაგეგმილი 0.7 ათასი ლარი არ გახარჯულა.

„ოფისის ხარჯები“ დაფინანსებულია 86.0 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 5.0 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 4.3 ათასი ლარი.

„რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის“ ხარჯები დაფინანსებულია 100.0 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 10.0 ათასი ლარი ათვისებულია სრულად.

„ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვა და ექსპლუატაციის“ ხარჯები დაფინანსებულია 61.5 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 40.0 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 24.6 ათასი ლარი.

„სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა“ დაფინანსებულია 100.0 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 7.8 ათასი ლარი ათვისებულია სრულად.

„არაფინანსური აქტივების ზრდა“ დაფინანსებულია 48.9 პროცენტით, ანუ 13.1 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 6.4 ათასი ლარი.

ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის შენახვის ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემოწმების პროცესში გამოირკვა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2009 წლის 15 აპრილს გააფორმა №60 ხელშეკრულება 10.0 ათასი ლარის ღირებულების უნიფორმის შეძენაზე. ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა შესასყიდი საქონლის კალკულაცია. თვით კალკულაციაში (ერთეულზე) შეტანილია სოციალური გადასახადის თანხა, რომელიც 2009 წელს საერთოდ არ მოქმედებდა. ასევე ცალკეა შეტანილი მოგება და მოგების გადასახადი, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი, როგორც წესი შედის მოგებაში. ამდენად კალკულაციაში შეტანილი იყო არარეალური მონაცემები, რის შედეგად შესასყიდი საქონლის ღირებულება გაზრდილ იქნა 424 ლარით.

ასევე სახანძრო სამაშველო სამსახურის კუთვნილ ზილ-131 მარკის ავტომანქანას ი/მ „ბოგდან მახარაძე“-ს მიერ ჩაუტარდა ტექ.დათვალიერება და შეკეთება, რომლის მიერ 29 დეკემბერს გამოიწერა №9 სასაქონლო ზედნადები 10000 ლარზე. ზედნადები გამოწერილია კონკრეტულად შესასრულებელი სამუშაოების მითითების გარეშე ჯამურად, თუმცა აღნიშნული ასახულია დეფექტურ აქტში, მაგრამ ანგარისწორების საფუძველს წარმოადგენს სასაქონლო ზედნადები. ამასთან ბუღალტერიაში წარმოდგენილია ის პირი, რომელიც უნდა დარჩეს „შემსრულებელთან“.

**ხობის მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური**

ხობის მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დამტკიცებული გეგმა 77.3 ათასი ლარით განისაზღვრა, დაზუსტებული გეგმა კი 83.0 ათასი ლარით, ანუ გაიზარდა 6.0 ათასი ლარით. ფაქტიურად გაწეულია ხარჯი 60.4 ათასი ლარის ოდენობით. დაზუსტებულ გეგმასთან 22.6 ათასი ლარით ნაკლები, ანუ დაფინანსდა 72.8 პროცენტით, მათ შორის ხარჯები დაფინანსებულია 96.2 პროცენტით, ანუ 62.8 ათასი ლარის ნაცვლად 60.4 ათასი ლარით. აქედან:

შრომის ანაზღაურება დაფინანსდა 100.0 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 41.1 ათასი ლარი ათვისებულია სრულად.

მივლინების ხარჯები დაფინანსებულია 65.0 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 2.0 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 1.3 ათასი ლარი.

ოფისის ხარჯები დაფინანსებულია 100 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 4.6 ათასი ლარი ათვისებულია სრულად.

ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები დაფინანსებულია 100 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 1.3 ათასი ლარი ათვისებულია სრულად.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება დაფინანსებულია 88.4 პროცენტით, ანუ 13.8 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 12.2 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდისათვის დაგეგმილი 20.2 ათასი ლარი არ გახარჯულა.

**ა.ი.პ ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი**

ა.ი.პ ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანაცვის ცენტრს წარმოდგენილი ინფორმაციით 2009 წელს გამოეყო ასიგნება 83.0 ათასი ლარის ოდენობით, წლის განმავლობაში მიღებულმა დაფინანსებამ 80.0 ათასი ლარი შეადგინა 3.0 ათასი ლარით ნაკლები, ანუ დაფინანსდა 96.4 პროცენტით. მიღებული დაფინასებიდან გახარჯულია 79.7 ათასი ლარი, აქედან ხელფასების დასაფინანსებლად ძირითად საშტატო ერთეულზე გაცემულია 64.7 ათასი ლარი, სულ საშტატო რიცხოვნობა შეადგენს 14 ერთეულს. შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურების დაფინანსებითვის გახარჯულია 6.9 ათასი ლარი, ამდენად სულ დარიცხულია სახელფასო განაცემის სახით 71.6 ათასი ლარი, წარმოდგენილი ინფორმაციის შედეგად სახელფასო განაცემებს დაემატა ის განაცემები, რომელიც დაბეგრილია საშემოსავლო გადასახადით, სულ დარიცხვამ 72.2 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც დაკავებულია ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი 14.4 ათასი ლარი, ხოლო გადარიცხულია 16.0 ათასი ლარი. მივლინებისთვის გახარჯულია 0.4 ათასი ლარი, შეძენილია საკანცელარიო ნივთები 0.9 ათასი ლარის, სატელეფონო მომსახურეობაზე გახარჯულია 1.1 ათასი ლარი, აქედან ინტერნეტისა და საფოსტო ხარჯები შეადგენს 0.4 ათას ლარს, ხოლო საკომუნიკაციო ხარჯები 0.7 ათას ლარს, წლის განმავლობაში შეძენილია საწვავი 2.1 ათასი ლარის, მისი ჩამოწერა განხორციელებულია გარბენიდან გამომდინარე, ამასთან ჩამოწერა განხორციელდა ისეთ პირობებში, როდესაც ცენტრს არ ერიცხებოდა საწვავის ნაშთი, აღნიშნულს ხსნიან იმ გარემოებით, რომ საწვავს მომწოდებელი გასცემს ორგანიზაციაზე ე.წ. „ტალონი“ს საფუძველზე, ხოლო საქონლის მიწოდების დამადასტურებელ დოკუმენტის გამოწერა ხდება თვეში ან კვარტალში ერთხელ. შეძენილია ავტომანქანის სათადარიგო და საცხები მასალები 0.5 ათასი ლარის, რომელზეც გაფორმებულია შესაბამისი დეფექტური აქტი და ხარჯებზე მიკუთვნებულია შესაბამისი აქტის საფუძველზე. შეძენილია და გახარჯულია 0.5 ათასი ლარის სადეზინფექციო საშუალებები. შეძენილია საბონიფიკაციო ინვენტარი 0.3 ათასი ლარის, სამეურნეო დანიშნულების საქონლის შეძენაზე გახარჯუილია 0.2 ათასი ლარი, გადარიცხულილა მოხმარებული ელ. ენერგიის ღირებულება 0.2 ათსი ლარი, კომპიუტერული ტექნიკის მოვლა-შენახვის და ექსპლუატაციის მიზნით გაწეულია 0.6 ათასი ლარის ხარჯი: ნარჩენების გატანაზე გადახდილია 0.2 ათასი ლარი, შეძენილია 0.3 ათასი ლარის ფაქსის აპარატი, სხვა დანარჩენი ხარჯების დაფინანსებისთვის გახარჯულია 0.7 ათასი ლარი.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი დაფინანსებულია არათანაბარზომიერად, ასე მაგალითად მარტისა და ივლისის თვეში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი საერთოდ არ დაფინანსებულა.

შეძენები ნაწარმოებია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის დაცვით. ყველა მომწოდებელთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები საქონლის ან მომსახურეობის მოწოდებაზე.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს წარმოდგენილი ცნობით 2009 წლის 1 იანვრისთვის ერიცხება ძირითადი ქონების ნაშთი 11683 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2010 წლის 1 იანვრისათვის 12352 ლარის.

**ა.ი.პ ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი**

ა.ი.პ ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი რეგისტრირებულია ქ. ფოთის საოლქო საგადასახადო ინსპექციაში 2007 წლის 20 აგვისტოს.

ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის მიერ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიღებული სუბსიდიით ფინანსდება განათლების ცენტრის ადმინისტრაცია, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, კომპიუტერული სკოლა, სამუსიკო სკოლა და სასპორტო სკოლა. 2009 წლის 6 თებერვალს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №113 დადგენილებით დამტკიცებულია ხობის 2009 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი, სადაც №4 დანართში, მოცემულია ბიჯეტის ხარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაცია, ხოლო ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრს, როგორც ა.ი.პ-ს ასიგნების საერთო მოცულობა განსაზღვრული არ არის. დაგეგმილი ბიუჯეტის მიხედვით ცენტრის დაფინანსება ნაწილობრივ გათვალისწინებულია მუხლში „სხვა დანარჩენი ღონისძიებები განათლების სფეროში“, რომელზეც დამატებულია სპორტული სკოლებისა და სახელოვნებო სკოლებისათვის გამოყოფილი ასიგნებები. ასიგნების საერთო მოცულობამ 2009 წლის დამტკიცებული გეგმის შესაბამისად 212.3 ათასი ლარი შედგინა. 2009 წლის 29 სექტემბრის საკრებულოს №129 დადგენილებით განათლების ცენტრს დამატებით გამოეყო ასიგნება 6.0 ათასი ლარი ხობის რაიონში დასაქმებულ პედაგოგთა საჩუქრებისთვის (ძირითადად შეძენილია ბლოკნოტები და ბურთულიანი ავტოკალამი), ამდენად დაზუსტებულმა გეგმამ 218.3 ათასი ლარი შეადგინა, აქედან განათლების ცენტრი 32.1 ათასი ლარი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი 39.6 ათასი ლარი, კომპიუტერული სკოლა 26.0 ათასი ლარი, სამუსიკო სკოლა 35.1 ათასი ლარი, სასპორტო სკოლა 85.5 ათასი ლარი,.

2009 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიღებულმა სუბსიდიამ (მ.შ. მშობელთა შენატანი 14.2 ათასი ლარი) 211 ათასი ლარი შეადგინა დაზუსტებულ გეგმასთან 7.3 ათასი ლარით ნაკლები, ანუ 96.7 პროცენტი. აქედან:

განათლების ცენტრი დაფინანსებულია 98.7 ნპროცენტით, ანუ 32.1 ათასი ლარის ნაცვლოად 31.7 ათასი ლარით. მათ შორის ხელფასი 17.8 ათასი ლარის ნაცვლად დაფინსასებულია 18.1 ათასი ლარით, ანუ 0.3 ათასი ლარით მეტი.

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი დაფინანსდა 86.0 პროცენტით ანუ 39.6 ათასი ლარის ნაცვლად 34.1 ათასი ლარით. მათ შორის სამეურნეო ინვენტარის შეძენისთვის დაგეგმილი 4.0 ათასი ლარი არ ათვისებულა.

კომპიუტერული სკოლა დაფინანსებულია თითქმის 100.0 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 26.0 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 25.8 ათასი ლარი.

სამუსიკო სკოლა დაფინანსდა 100.0 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 35.1 ათასი ლარი ათვისებულია სრულად.

სასპორტო სკოლა დაფინანსებულია 98.7 პროცენტით, ანუ 85.5 ათასი ლარის ნაცვლად 84.4 ათასი ლარით.

მიღებული დაფინანსებიდან ხელფასისთვის გახარჯულია 156.4

→ 28

27 ←

ათასი ლარი; მივლინება 1.0 ათასი ლარი; ოფისის ხარჯებისათვის 7.2 ათასი ლარი; აქედან კომუნალური დანიშნულებით 3.3 ათასი ლარი; შეძენილია სამეურნეო ინვენტარი 9.0 ათასი ლარის, სპორტული ინვენტარი 4.1 ათასი ლარის, სხვადასხვა ხარჯებზე გახარჯულია 10.2 ათასი ლარი, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულებით მომუშავეთა შრომის ანაზღაურებას. სხვადასხვა ღონისძიებებზე გახარჯულია 7.9 ათასი ლარი, ხოლო სპორტულ ღონისძიებებზე 15.2 ათასი ლარი, რომელიც წარმოადგენს ძირითადად სპორტსმენთა სამივლინებო ხარჯებს.

გაწეული ხარჯები დადასტურებულია დოკუმენტურად, შესყიდვები კი ნაწარმოებია დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

აუდიტორებს განათლების ცენტრის პირველადი საბუღალტრო დოკუმენტაციის მიმართ არსებითი ხასიათის შენიშვნები არ გააჩნიათ.

ა.ი.პ. ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება

ა.ი.პ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება" რეგისტრირებულია ქ. ფოთის საოლქო საგადასახადო ინსპექციაში 2007 წლის 30 ივლისს და მინიჭებული აქვს ს.ნ 244690214. გაერთიანებას ანგარიშწორების ანგარიში გახსნილი აქვს სს „ლიბერთი ბანკი"-ს ხობის ფილიალში ან №33030900.

სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება სუბსიდიით, ამასთან გაერთაიენბის მიერ ხდება მობილიზება სპეც.შემოსავლების (მშობელთა შემონატანი), რომელიც მიღებულია არა გაერთიანების ანგარიშწორების ანგარიშზე, არამედ ასახულია ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებში. ასევე მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში გაერთიანების, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირის ასიგნება ცალკე მუხლად განსაზღვრული არ არის. საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ" მე-13 მუხლის შესაბამისად „ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ" გადაწყვეტილებაში აისახება შემოსავალი ყოველი სახეობის, თითოეული მხარჯავი დაწესებულების და ღონისძიებების ფუნქციონალური და ეკონომუკური კლასიფიკაციის მიხედვით.

დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად „სკოლამდელი განათლების დაფინანსებისათვის დაიგეგმა 909.8 ათასი ლარი, ხოლო სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების ადმინისტრაციის ასიგნება განისაზღვრა მუხლში „სხვა დანარჩენი ღონისძიებები განათლების სფეროში", ამდენად დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად ა.ი.პ. „სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებას" განესაზღვრა ასიგნება 945.7 ათასი ლარი, 2009 წლის 22 ივლისის საკრებულოს №127 დადგენილებით სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებას შეუმცირდა დაგეგმილი მაჩვენებელი 11.0 ათასი ლარით, ამდენად დაზუსტებული გეგმა 934.7 ათასი ლარით განისაზღვრა, მათ შორის ხელფასი 533.6 ათასი ლარი, მივლინება 0.5 ათასი ლარი, ოფისის ხარჯები 80.0 ათასი ლარი, კვების ხარჯები 198.3 ათასი ლარი, ინვენტარის შეძენისათვის 36.7 ათასი ლარი, რბილი ინვენტარის შეძენის ხარჯები 16.3 ათასი ლარით, სხვა ხარჯები 59.7 ათასი ლარით, მიმდინარე სარემონტო და საპროექტო სამუშაოებისათვის 9.5 ათასი ლარი.

2009 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიღებულია სუბსიდია 854.2 ათასი ლარი, დაგეგმილზე 80.5 ათასი ლარით ნაკლები, ანუ 91.4 პროცენტი, აქედან:

ხელფასები დაფინანსებულია 96.2 პროცენტით, ანუ 533.6 ათასი ლარის ნაცვლად 513.3 ათასი ლარით, თანხის აუთვისებლობა ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2009 წელს დაგეგმილი იყო დამატებით 4 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების გახსნა, რაც არ განხორციელებულა. სხვა ხარჯების მუხლიდან გაცემულია ხელფასი შტატგარეშე მომუშავე პერსონალზე, სულ 2009 წლის განმავლობაში სხვა ხარჯების მუხლიდან ხელფასებსთვის გახარჯულია 42.5 ათასი ლარი, სულ დარიცხულმა ხელფასმა შეადგინა 555.8 ათასი ლარი, საიდანაც დაკავებულია და გადარიცხულია ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი 111.2 ათასი ლარი.

მივლინება დაფინანსებულია 52 პროცენტით, ანუ 0.5 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 0.3 ათასი ლარი. სამივლინებო თანხების ხარჯვაზე წარმოდგენილია შესაბამისი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ოფისის ხარჯები დაფინანსებულია 83.7 პროცენტით, ანუ 80.0 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 67.0 ათასი ლარი, ამათგან გადახდილია მოხმარებული ელ.ენერგიის ღირებულება 2.7 ათასი ლარი; გადახდილია 0.77 ათასი ლარი, საჯირკე გადასახადი 385 $მ^3$ შეშის ჭრის ნებართვისათვის, 16.5 ათასი ლარი გადარიცხულია ი.მ „ნუგზარ ლატარიასთვის" 385 $მ^3$ შეშის დამზადება-ტრანსპორტირების ღირებულება. აღნიშნული შეშა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებით გადაეცა თითოეულ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებას. ი.მ „მურთაზ გალდავას" გადაერიცხა ელ.საქონლის ღირებულება 1.7 ათასი ლარი, ი/მ „მიმოზა გერგაიას"აგან შეძენილია 3.5 ათასი ლარის სამეურნეო საქონელი. წყლის მრიცხველების დადგმის სამუშაოებისათვის შპს „ხობი 2005" გადაერიცხა 0.2 ათასი ლარი, წყლის მრიცხველების დამონტაჟებისათვის ი.მ „ზაზა ნარსიას" გადერიცხა 2.4 ათასი ლარი. შპს „წყალკანალს" გადაერიცხა 0.9 ათასი ლარი მოხმარებული წყლის ღირებულება, ი.მ „ბადრი ქაქუთია"-საგან შეძენილია საკანცელარიო ნივთები 7.8 ათასი ლარის; ს.ს „ხობი გაზი"-საგან შეძენილია თხევადი აირი 7.9 ათასი ლარის, ხოლო ი.მ „ზაურ კაკაბაძე"-საგან 7.0 ათასი ლარის, სულ შეძენილია თხევადი აირი 14.9 ათასი ლარის, შეძენილია ი.მ „მიმოზა გერგაია"-საგან 10.1 ათასი ლარის სხვადასხვა დასახელების სამეურნეო საქონელი (ძირითადი ჰიგიენის საშუალებები) 5.5 ათასი ლარი გახარჯულია კატრიჯის დატენვაზე, გაზეთში განცხადებების განთავსებაზე, სატელეფონო და ინტერნეტით მომსახურეობაზე; საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე, ქსეროასლების გადაღებაზე, ბილეთებისა და მობილური ტელეფონის ბარათების შეძენაზე. ყველა შეძენა მოხდენილია საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" დაცვით, გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები, აღნიშნული შეძენები განხორციელებულია ერთპირთან მოლაპარაკების გზით.

კვების ხარჯები დაფინანსებულია 96.8 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 198.3 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 191.9 ათასი ლარი, აქედან შპს „ირაკლი"-სთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად წლის განმავლობაში შეძენილია პური 14.6 ათასი ლარის ღირებულების, ხოლო ი.მ „შახან ლომაიას"-სგან 1.2 ათასი ლარის, სულ შეძენილია პური 15.8 ათასი ლარის ოდენობით. კვების პროდუქტების შეძენაზე ხელშეკრულება გაფორმებულია 2 მეწარმესთან, ი.მ „მერაბი ჯალაღონია" და ი.მ „ეკა ხარბედია". ი.მ „მერაბ ჯალაღონია"-სგან ე.პ.მ. გზით შეძენილია 37.2 ათასი ლარის კვების პროდუქტები 2009 წელს 1 აპრილამდე, ხოლო შემდეგ ჩატარებული ტენდერის შედეგებიდან გამომდინარე აღნიშნულ მეწარმიდან შეძენილია 89.9 ათასი ლარის კვების პროდუქტები. მათ შორის 2009 წლის 23 დეკემბერს ს.ზ №403 შეძენილია სხვადსახვა დასახელების ტკბილეული საახალწლო საჩუქრები პატარებისთვის. აღნიშნული საქონელი დაფასოებულ იქნა ბავშვთა კონტიგენტიდან გამომდინარე და გაერთიანების მიერ გადაცემულია თითოეულ სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებით. აღნიშნული აქტები ყველა შემთხვევაში დამოწმებულია მიმღები მხარის მიერ. ი.მ „ეკა ხარბედია"-საგან შეძენილია ძირითადად ხორც-პროდუქტები და კვერცხი. სულ წლის განმავლობაში შეძენილია 40.0 ათასი ლარის პროდუქტი (აქედან ფასთა კოტირებით 28.0 ათასი ლარის)

კვების პროდუქტების შეძენა მოხდენილია თითოეული სააღმზრდელო დაწესებულების მიერ თვის განმავლობაში დამტკიცებული გეგმის ფარგლებში, ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ თვის განმავლობაში პროდუქტების მიღება ხდება მყიდველსა და გამყიდველს შორის გაფორმებული პროდუქტების მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ხოლო სასაქონლო ზედნადებები გამოწერილია ძირითადად თვის ბოლო რიცხვებში, რითაც დარღვეულია კანონმდებლობის მოთხოვნები, რადგანაც საქონლის მიწოდების დროს უნდა გამოიწეროს შესაბამისი საქონლის მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტი (სასაქონლო ზედნადები ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა). მიღებული კვების პროდუქტების ხარჯვა თითოეული სააღმზრდელო დაწესებულების მიერ მოხდენილია მენიუს ნორმებიდან გამომდინარე. მენიუ და ნორმები განსაზღვრულია და დამტკიცებულია გაერთიანების ადმინისტრაციის მიერ. ჩვენს მიერ შერჩევით იქნა შემოწმებული კვების პროდუქტების ჩამოწერის რეალობა და დადგენილია, რომ ჩამოწერა ძირითადად ნაწარმოებია დამტკიცებული მენიუსა და ნორმის ფარგლებში, ამასთან ზოგ შემთხვაცაში ზოგიერთი პროდუქტი ჩამოწერილია ნორმით განსაზღვრულ მოცულობაზე ნაკლები რაოდენობით, რასაც გაერთიანების ხელმძღვანელები ხსნიან იმ გარემოებით, რომ კვების თანხა დაიგეგმა არა კონტიგენტის მიხედვით, არამედ გასული წლის ფაქტიურ ხარჯების 10 პროცენტიანი მატებით და საფინანსო განყოფილების მხრიდან მკაცრად კონტროლდება თითოეული სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დაფინანსება, რის შედეგად სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები არ იმყოფებიან ერთნაირ პირობებში.

კვების პროდუქტების ნაშთმა 2010 წლის 1 იანვრისათვის 0.3 ათასი ლარი შეადგინა.

ინვენტარის შეძენის ხარჯები დაფინანსებულია 54.8 პროცენტით ანუ დაგეგმილი 36.7 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 20.1 ათასი ლარი, აქედან შპს „დი-თი"-სთან გაფორმებული №34 ხელშეკრულების საფუძველზე (15.12.09) შეძენილია 14.8 ათასი ლარის სხვადასხვა დასხელების ინვენტარი, თანხა გადარიცხულია 2009 წლის 23 დეკემბერს, გამყიდველის მიერ გამოწერილი გამარტივებული სასქონლო ზედნადების საფუძველზე, ხოლო აღნიშნული ინვენტარი გაერთიანების მიერ მიღებულია 2010 წლის 8 იანვარს, შესაბამისად აღნიშნული თარიღით არის გამოწერილი სასაქონლო ზედნადებიც და ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტიც. აგრეთვე ი.მ „მურთაზ გალდავა"-საგან შეძენილია 5.3 ათასი ლარის სხვადასხვა დასახელების საყოფაცხოვრებო ტექნიკა.

რბილი ინვენტარის შეძენის ხარჯები დაფინანსებულია 41.1 პროცენტით ანუ დაგეგმილი 16.3 ათასი ლარის ნაცვლად ათვისებულია 6.7 ათასი ლარი, კერძოდ ი.მ „მიმოზა გერგაია"-სთან 2009 წლის 15 დეკემბერს გაფორმებული №37 ხელშეკრულებით, 2009 წლის 18 დეკემბერს (ს.ზ. 272-294) შეძენილია 6.7 ათასი ლარის სხვადსხვა დასახელების საქონელი, რომელიც შესაბამისად მიღებული აქვთ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებს.

„სხვა ხარჯების" მუხლი დაფინანსებულია 77 პროცენტით, ანუ 59.7 ათასი ლარის ნაცვლად 46.0 ათასი ლარით, აქედან გახარჯულია ხელფასები შტატგარეშე მომუშავეთა პერსონალზე 42.5 ათასი ლარი, ხოლო 3.5 ათასი ლარი გახარჯულია სხვადასხვა დანიშნულებით. კერძოდ: სკოლის გარეშე სააღმზრდელო დაწესებულებებზე შეძენილი და გადაცემულია სხვადსახვა დასახელების სათამაშოები.

სარემონტო სამუშაოებზე და ხარჯთაღრიცხვების შედგენაზე გახარჯულია 9.0 ათასი ლარი, აღნიშნული ხარჯი გაწეულია 10 სააღმზრდელო დაწესებულების მიმდინარე სარემონტო სამუშაოზე (ძირითადად შეკეთებულია სახურავი, შეყვანილია წყალი და მოწესრიგებულია საკანალიზაციო სისტემა) და გასახსნელი ბაღების სარემონტო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება, კერძოდ ი.მ „თამაზ შელია"-სთან 2009 წლის 10 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება №24 და ანაზღაურებულია 2405 ლარი.

მიღებული 854.2 ათასი ლარიდან სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების დაფინანსებისათვის გახარჯულია 811.0 ათასი ლარი (საახალწლო საჩუქრების გარეშე) თითოეული სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების მიხედვით ხარჯები შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება:

ხამისკურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაში ფუნქციონირებს 1 ჯგუფი, ბავშვთა რაოდენობა 26 ერთეულია, საშტატო რიცხოვნება 4.25 ერთეული. აღნიშნული დაწესებულების დაფინანსებაზე სულ გაიხარჯა 23.1 ათასი ლარი, აქედან ხელფასები 11970 ლარი; ოფისის ხარჯები 634 ლარი; კომუნალური ხარჯი 1041 ლარი; კვების ხარჯებისათვის 7410 ლარი; ინვენტარისათვის 380 ლარი; რბილი ინვენტარის შესაძენად 200 ლარი; სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 1465 ლარი.

ხეთის №2 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაში ფუნქციონირებს 1 ჯგუფი, ბავშვთა რაოდენობა 14 ერთეულია, საშტატო რიცხოვნება 4.0 ერთეული. აღნიშნული დაწესებულების დაფინანსებაზე სულ გაიხარჯა 19026 ლარი, აქედან ხელფასები 11341 ლარი; ოფისის ხარჯები 548 ლარი; კომუნალური ხარჯი 1003 ლარი; კვების ხარჯებისათვის 4089 ლარი; ინვენტარისათვის 380 ლარი; რბილი ინვენტარის შესაძენად 200 ლარი; სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 145 ლარი.

ჭალადიდის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაში ფუნქციონირებს 2 ჯგუფი, ბავშვთა რაოდენობა 31 ერთეულია, საშტატო რიცხოვნება 8.0 ერთეული. აღნიშნული დაწესებულების დაფინანსებაზე სულ გაიხარჯა 33999 ლარი, აქედან ხელფასები 21249 ლარი; ოფისის ხარჯები 620 ლარი; კომუნალური ხარჯი 1609 ლარი; კვების ხარჯებისათვის 8364 ლარი; ინვენტარისათვის 378 ლარი; რბილი ინვენტარის შესაძენად 200 ლარი; სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 1359 ლარი; მიმდინარე რემონტზე გაიხარჯა 220 ლარი.

ახალსოფლის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაში ფუნქციონირებს 2 ჯგუფი, ბავშვთა რაოდენობა 27 ერთეულია, საშტატო რიცხოვნება 6.0 ერთეული. აღნიშნული დაწესებულების დაფინანსებაზე სულ გაიხარჯა 29403 ლარი, აქედან ხელფასები 16727 ლარი; ოფისის ხარჯები 753 ლარი; კომუნალური ხარჯი 1455 ლარი; კვების ხარჯებისათვის 7050 ლარი; რბილი ინვენტარის შესაძენად 200 ლარი; სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 1301 ლარი; მიმდინარე რემონტზე გაიხარჯა 1917 ლარი.

გ/ხორგის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაში ფუნქციონირებს 1 ჯგუფი, ბავშვთა რაოდენობა 18 ერთეულია, საშტატო რიცხოვნება 4.0 ერთეული. აღნიშნული დაწესებულების დაფინანსებაზე სულ გაიხარჯა 20518 ლარი, აქედან ხელფასები 11341 ლარი; ოფისის ხარჯები 497 ლარი; კომუნალური ხარჯი 1064 ლარი; კვების ხარჯებისათვის 5316 ლარი; ინვენტარისათვის 115 ლარი; რბილი ინვენტარის შესაძენად 200 ლარი; სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 1985 ლარი.

ქ/ქვალონის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაში ფუნქციონირებს 2 ჯგუფი, ბავშვთა რაოდენობა 31 ერთეულია, საშტატო რიცხოვნება 5.5 ერთეული. აღნიშნული დაწესებულების დაფინანსებაზე სულ გაიხარჯა 28129 ლარი, აქედან ხელფასები 14789 ლარი; ოფისის ხარჯები 605 ლარი; კომუნალური ხარჯი 1422 ლარი; კვების ხარჯებისათვის 8476 ლარი; ინვენტარისათვის 215 ლარი; რბილი ინვენტარის შესაძენად 200 ლარი; სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 1301 ლარი; მიმდინარე რემონტზე გაიხარჯა 1121 ლარი.

საჯიჯაოს სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაში ფუნქციონირებს 2 ჯგუფი (მ.შ. ერთი ჯგუფი ბაგა), ბავშვთა რაოდენობა 26 ერთეულია, საშტატო რიცხოვნება 9.0 ერთეული. აღნიშნული დაწესებულების დაფინანსებაზე სულ გაიხარჯა 32992 ლარი, აქედან ხელფასები 23196 ლარი; ოფისის ხარჯები 728 ლარი; კომუნალური ხარჯი 1391 ლარი; კვების ხარჯებისათვის 6890 ლარი; ინვენტარისათვის 406 ლარი; რბილი ინვენტარის შესაძენად 200 ლარი; სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 181 ლარი.

საგვიჩიოს სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაში ფუნქციონირებს 1 ჯგუფი, ბავშვთა რაოდენობა 11 ერთეულია, საშტატო რიცხოვნება 4.0 ერთეული. აღნიშნული დაწესებულების დაფინანსებაზე სულ გაიხარჯა 20040 ლარი, აქედან ხელფასები 11341 ლარი; ოფისის ხარჯები 502 ლარი; კომუნალური ხარჯი 976 ლარი; კვების ხარჯებისათვის 3234 ლარი; სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 2120 ლარი; მიმდინარე რემონტზე გაიხარჯა 1867 ლარი.

შუა ხორგის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაში ფუნქციონირებს 2 ჯგუფი, ბავშვთა რაოდენობა 30 ერთეულია, საშტატო რიცხოვნება 6.5 ერთეული. აღნიშნული დაწესებულების დაფინანსებაზე სულ გაიხარჯა 30183 ლარი, აქედან ხელფასები 17718 ლარი; ოფისის ხარჯები 815 ლარი; კომუნალური ხარჯი 1572 ლარი; კვების ხარჯებისათვის 7852 ლარი; ინვენტარისათვის 125 ლარი; რბილი ინვენტარის შესაძენად 300 ლარი; სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 1801 ლარი.

ბიას სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაში ფუნქციონირებს 1 ჯგუფი, ბავშვთა რაოდენობა 13 ერთეულია, საშტატო რიცხოვნება 4.0 ერთეული. აღნიშნული დაწესებულების დაფინანსებაზე სულ გაიხარჯა 18165 ლარი, აქედან ხელფასები 11341 ლარი; ოფისის ხარჯები 552 ლარი; კომუნალური ხარჯი 996 ლარი; კვების ხარჯებისათვის 3352 ლარი; ინვენტარისათვის 250 ლარი; რბილი ინვენტარის შესაძენად 200 ლარი; სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 1475 ლარი.

თორსის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაში ფუნქციონირებს 1 ჯგუფი, ბავშვთა რაოდენობა 19 ერთეულია, საშტატო რიცხოვნება 4.0 ერთეული. აღნიშნული დაწესებულების

→ 29

28 ←

დაფინანსებაზე სულ გაიხარჯა 19616 ლარი, აქედან ხელფასები 11341 ლარი; ოფისის ხარჯები 529 ლარი; კომუნალური ხარჯი 968 ლარი; კვების ხარჯებისათვის 5199 ლარი; ინვენტარისათვის 194 ლარი; რბილი ინვენტარის შესაძენად 100 ლარი; სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 1285 ლარი.

ნოჯიხევის №1 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაში ფუნქციონირებს 1 ჯგუფი, ბავშვთა რაოდენობა 15 ერთეულია, საშტატო რიცხოვნება 4.0 ერთეული. აღნიშნული დაწესებულების დაფინანსებაზე სულ გაიხარჯა 18844 ლარი, აქედან ხელფასები 11341 ლარი; ოფისის ხარჯები 542 ლარი; კომუნალური ხარჯი 951 ლარი; კვების ხარჯებისათვის 4500 ლარი; ინვენტარისათვის 125 ლარი; რბილი ინვენტარის შესაძენად 100 ლარი; სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 1285 ლარი.

წინაგოლის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაში ფუნქციონირებს 1 ჯგუფი, ბავშვთა რაოდენობა 15 ერთეულია, საშტატო რიცხოვნება 4.0 ერთეული. აღნიშნული დაწესებულების დაფინანსებაზე სულ გაიხარჯა 18670 ლარი, აქედან ხელფასები 11413 ლარი; ოფისის ხარჯები 550 ლარი; კომუნალური ხარჯი 1122 ლარი; კვების ხარჯებისათვის 3930 ლარი; ინვენტარისათვის 110 ლარი; რბილი ინვენტარის შესაძენად 100 ლარი; სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 1445 ლარი.

გ/საჯიჯაოს სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაში ფუნქციონირებს 1 ჯგუფი, ბავშვთა რაოდენობა 12 ერთეულია, საშტატო რიცხოვნება 4.0 ერთეული. აღნიშნული დაწესებულების დაფინანსებაზე სულ გაიხარჯა 17894 ლარი, აქედან ხელფასები 11341 ლარი; ოფისის ხარჯები 809 ლარი; კომუნალური ხარჯი 1056 ლარი; კვების ხარჯებისათვის 3238 ლარი; ინვენტარისათვის 115 ლარი; რბილი ინვენტარის შესაძენად 100 ლარი; სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 1235 ლარი.

ქარიატას სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაში ფუნქციონირებს 1 ჯგუფი, ბავშვთა რაოდენობა 20 ერთეულია, საშტატო რიცხოვნება 4.0 ერთეული. აღნიშნული დაწესებულების დაფინანსებაზე სულ გაიხარჯა 19687 ლარი, აქედან ხელფასები 11341 ლარი; ოფისის ხარჯები 525 ლარი; კომუნალური ხარჯი 963 ლარი; კვების ხარჯებისათვის 5298 ლარი; ინვენტარისათვის 175 ლარი; რბილი ინვენტარის შესაძენად 100 ლარი; სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 1285 ლარი.

ყორათის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაში ფუნქციონირებს 1 ჯგუფი, ბავშვთა რაოდენობა 12 ერთეულია, საშტატო რიცხოვნება 4.0 ერთეული. აღნიშნული დაწესებულების დაფინანსებაზე სულ გაიხარჯა 18827 ლარი, აქედან ხელფასები 11305 ლარი; ოფისის ხარჯები 409 ლარი; კომუნალური ხარჯი 1033 ლარი; კვების ხარჯებისათვის 3378 ლარი; ინვენტარისათვის 140 ლარი; რბილი ინვენტარის შესაძენად 100 ლარი; სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 2295 ლარი; მიმდინარე რემონტზე გაიხარჯა 367 ლარი.

ნოჯიხევის №2 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაში ფუნქციონირებს 2 ჯგუფი, ბავშვთა რაოდენობა 25 ერთეულია, საშტატო რიცხოვნება 5.5 ერთეული. აღნიშნული დაწესებულების დაფინანსებაზე სულ გაიხარჯა 25338 ლარი, აქედან ხელფასები 14869 ლარი; ოფისის ხარჯები 584 ლარი; კომუნალური ხარჯი 1442 ლარი; კვების ხარჯებისათვის 6452 ლარი; ინვენტარისათვის 180 ლარი; რბილი ინვენტარის შესაძენად 300 ლარი; სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 1511 ლარი.

ხობის №1 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაში ფუნქციონირებს 5 ჯგუფი (მ.შ. ერთი ჯგუფი ბაგა), ბავშვთა რაოდენობა 75 ერთეულია, საშტატო რიცხოვნება 20.0 ერთეული. აღნიშნული დაწესებულების დაფინანსებაზე სულ გაიხარჯა 81017 ლარი, აქედან ხელფასები 51363 ლარი; ოფისის ხარჯები 2058 ლარი; კომუნალური ხარჯი 4056 ლარი; კვების ხარჯებისათვის 21240 ლარი; ინვენტარისათვის 1000 ლარი; რბილი ინვენტარის შესაძენად 700 ლარი; სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 600 ლარი.

ხობის №2 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაში ფუნქციონირებს 6 ჯგუფი (მ.შ. ორი ჯგუფი ბაგა), ბავშვთა რაოდენობა 94 ერთეულია, საშტატო რიცხოვნება 23.5 ერთეული. აღნიშნული დაწესებულების დაფინანსებაზე სულ გაიხარჯა 96048 ლარი, აქედან ხელფასები 59960 ლარი; ოფისის ხარჯები 2047 ლარი; კომუნალური ხარჯი 3886 ლარი; კვების ხარჯებისათვის 23306 ლარი; ინვენტარისათვის 1440 ლარი; რბილი ინვენტარის შესაძენად 1000 ლარი; სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 3299 ლარი; მიმდინარე რემონტზე გაიხარჯა 1110 ლარი.

ხობის №3 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაში ფუნქციონირებს 3 ჯგუფი (მ.შ. ერთი ჯგუფი ბაგა), ბავშვთა რაოდენობა 45 ერთეულია, საშტატო რიცხოვნება 12.0 ერთეული. აღნიშნული დაწესებულების დაფინანსებაზე სულ გაიხარჯა 47896 ლარი, აქედან ხელფასები 31099 ლარი; ოფისის ხარჯები 871 ლარი; კომუნალური ხარჯი 2298 ლარი; კვების ხარჯებისათვის 10631 ლარი; ინვენტარისათვის 659 ლარი; რბილი ინვენტარის შესაძენად 400 ლარი; სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 1938 ლარი.

პირველი მაისის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაში ფუნქციონირებს 3 ჯგუფი (მ.შ. ერთი ჯგუფი ბაგა), ბავშვთა რაოდენობა 38 ერთეულია, საშტატო რიცხოვნება 13.0 ერთეული. აღნიშნული დაწესებულების დაფინანსებაზე სულ გაიხარჯა 47820 ლარი, აქედან ხელფასები 33438 ლარი; ოფისის ხარჯები 1074 ლარი; კომუნალური ხარჯი 1914 ლარი; კვების ხარჯებისათვის 10250 ლარი; ინვენტარისათვის 527 ლარი; რბილი ინვენტარის შესაძენად 300 ლარი; სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 317 ლარი.

ხეთის №1 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაში ფუნქციონირებს 3 ჯგუფი (მ.შ. ერთი ჯგუფი ბაგა), ბავშვთა რაოდენობა 57 ერთეულია, საშტატო რიცხოვნება 13.5 ერთეული. აღნიშნული დაწესებულების დაფინანსებაზე სულ გაიხარჯა 51476 ლარი, აქედან ხელფასები 34461 ლარი; ოფისის ხარჯები 1001 ლარი; კომუნალური ხარჯი 2267 ლარი; კვების ხარჯებისათვის 12787 ლარი; ინვენტარისათვის 360 ლარი; რბილი ინვენტარის შესაძენად 300 ლარი; სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 300 ლარი.

ახალი ხიბულის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაში ფუნქციონირებს 2 ჯგუფი (მ.შ. ერთი ჯგუფი ბაგა), ბავშვთა რაოდენობა 29 ერთეულია, საშტატო რიცხოვნება 9.5 ერთეული. აღნიშნული დაწესებულების დაფინანსებაზე სულ გაიხარჯა 35881 ლარი, აქედან ხელფასები 24727 ლარი; ოფისის ხარჯები 666 ლარი; კომუნალური ხარჯი 1380 ლარი; კვების ხარჯებისათვის 7316 ლარი; ინვენტარისათვის 291 ლარი; რბილი ინვენტარის შესაძენად 200 ლარი; სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 1301 ლარი.

ზუბის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაში ფუნქციონირებს 2 ჯგუფი (მ.შ. ერთი ჯგუფი ბაგა), ბავშვთა რაოდენობა 30 ერთეულია, საშტატო რიცხოვნება 9.0 ერთეული. აღნიშნული დაწესებულების დაფინანსებაზე სულ გაიხარჯა 34615 ლარი, აქედან ხელფასები 23585 ლარი; ოფისის ხარჯები 506 ლარი; კომუნალური ხარჯი 1348 ლარი; კვების ხარჯებისათვის 7382 ლარი; ინვენტარისათვის 215 ლარი; რბილი ინვენტარის შესაძენად 200 ლარი; სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 1379 ლარი.

ზ/ქვალონის, პ/ხორგას, პ/ფოთის და ძვ.ხიბულის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების დაწესებულებების დაფინანსებაზე სულ გაიხარჯა 21837 ლარი, აქედან ოფისის ხარჯები 3900 ლარი; კომუნალური ხარჯი 2052 ლარი; ინვენტარისათვის 12280 ლარი; რბილი ინვენტარის შესაძენად 800 ლარი; სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 400 ლარი; საპროექტო სამუშაოებზე გაიხარჯა 2405 ლარი.

სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში სულ გახსნილია 47 ჯგუფი, კონტიგენტი 713 ერთეული, ხოლო საშტატო რიცხოვნება 185.25 ერთეული.

ამდენად, აუდიტის მიმდინარეობისას გამოყენებული პროცედურებით აიპ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების მიერ მიღებული ასიგნებების უკანონოდ ხარჯვის ფაქტები არ დასტურდება. რაც შეეხება ცალკეული ხასიათის შენიშვნებს ისინი ასახულია დასკვნაში, ხოლო დაწესებულების ხელმძღვანელობას მიეცა რეკომენდაცია შენიშვნების შემდგომში გათვალისწინების თაობაზე.

**ა.ი.პ ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი**

ა.ი.პ ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დამტკიცებული გეგმა 590.4 ათასი ლარით განისაზღვრა, აქედან ხელფასები 235.0 ათასი ლარით, ანუ დაგეგმილი მაჩვენებლის 39.8 პროცენტი, მივლინება 3.8 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებისათვის 58.6 ათასი ლარი, კომუნალური ხარჯებისათვის 6.8 ათასი ლარი, წიგნების შესაძენად 8.0 ათასი ლარი, რბილი ინვენტარისათვის 0.8 ათასი ლარი, ინვენტარის შეძენისთვის 2.8 ათასი ლარი, ტრანსპორტის ხარჯისთვის 8.4 ათასი ლარი, სხვა ხარჯებისთვის 8.4 ათასი ლარი (შტატგარეშე მომუშავეთა ხელფასი) ღონისძიებების ხარჯებისთვის დაიგეგმა 35.0 ათასი ლარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში კაპ.რემონტისთვის დაგეგმილი 204.0 ათასი ლარი აისახა, როგორც ხარჯების დაფინანსება და არა, როგორც არაფინანსური აქტივების ზრდა. დაზუსტებული გეგმა 576.3 ათასი ლარით განისაზღვრა. აქედან ხელფასები 235.0 ათასი ლარით, მივლინება 3.8 ათასი ლარით, ოფისის ხარჯები 58.6 ათასი ლარით, კომუნალური ხარჯები 6.8 ათასი ლარით, წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების შეძენა 8.0 ათასი ლარით; რბილი ინვენტარი 0.8 ათასი ლარით; არაფინანსური აქტივების ზრდა 2.8 ათასი ლარით; ტრანსპორტის ხარჯი 8.4 ათასი ლარით; სხვა ხარჯები (ძირითადად ხელშეკრულებით მომუშავე პერსონალის შრომის ანაზღაურება) 8.4 ათასი ლარით; ღონისძიებების ხარჯები 35.0 ათასი ლარით; კაპ.რემონტის 183.1 ათასი ლარით; სპეც. შემოსავლები 25.5 ათასი ლარით.

საანგარიშო პერიოდში სულ მიღებულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 372.4 ათასი ლარი, დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით 203.9 ათასი ლარით ნაკლები, ანუ 64.6 პროცენტი. აქედან:

ხელფასები დაფინანსებულია 96.5 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 235.0 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 226.8 ათასი ლარი.

მივლინებები დაფინანსებულია 50 პროცენტით, ანუ 3.8 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 1.9 ათასი ლარი. სამივლინებო თანხების ხარჯებზე წარმოდგენილია შესაბამისი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები. სამივლინებო მოწმობები დამოწმებულია, წარმოდგენილია მგზავრობის ბილეთები და სწორია გაანგარიშებები. მივლინებებთან დაკავშირებით გამოცემულია შესაბამისი ბრძანებები, ანგარიშვალდებული პირების მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათების საფუძველზე.

ოფისის ხარჯები დაფინანსებულია 81.6 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 58.6 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 47.8 ათასი ლარი, მათ შორის შენობის დაცვისათვის გახარჯულია 36.0 ათასი ლარი, სხვადსახვა დანიშნულებით გახარჯულია 3.2 ათასი ლარი, მათ შორის გაწეულია საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯები, კომპიუტერული ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯები.შეძენილია ინვენტარი 8.0 ათასი ლარის ი/მ „აკაკი გუმბერიძე“-სთან.

კომუნალური ხარჯები დაფინანსებულია 100.0 აპროცენტით, ანუ დაგეგმილი 6.8 ათასი ლარი ათვისებულია სრულად. აღნიშნული ხარჯები გაწეულია შესაბამისი ხარჯვის დამადსტურებელი დოკუმენტების საფუძველზე.

წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების შეძენითვის დაგეგმილი 8.0 ათასი ლარი ათვისებულია სრულად. კერძოდ შპს „პარნასი“-დან №43 ხელშეკრულების საფუძველზე ს.ზ №225 შეძენილია 1718 ლარის წიგნი. ს.ზ №265 შეძენილია 1500 ლარის; ს.ზ №287 შეძენილია 2180 ლარის, ი/მ „რამინ სორდია“-სგან შეძენილია ს.ზ №176 50 ლარის წიგნი; 2552 ლარის შეძენილია ბიბლიოთეკებისათვის სხვადასხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები.

არაფინანსური აქტივების ზრდისთვის გახარჯულია 2342 ლარი, კერძოდ შეძენილია ი/მ „ტრისტან ჭანტურია“-სგან 775 ლარიანი კონდიციონერი (მომსახურეობის ჩათვლით) ი/მ „დავით გოგოხია“-სგან შეძენილია კომპიუტერული ტექნიკა 1567 ლარის.

ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვისათვის გახარჯულია 8.4 ათასი ლარი, საიდანაც შპს „არგო 99“-თან გაფორმებული ხელშეკრულებით შეძენილია საწვავი 6.1 ათასი ლარის, ხოლო 2.3 ათასი ლარი გახარჯულია კულტურის ცენტრის ბალანსზე რიცხული მიკრო ავტობუსუს რემონტზე.

კულტურის სამსახურის მიერ სხვადსახვა ღონისძიებების ჩასატარებლად გახარჯულია სულ 34979 ლარი. თითოეული ღონისძიების ჩატარებაზე შედგენილია შესაბამისი გაანგარიშებები და ხარჯვა მოხდენილია შესაბამისი ხარჯთაღრიცხვების ფარგლებში. დაფინანსებულია სხვადსახვა ღონისძიებები კერძოდ: 8 მარტისადმი მოძღვნილი ღონისძიება; 30 მარტის ღონისძიება (ფრანკო ფონიის დღე); ღონისძიება „ჩვენ გაზაფხული გვიხდება“; 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიება; 9 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიება; 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიება და საშობაო-საახალწლო ღონისძიება.

ა.ი.პ ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი, როგორც მხარჯავი დაწესებულება აფინანსებს კულტურის ცენტრის ადმინსიტრაციას, კულტურის სახლს; სასოფლო კულტურის სახლებს; სასოფლო კლუბებს, ცენტრალურ ბიბლიოთეკას; სასოფლო ბიბლიოთეკებს; მხარეთმცოდნეობის მუზეუმს; ალ.მირცხულავას სახელობის მუზეუმს და სახელოვნებო დარგებს.

კულტურის ცენტრის ადმინისტრაციის საშტატო რიცხოვნობა 9 ერთეულია. ადმინისტრაციული აპარატის მიერ გასაწევი გადასახდელების დამტკიცებული გეგმა 94.7 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო დაზუსტებული 98.1 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში კულტურის ცენტის ადმინისტრაცია დაფინანსებულია 97.2 ათასი ლარით დაზუსტებულ გეგმასთან 0.9 ათასი ლარით ნაკლები, ანუ 99.1 პროცენტით, აქედან ხელფასები დაფინანსებულია 100.0 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 47.6 ათასი ლარი ათვისებულია სრულად. მივლინება დაფინანსებულია 42.5 პროცენტით, ანუ 0.8 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 0.3 ათასი ლარი. ოფისის ხარჯები დაფინანსებულია 100.0 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 2.4 ათასი ლარი ათვისებულია სრულად. კომუნალური ხარჯებიც დაფინანსებულია 100.0 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 1.1 ათასი ლარი ათვისებუილია სრულად. არაფინანსური აქტივების ზრდისთვის დაგეგმილი 2.8 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 2.3 ათასი ლარი, ანუ 82.1 პროცენტი. ტრანსპორტის მოვლა-შენახვის და ექსპლუატაციის ხარჯები დაფინანსებულია 100.0 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 8.4 ათასი ლარი გახარჯულია სრულად. სხვადსახვა ღონისძიებების დაფინანსებისთვის განისაზღვრა 35.0 ათასი ლარი, რომელიც დაფინანსდა 100 პროცენტით.

კულტურის სახლის საშტატო რიცხოვნობა 8 ერთეულია. კულტურის სახლის დაფინანსების დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმა 66.7 ათასი ლარით განისაზღვრა, რომელიც დაფინანებულია 98.9 პროცენტით, ანუ გახარჯულია 66.0 ათასი ლარი, აქედან ხელფასები დაფინანსდა 98.3 პროცენტით, ანუ 23.5 ათასი ლარის ნაცვლად 23.1 ათასი ლარით. ოფისის ხარჯები დაფინანსებულია 99.2 პროცენტით, ანუ 39.5 ათასი ლარის ნაცვლად 39.2 ათასი ლარით. კომუნალური დანიშნულებით დაგეგმილი 3.7 ათასი ლარი გახარჯულია სრულად.

სასოფლო კულტურის სახლის საშტატო რიცხოვნობა 2 ერთეულია, აღნიშნული დაწესებულებების დაფინანსებისათვის 8.2 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 7.9 ათასი ლარი, აქედან ხელფასების დაფინანსებისთვის გახარჯულია 6.5 ათასი ლარი; ოფისის ხარჯებისთვის 1.2 ათასი ლარი, კომუნალური ხარჯებისთვის 0.2 ათასი ლარი; რბილი ინვენტარის შეძენისთვის დაგეგმილი 0.3 ათასი ლარი არ ათვისებულა.

სასოფლო კლუბების საშტატო რიცხოვნობა 8 ერთეულია. დაგეგმილი 26.0 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 24.1 ათასი ლარი, აქედან ხელფასების დაფინანსებისთვის გახარჯულია 21.0 ათასი ლარი, ოფისის და კომუნალური ხარჯებისთვის 3.1 ათასი ლარი.

ცენტრალურ ბიბლიოთეკის საშტატო რიცხოვნობა 10 ერთეულია. რომლის დაფინანსებაზე დაიგეგმა 244.5 ათასი ლარი, ხოლო დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 223.6 ათასი ლარით. ფაქტიურმა დაფინანსებამ 18.5 პროცენტი შეადგინა ანუ გახარჯულია 40.6 ათასი ლარი. დაფინანსების დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ კაპრემონტისთვის დაგეგმილი 183.1 ათასი ლარიდან გახარჯულია მხოლოდ 1.0 ათასი ლარი, საპროექტო სამუშაოების ღირებულება. არ არის ათვისებული აგრეთვე რბილი ინვენტარის შეძენისთვის დაგეგმილი 0.5 ათასი ლრი. სხვა დანარჩენი მუხლები დაფინანებულია გეგმის ფარგლებში.

სასოფლო ბიბლიოთეკების საშტატო რიცხოვნობა 11 ერთეულია. დაფინანსებულია 77.6 პროცენით, ანუ 49.1 ათასი ლარის ნაცვლად 38.1 ათასი ლარით. აქედან ხელფასები დაფინანსებულია 30.4 ათასი ლარით, ოფისის ხარჯები 1.0 ათასი ლარით, კომუნალური ხარჯები 0.5 ათასი ლარით, წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების შეძენა 3.0 ათასი ლარით, სხვა ხარჯები 3.2 ათასი ლარით.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საშტატო რიცხოვნობა 1 ერთეულია. დაფინანსებამ 2.9 ათასი ლარის ნაცვლად 2.8 ათასი ლარი შედგინა. აქედან ხელფასებზე გაიხარჯა 2.6 ათასი ლა-

→ 30

29 ←

რი; ოფისის და კომუნალური ხარჯებსთვის 0.2 ათასი ლარი.

ალიო მირცხულავას სახელობის მუზეუმის საშტატო რიცხოვნობა 1 ერთეულია. დაგეგმილი 3.1 ათასი ლარი ათვისებულია სრულად. აქედან ხელფასები დაფინანსებულია 2.9 ათასი ლარით; ოფისის ხარჯები 0.2 ათასი ლარით.

სახელოვნებო დარგის საშტატო რიცხოვნობა 24 ერთეულია. დაგეგმილი 73.0 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 66.5 ათასი ლარი. აქედან ხელფასები დაფინანსებულია 63.2 ათასი ლარით, მივლინება 1.6 ათასი ლარით, სხვა ხარჯები 1.7 ათასი ლარით, სხვა ხარჯების მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია შტატგარეშე პერსონალის შრომის ანაზღაურება.

პირველადი დოკუმენტების აუდუტით დადსტურებულია, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიღებული სუბსიდიის ხარჯვა მოხდენილია დაზუსტებული გეგმის ფარგლებში. შეძენები მოხდენილია საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“დაცვით, ყველა შეძენაზე წარმოდგენილია შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები, მიღება-ჩაბარბის აქტების თანდართვით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ შემთხვევაში საქონლის მოძრაობა არათანამიმდევრულია, ანუ ჩამოწერა წინ უსწრებს შეძენას, ასე მაგალითად 2009 წლის 5-27 იანვრის საწვავის ხარჯვა მოხდენილია ისეთ პირობებში, როდესაც ორგანიზაციას ნაშთი არ ერიცხებოდა, ხოლო შეძენა დაფიქსირებულია 27 იანვარს, საწვავის შეძენაზე არ არის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები.

შესამოწმებელი პერიოდის განმავლობაში ღონისძიებებისთვის შეძენილია სხვადსახვა დასახელების საქონელი, რომელზეც არ არის შედგენილი სათანადო ჩამოწერის აქტი, ასე მაგალითად 2009 წლის 31 მარტის ს.ზ №36 ი/მ „მურთაზი გალდავა“-სგან შეძენილია 886 ლარის სხვადსახვა დასახელების საქონელი, რომელზეც არ არის შედგენილი ჩამოწერის აქტი. აგრეთვე არ არის ჩამოწერის აქტი გაფორმებული 2009 წლის 20 აგვისტოს ს.ზ №104-ით შეძენილ 960 ლარის სხვადსხვა დასახელების საქონელზე.

ამდენად, აიპ ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის მიერ ტერიტორიული ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების კანონმდებლობის დარღვევით გახარჯვის ფაქტები არ დასტურდება. რაც შეეხება ცალკეული ხასიათის შენიშვნებს იგი მოცემულია წინამდებარე დასკვნაში და აღნიშნილზე მიცემულია რეკომენდაციები მათი შემდგომში გათვალისწინების თაობაზე.

**შპს „ხობის მოამბე“**

შპს „ხობის მოამბე“ მუნიციპალიეტეტის ბიუჯეტიდან 2009 წელს დაფინანსებულია 38.9 ათასი ლარით, ანუ დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნება დაფინანსებულია სრულად. მიღებული 38.9 ათასი ლარიდან ხელფასების დაფინანსებისათვის გახარჯულია 31.5 ათასი ლარი, ანუ მიღებული თანხების 81.0 პროცენტი, დარიცხული ხელფასიდან დაკავებულია ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი სწორად და დროულად არის გადარიცხული ბიუჯეტში.

მიღებული დაფინანსებიდან 7.4 ათასი ლარი წარმოადგენს სასტამბო ხარჯებს, კერძოდ შპს „კოლორპრინტ“-თან გაფორმებულია ხელშეკრულება 2009 წლის 3 იანვარს და წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე გადარიცხულია 0.8 ათასი ლარი, ხოლო შპს „კოლორთან“ დადებულია ხელშეკრულება 2009 წლის 1 იანვარს და წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე გადარიცხულია 6.6 ათასი ლარი. აუდიტორებს შპს „ხობის მოამბის“ მიერ საბიუჯეტო სამსახურების ხარჯვის კანონიერებაზე შენიშვნები არ გააჩნიათ.

**უფასო სასადილო**

უფასო სასდილოს ასიგნების მოცულობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტის შესაბამისად 47.8 ათასი ლარით განისაზღვრა. ფაქტიურმა დაფინანსებამ 44.1 ათასი ლარი შეადგინა, ანუ 3.7 ათასი ლარით ნაკლები. უფასო სასადილოს მომსახურეობაზე აღრიცხულია 85 უმწეო პირი.

მუნიციპალიტეტსის გამგეობასა და ი/მ „ეკა ხახუბიას“-ს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება 2009 წლის 5 იანვარს №1, 2 თებერვალს და 3 მარტს, სათნოების სახლისთვის საკვები პროდუქტების და სამეურნეო საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებით, სულ 27695 ლარზე, ხოლო შპს „ირაკლი“-სთან გაფორმებულია ხელშეკრულებები სათნოების სახლისთვის პურის შესყიდვასთან დაკავშირებით სულ 8870 ლარზე. ი/მ „ზ. კაკაბაძე“-სთან კი გაფორმებულია ხელშეკრულებები სათნოების სახლისთვის უმწეოთა სასადილოებსთვის თხევადი აირის მიწოდების თაობაზე, სულ 1680 ლარზე. ი/მ „ეკა ხახუბია“-სგან შეძენილია წლის განმავლობაში 25986 ლარის კვების პროდუქტი; შპს „ირაკლი“-დან შეძენილია პური 7870 ლარის; ი/მ „ზ. კაკაბაძე“-სთან შეძენილია თხევადი აირი 1680 ლარის. წლის განმავლობაში გაწეულია ოფისის და კომუნალური ხარჯები სულ 1033 ლარის, კერძოდ გადარიცხულია მოხმარებული წყლისა და ელ.ენერგიის ღირებულება, შეძენილია საკანცელარიო და სხვა საქონელი. უფასო სასდილოს მომსახურე პერსონალზე გაცემულია ხელფასი 7508 ლარი.

სოციალური დაცვის მუხლიდან გაწეულია აგრეთვე ხარჯები 18.8 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც არის ხელფასი უმწეოთა ბინაზე მოსამსახურეობისთვის.

აუდიტის პროცესში შემოწმებულ იქნა კვების პროდუქტების შეძენა-მიღება-ჩამოწერის მდგომარეობა და გამოიკვეთა რიგი დარღვევები და ნაკლოვანებები.

ს.ზ №1 შეძენილია იანვრის თვეში 914 ლარის კვების პროდუქტები ი/მ „ეკა ხახუბიასაგან“ სასაქონლო ზედნადებზე აღნიშნული არ არის თარიღი, ანუ გაურკვეველია როდის იქნა შეძენილი 24 დასახელების კვების პროდუქტი. ამასთან აღნიშნულ მეწარმესთან ხელშეკრულება გაფორმებულია 2009 წლის 5 იანვარს №1 და შეძენაც სავარაუდოდ მოხდენილია 5 იანვრიდან. ასეთ პირობებში, რომ 5 იანვრამდე ჩამოწერილია კვების პროდუქტები 260.75 ლარის ღირებულების.

2009 წლის 30 იანვარს ს.ზ. №1-ით შეძენილია შპს „ირაკლისაგან“ 682კგ. პური. ამასთან ყოველდღიური მენიუების მიხედვით პურის ჩამოწერა ნაჩვენებია, ხოლო კვების პროდუქტების ჩამოწერის ანგარიშში პურის ჩამოწერა არ არის ნაჩვენები. იანვრის თვეში მეორედ კვების პროდუქტების შეძენა მოხდენილია 31 იანვარს 1064.2 ლარის ღირებულების, ანუ 16 იანვრიდან 31 იანვრამდე კვების პროდუქტების (1062.2 ლარი) ჩამოწერა მოხდნილია ისეთ პირობებში, როდესაც უფასო სასადილოს კვების პროდუქტების ნაშთი ბუღალტრულად არ ერიცხებოდა. ანალოგიური დარღვევებია დაშვებული სხვა თვეებში.

რიგი დარღვევებია აგრეთვე ყოველდღიური მენიუს გაანგარიშებაში და შესაბამის პროდუქტების ჩამოწერაში. არ არის განსაზღვრული და დამტკიცებული ნორმები ერთ სულზე გაანგარიშებით, რის შედეგადაც ჩამოწერა ერთი და იგივე მენიუს პირობებში ხდება სხვადსახვა რაოდენობით.

აუდიტორებს მიაჩნიათ, რომ უფასო კევბის სასადილოს საჭიროებისათვის კვების პროდუქტების შეძენის, აღრიცხვისა და ჩამოწერის ოპერაციები არასრულყოფილადაა ბუღალტრულად აღრიცხული და ეს პროცესი მოითხოვს შემდგომ დახვეწას მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

**საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“**

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 13 აგვისტოს №128 დადგენილებით „დასვენება, კულტურა და რელიგიის“ ხარჯები გაიზარდა 80.3 ათასი ლარით, კერძოდ სპორტული ღონისძიებების მუხლიდან საფეხბურთო კლუბი „კოლხეთის“ დასაფინანსებლად, აქედან შრომის ანაზრაურება 4.4 ათასი ლარი; საქონელი და მომსახურობა 75.9 ათასი ლარი.

საკრებულოს 2009 წლის 22 დეკემბრის №136 დადგენილებით საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატებით გამოეყო ასიგნება 10.5 ათასი ლარი, დაზუსტებულმა გეგმამამ 90.8 ათასი ლარი შეადგინა.

საბიუჯეტო წლის განმავლობაში საფეხბურთო კლუბის მიერ მიღებულმა დაფინანსებამ 90.2 ათასი ლარი შეადგინა, რომელიც გახარჯულ იქნა შემდეგი დანიშნულებით.

გაცემულია ხელფასი 22.8 ათასი ლარი, გადარიცხულია ბიუჯეტში ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახდი 5.7 ათასი ლარი. საქართველოს პროფესიულ ფეხბურთელთა ლიგას გადაერიცხა 15.0 ათასი ლარი, გუნდის საწევრო შესატანი; გადარიცხულია ელ.ენერგიის ღირებულება 1.4 ათასი ლარი; 18.4 ათასი ლარით დაფარულია წინა წლების საგადასახადო ვალდებულებები. 7.4 ათასი ლარით შეძენილია სპორტული ინვენტარი და ფორმა, 2.6 ათასი ლარით შეძენილია ტელევიზორი, ვიდეოკამერა, მოედნის საკრეჭი მანქანა და V . გადახდილია ბიუჯეტში ქონების და მიწის გადასახადი 10.3 ათასი ლარის ოდენობით. შეძენილია მედიკამენტები 0.6 ათასი ლარის, გაცემულია მივლინება (სპორტსმენთა კვება, ტრანსპორტით მომსახურეობა) 3.8 ათასი ლარი. სამეურნეო და საკანცელარიო ნივთების შესაძენად გახარჯულია 1.1 ათასი ლარი, შპს „წყალკანალს“ გადაერიცხა 1.1 ათასი ლარი მოხმარებული წყლის ღირებულება. აღნიშნული ხარჯები დადასტურებულია შესაბამისი პირველადი დოკუმენტებით, რომელთა მიმართ აუდიტორებს არსებითი ხასიათის შენიშვნები არ გააჩნიათ.

**შენიშვნები და რეკომენდაციები**

აუდიტის მიმდინარეობისას გამოყენებული პროცედურებისა და ხარჯების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტების შერჩევით შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე აუდიტორებს გააჩნიათ შემდეგი ხასიათის შენიშვნები და რეკომენდაციები:

1.შემოსულობების საერთო გეგმის შესრულებას დააკლდა 1451.9 ათასი ლარი (გეგმა 8158.6 ათასი ლარი, შესრულება 6706.7 ათასი ლარი) ანუ გეგმა შესრულდა 82.2 პროცენტით, რაც ძირითადად გამოწვეულია საგადასახადო ბაზის არასწორად განსაზღვრისა და გადამხდელთა რეალური ფინანსური მდგომარეობის გაუთვალისწინებლობით. ყოველივე აღნიშნულის შედეგად:

– არაფინანსური აქტივების კლებიდან დაგეგმილი იყო 820.0 ათასი ლარის შემოსავლის მიღება, ფაქტობრივად კი საკასო შესრულებამ 11.4 ათასი ლარი შეადგინა ანუ გეგმა შესრულდა მხოლოდ 1.4 პროცენტით.

– ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადში (გარდა მიწისა) დაგეგმილი 10.0 ათასი ლარიდან შემოსავალი საერთოდ არ არის მიღებული.

– სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელში დაგეგმილი 24.0 ათასი ლარიდან შემოსულია 4.8 ათასი ლარი, რაც 19.2 ათასი ლარით ნაკლებია დაგეგმილზე ანუ გეგმა შესრულდა 20 პროცენტით.

2. შემოსულობების გეგმის შეუსრულობების შედეგად ვერ იქნა უზრუნევლყოფილი გადასახდელების (ხარჯების) გეგმის შესრულება, დაგეგმილი 7899.4 ათასი ლარის ნაცვლად საკასო შესრულებამ 7024.6 ათასი ლარი ანუ დაგეგმილზე 874.8 ათასი ლარით ნაკლები შეადგინა, რაც ნაწილობრივ გამოწვეულია იმ გარემოებითაც, რომ ცალკეულ შემთხვევაში დაგეგმილი ხარჯები საერთოდ აუთვისებელია, იმავდროულად ბიუჯეტის დაზუსტების პროცესში არ იყო გათვალისწინებული რეალურად გასაწევი ხარჯები. კერძოდ:

– ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით „საბინაო კომუნალური მეოურნეობის“ დაფინანსებას დააკლდა 41.1 ათასი ლარი, რაც ძირითადად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ „კომუნალური მეურნეობის განვითარების“ ხარჯებისთვის დაგეგმილი 30.0 ათასი ლარი საერთოდ არ იქნა ათვისებული.

– დასვენება, კულტურა და რელიგიის ღონისძიებებისათვის დამტკიცებული ბიუჯეტით განისაზღვრა 776.0 ათასი ლარის ოდენობით, დაზუსტების შედეგად გეგმა გაიზარდა 74.1 ათასი ლარით და განისაზღვრა 850.1 ათასი ლარით, საკასო შესრულებაში კი ასახულია 652.2 ათასი ლარი ანუ თავდაპირველად დაგეგმილზე 123.8 ათასი ლარით ნაკლები.

– თავდაცვის ხარჯებისთვის 2009 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 77.3 ათასი ლარის გასავალი. ბიუჯეტის დაზუსტების შედეგად ხარჯების გეგმა გაიზარდა 5.7 ათასი ლარით, საკასო შესრულებაში კი ასახულია 60.4 ათასი ლარი, ანუ თავდაპირველად დაგეგმილზე 16.9 ათასი ლარით ნაკლები.

– ადგილი აქვს საწინააღმდეგო შეთხვევებსაც. სოფლის მეურნეობის ქვემუხლით დამტკიცებული ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 1019.4 ათასი ლარის გასავალი, წლის განმავლობაში ბიუჯეტის დაზუსტების შედეგად ხარჯის გეგმა შემცირდა 254.0 ათასი ლარით და საბოლოოდ განისაზღვრა 765.4 ათასი ლარით. მიუხედავად აღნიშნულისა საკასო შესრულებამ 432.6 ათასი ლარი შეადგინა, რაც დაზუსტებული გეგმის 56.5 პროცენტს, ხოლო დამტკიცებული გეგმის მიმართ 42.4 პროცენტს შეადგენს.

– ცენტრალური ბიბლიოთეკის შენახვის ხარჯებისათვის 2009 წლის დაზუსტებული ბიუჯეტით გამოყოფილი იყო 223.6 ათასი ლარი, აქედან არაფინანსური აქტივების (კაპ.რემონტი) ზრდის მუხლით 183.1 ათასი ლარი, საიდანაც 1.0 ათასი ლარი გაიხარჯა ტექდოკუმენტაციის შედგენაზე, ხოლო 182.1 ათასი ლარი წლის ბოლოსთვის დარჩა აუთვისებლად.

მხარჯავი დაწესებულებების მიერ საბიუჯეტო სახსრების მიღების, აღრიცხვისა და ხარჯების დოკუმეტურად დადასტურების შერჩევითი აუდიტორული შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე ცალკეული დაწესებულებაში შეინიშნება შემდეგი ხასიათის დარღვევები:

– უფასო სასადილოს შენახვის ხარჯების დოკუმენტების შემოწმებით გამოირკვია, რომ უფასო კვების სასადილოს საჭიროებისათვის კვების პროდუქტების შეძენის, აღრიცხვისა და ჩამოწერის ოპერაციები არასრულყოფილადაა ნაწარმოები. არ არის შემუშავებული და დამტკიცებული ნორმები.

– დარღვევებია დაშვებული ხანძარსაწინააღმდეგო და სამაშველო სამსახურის შენახვის ხარჯების დამადასტურებელი ცალკეული დოკუმენტების შედგენაში: უნიფორმის შესაძენად შედგენილ კალკულაციაში შეტანილია არასწორი მონაცემები. ასევე არასრულყოფილადაა შედგენილი სატრანსპორტო საშუალების რემონტის დამადასტურებელი სასაქონლო ზედანდები.

– ა.ი.პ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში კვების პროდუქტების მიღებაზე თითოეულ შემთხვევაში ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის ნაცვლად ის გამოიწერება ერთიანად. შუალედურად კი ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტები. ცალკეული ბაღების ხარჯები გაანგარიშებულია არა აღსაზრდელთა კონტიგენტის მიხედვით, არამედ წინა წლის ფაქტიური ხარჯის მატების პრინციპით.

– ა.ი.პ. ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში ცალკეულ შემთხვევაში ადგილი აქვს საწვავის ჩამოწერას, მისი შესყიდვის დოკუმენტის გამოწერის მომენტამდე. ასევე ცალკეული ღონისძიებებისთვის შეძენილი საქონლის ჩამოწერის მასალები არასრულყოფილია.

გამომდინარე ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ბიუჯეტისა და მასში შესატანი ცლილებების პროექტის შედგენისას, ხოლო საკრებულომ დამტკიცებისას მაქსიმალურად გაითვალისწინონ:

– შემოსულობების გეგმების განსაზღვრისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საგადსახადო ბაზის რეალურ შესაძლებლობებს, რათა ადგილი არ ქონდეს დაგეგმილი შემოსავლების გეგმის შესრულებაში მნიშვნელოვანი ხასიათის გარღვევებს. ამასთან მხედველობაში მიიღონ კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების სრულად მობილიზაციის პრინციპი.

– გადასახდელების დაგეგმვისას თავი შეიკავონ ისეთი ხარჯების გათვალისწინებისგან, რომლებიც წლის განმავლობაში ან საერთოდ აუთვისებელია ან მათი დაგეგმვა არ წარმოადგენდა პრიორიტეტს.

– მხარჯავი დაწესებულებების ხელმძღვანელობამ და სააღრიცხვო სამსახურებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხს. აღრიცხვა-ანგარიშგება აწარმოონ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების და დამტკიცებული ინსტრუქციების შესაბამისად.

– მიზანშეწონილად ჩათვლის შემთხვევაში, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და გამგეობამ განიხილონ აუდიტის პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებები და დასახონ ღონისძიებები მათი გამოსწორებისა და შემდგომში გათვალისწინების უზრუნველსაყოფად.

**დ ა ს კ ვ ნ ა**

*მიუხედავად აუდიტის პროცესში გამოვლენილი ცალკეული ხასიათის დარღვევებისა და გამოთქმული შენიშვნებისა, მთლიანობაში ხობის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიში არ შეიცავს სერიოზულ ხასიათის დარღვევებსა და დამახინჯებებს, რისი გათვალისწინებითაც ვიძლევით დადებით აუდიტორულ დასკვნას.*

**მ. თურქია, ბუღალტერ-ექსპერტი:**

**ე.ბულია, დირექტორ–აუდიტორი:**

გამოსათხოვარი

# ტონია ქაქუთია



ქალბატონი ტონია ქაქუთია იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც თავიანთი ცხოვრებით, მოღვაწეობით წარუშლელ კვალს ტოვებენ წუთისოფელში. ძნელია წარსულში მოიხსენიო იგი–დაუღალავი, სამართლიანი, სხვისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი.მებრძოლი სულის მატარებელი პიროვნება.

ქალბატონი ტონია ქაქუთია დაიბადა 1930 წელს ხობის რაიონის სოფელ ნოჯიხევში.

1952 წელს დაამთავრა ზუგდიდის საბიბლიოთეკო სასწავლებელი და ხობის პარტკომში დაინიშნა პარტ.კაბინეტის ბიბლიოთეკარად, შემდგომ საბავშვო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარად. 1980–1002 წლებში იყო ხობის საბავშვო ბიბლიოთეკის გამგე. მუხლჩაუხრელად, დაუზოგავად ემსახურებოდა მოზარდი თაობის სულიერი სამყაროს გალამაზების საქმეს. უყვარდა წიგნი და პროპაგანდას უწევდა მას...

თავისი ბედი ამავე სოფლის მკვიდრს აპალონ ცხადაიას დაუკავშირა. ტონია ქაქუთიას ბედნიერი ოჯახი ჰქონდა, მაგრამ წუთისოფლის ორომტრიალს ვერ აცდა, ჯერ მეუღლე გარდაეცვალა, შემდგომ კი უმძიმესი სატანჯველი არგუნა ბედისწერამ. შვილის, თემურის უეცარმა სიკვდილმა, დაუზაფრა სული და გული... სიცოცხლის ბოლომდე ზღვარდაუდებელი იყო მისი ტკივილი, გოდება...

ძაძით მოსილი დედის ცხოვრებას მისი მეგობრები და საყვარელი საქმე ალამაზებდა...

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული. გჯეროდეს, შენი ძე–მურადი არ ჩააქრობს შენს ნალოლიავებ კერას, მამის, დედის და ძმის ხსოვნას პატივს მუდამ მიაგებს.

თქვენს სახელს დავიწყება არ უწერია. მუდამ დარჩებით ჩვენს გულებში, როგორც მოძღვარი, დამრიგებელი, თქვენი დედური სითბო და ამაგი აუწონავია და დიდხანს გაგვყვება ცხოვრების გზაზე.

***მაყვალა კილასონია,***
***დოდო კაკულია.***

# გოგა ლატარია



გაუსაძლისი ტკივილით და ცრემლიანი მოგონებით გავიდა რვა წელი. ზუსტად რვა წლის წინ, იმ ავადმოსაგონარ 20 სექტემბერს, გლოვის ზარმა ჩამოჰკრა ჩვენს გულებში, გოგა, სიცოცხლითა და ხალისით სავსე ვაჟკაცი თვალწინ დაგვისხლტდი და მარადისობაში დაივანე. წახვედი და შენთან ერთად გაქრა ყველაფერი, – ჩვენი ხალისი, ბედნიერება, ღიმილი. უეცრად გაქრა შენი ომახიანი ხმა, გვაკლია შენი სითბო და სიყვარული, სიკეთით სავსე ღიმილი. შენმა სიკვდილმა ცხოვრება დაგვინგრია, მიწასთან გაგვასწორა, მოუშუშებელი ჭრილობა გვარგუნა.

ჩვენო გოგა, ძნელია, იმ გაყინულ საფლავის ქვასთან გვეგულებოდე. ნათქვამია, დრო მკურნალიაო, მაგრამ ჩვენს ტკივილს განკურნება არ უწერია. შენი ოჯახი ვერასოდეს მოიშუშებს იმ ტრაგედიას. შენს ნაცვლად დაგვრჩა ლამაზი სურათები, შენი საფლავი.

შორიდან გეფერებით და გეალერსებით იქ, მარადისობაში, რომლის ბინადარადაც გვეგულები.

მარად ვილოცებთ შენი ლამაზი სულის უკვდავსაყოფად.

გვიყვარხართ და უზომოდ გვენატრები.

***შენი ოჯახი***

# ნოდარ ლომაია



40 დღე გავიდა, რაც მარადიულ სასუფეველში გადასახლდი ნოდარ! დაცარიელდა ჩვენთვის სამყარო, მაგრამ ცხოვრება მაინც თავისი გზით მიდის, დღეთა სიმრავლე ვერაფერს აკლებს შენს ნათელ ხსოვნას და ამქვეყნად დატოვებულ კეთილ სახეს.

სამი თვე ებრძოდი განუკურნებელ სენს, ჩვენც შენს გვერდით ვიყავით და თურმე ამაოდ ვცდილობდით მის შეცვლას.

შენმა ოჯახმა, შვილებმა, შვილიშვილებმა და ლომაიების დიდმა საგვარეულომ ყველაფერი გააკეთეს შენთვის, მაგრამ ამაოდ.

გაუსაძლისი და უფერულია ცხოვრება უშენოდ, ვერავინ და ვერაფერი უწამლებს ჩვენს სულს, დაუამებელ ტკივილად დაგვრჩა მოუშუშებელი იარა, რომლის მორჩენაც შეუძლებელია.

შენ მთელი ცხოვრება ღირსეულად იცხოვრე, ლამაზად მიუყვებოდი ამ წუთისოფელს, მაგრამ ვაი, რომ განგებამ არ დაგაცალა.

გაუსაძლისია სულის სიმძიმე, გვიკვირს როგორ უძლებს ადამიანი ამდენ ტკივილს.

სიკვდილი მხოლოდ ჩვეულებრივ მოკვდავთათვისაა დასასრული, ხოლო შენთვის იგი დიდი სიცოცხლის დასაწყისია, რადგან შენი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ათასობით თანამემამულის უდიდესი სიყვარული დაიმსახურე და მათ ხსოვნაში სამუდამოდ დაიდე ბინა.

შენი წასვლით ჩვენ ყველამ სულის რაღაც ნაწილი დავკარგეთ და უსაშველოა ამ დაკარვით გამოწვეული ტკივილი.

უსპეტაკესი ბუნების მქონე, ერთგული მეუღლე, მოსიყვარულე მამა და ბაბუა, ახლობლების თანამდგომი, ასეთი იყავი შენ და ასეთად დარჩები ყველასათვის.

გავა წლები, დავიწყებას მიეცემა ბევრი რამ, მაგრამ გჯეროდეს, სანამ იარსებებს ჩვენი ოჯახის ერთი წევრიც კი, შენი ხსოვნა უკვდავი იქნება და იგი ერთი წამითაც დავიწყებას არ მიეცემა.

მშვიდობით, ძვირფასო ადამიანო! გვიყვარხარ, გვენატრები!

**შენი ოჯახი.**

ხსოვნა

# დენიზა ჯაბუა, პოლმირა ბუკია





მშობლების ზრუნვა ჩვენთვის უხილავი სიამოვნებაა. მათთან ყოფნით განებივრებულნი ვართ. მშობლები ცდილობენ არაფერი დაგვაკლონ და ვტკბებით ცხოვრებით, თუმცა ამას მას მერე უფრო ვაფასებთ, როცა მშობლები სამუდამოდ გვტოვებენ. ვფიქრობთ, რომ ძალიან ბედნიერები და მხიარულები ვყოფილვართ.

დედა ექვსი წელია რაც გარდაიცვალა და წელს მამაც დავკარგეთ. არაფერი გაგვიხარდება, ალბათ, ისე, როგორც ადრე, ბავშვობაში გვიხაროდა. მშობლების სიცოცხლეში უფროს ასაკშიც კი ზოგჯერ თავს ბავშვებად ვგრძნობდით, სამწუხაროდ, ყველაფერი დამთავრდა, ბავშვობა სამუდამოდ ჩაიძირა წარსულში, ასე გვგონია უცებ დავბერდით. დედის დაკარგვით სიცოცხლისათვის აუცილებელი სითბოს ნაწილი დავკარგეთ, მაგრამ მამამ გვიწილადა სითბო, იგი მისი გულის სითბოს უშრეტად ასხივებდა. ამას ვგრძნობდით მისი შვილები, მეგობრები და ახლობლები.

მუდმივი ამ ცხოვრებაში არაფერია, გამოილია ეს სითბოც და მამის გულმაც ძგერა შეწყვიტა.

წელს ძალიან ცხელი ზაფხულია, გვალვაა, ჩვენ კი გვცივა, რადგან მამის გულის სითბო აღარ გვათბობს.

ჩვენთვის, შვილებისათვის ყველაზე მძიმე წლევანდელი ზაფხულია. ჩვენ ხომ მშობლების სითბო სამუდამოდ დავკარგეთ, ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ მათი სულებისათვის.

***შვილები.***

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხობის რაიონული ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა პარტიის აქტიური მხარდამჭერი

**სერაპიონ ლუკას ძე ცხადაია**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღირსეული თანამემამულე, ღვაწლმოსილი პიროვნება

**სერაპიონ ცხადაია**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს



ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ახალი სამკუთხედის“ რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელი, გაზეთის ყოფილი რედაქტორი

**სერაპიონ ლუკას ძე ცხადაია**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ხობის სამედიცინო საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება შ.პ.ს. ა/პ გაერთიანების ექიმ–თერაპევტის

**მარინე ხარიტონის ასული კაკულიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა იუწყება ექიმი თერაპევტის

**მარიკა კაკულიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლები იუწყებიან ყოფილი საბავშვო ბიბლიოთეკის გამგის

**ტონია ქაქუთიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მამიდა ნუცა გვასალია, მამიდაშვილები: ცეზარი, ვახტანგი, ზაზა ნადარაიები ოჯახებით იუწყებიან

**ქუჩუჩი ინოკენტის ასულ ცხადაია–ბუკიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს.

ხობის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის გამგეობა თანაგრძნობას უცხადებს შ.პ.ს. „მკურნალის“ მთავარ ექიმს ლევან ქავთარაძეს დის, შრომის პენსიონერის **ნაციას** გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ახალი სამკუთხედის“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გაზეთის ყოფილ რედაქტორს ქალბატონ ნაირა ბუკიას რძლის

**ქუჩუჩი ცხადაია–ბუკიას**

გარდაცვალების გამო.

ხობის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა შრომის ვეტერანი

**სერაპიონ ცხადაია**

და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს.

# ნანატრი შვილი



ვისუფლად მსჯელობს ყველაფერზე.

ეს გოგონა მარიამ სესკურია გახლავთ... ჭალადიდის საჯარო სკოლის მე-3 კლასის წარჩინებული მოსწავლე, მიღწეული წარმატებისათვის მიღებული აქვს სიგელები, აქტიურად მონაწილეობს სკოლის მოსწავლეთა შემოქმედებით ცხოვრებაში, ფლობს ინგლისურ ენას და კომპიუტერს.

მარიამი ოცნებობს გახდეს ცნობილი ჟურნალისტი...

– ვეკითხები, **როგორი ხარ შენ?**

–რელიგიური.

***–ვინ გიყვარს ყველაზე მეტად?***

–ბაბუა...

ბაბუა ბატონი გრიშა სესკურია ცნობილი ადამიანი გახლავთ. იგი ხობის საპატიო მოქალაქეა, რომელმაც წლების განმალობაში დაუღალავად იშრომა, იღვაწა ჩვენი რაიონისა და ქვეყნის სასიკეთოდ, მარი მისი ნანატრი და საფიცარი შვილიშვილია.

***–როგორ გესმის სიკეთე?***

–ჩემთვის სიკეთის საწყისი ქრისტიანული მორალია, რაც უფრო ახლოს იქნები და გეყვარება ღმერთი, მით უფრო მეტი სიკეთის კეთებას შეძლებ. მე ყოველდღე ვლოცულობ, ზეპირად ვიცი „მამაო ჩვენო“, დავდივარ ეკლესიაში. მაქვს სურვილი გავიზარდო ისეთი ქართველი, რომელიც ყველგან და ყოველთვის დაიცავს საკუთარ ოჯახსა და ქვეყანას.

***– რას ინატრებდი?***

– სამი ნატვრა მაქვს –პირველი ბაბუა ღმერთმა ძალიან დიდხანს მიცოცხლოს. მეორე – საქართველოს გაერთიანებას, მშვიდობა და ერთად ყოფნას ვინატრებდი. მესამე–გავახარო ჩემი მშობლები, ბაბუა, მამიდები მანანა და ლალი, რომლებიც ჩემზე განსაკუთრებულად ზრუნავენ.

საოცარი რესპოდენტია პატარა მარი, გაოცებული ვარ მისი გონიერებით, თავაზიანობით, ჭკვიანური გამოხედვით, ფართოდ გახელილი ცნობისმოყვარე თვალებით, გულწრფელობით, პუნქტუალურობით.

საყვარელია „წითელქუდა“ გოგონა.

მარი, ყველა ნატვრის და ოცნებების ახდენას გისურვებ!

გოგონა, რომელიც ოცნებობს, უკრავს, მღერის, ცეკვავს, „არტისტობს“, პრანჭიაა, მუდამ სარკის წინ ტრიალებს. უსაზღვროდ უყვარს პოეზია– „მე რომ შემეძლოს თვით ავაგებდი მსგავს სვეტიცხოველს და ლამაზ სიონს, მე რომ შემეძლოს, გავაცოცხლებდი პოეზიის ღმერთს–დიდ გალაკტიონს“.

ხშირად მოგზაურობს, ახარებს თანატოლებთან თამაში, გართობა, არის მხიარული, კეთილი, კომუნიკაბელური, მოყვასისადმი მოსიყვარულე და მზრუნველი, მართლმადიდებელი ქრისტიანი, თა-

***ნაირა ბერაია***

# მ ო ლ ო ც ვ ა



პატარა დიმა ალანიას ვულოცავთ ამ ქვეყნად მოვლენას. ვუერთდებით მშობლების მაია ლომინაძისა და დავით ალანიას სიხარულს, შვილთა სიმრავლეს და ბედნიერ თანაცხოვრებას ვუსურვებთ.

დიმა ალანია გაზრდილიყოს ოჯახისა და მამულის სასიხარულო შვილი.

გვემრავლოს!

## ს პ ო რ ტ ი

# წინ მრავალი ოქრო და ვერცხლია...

ბევრი საამაყო აქვს ხობის №2 საჯარო სკოლის მერვეკლასელ გოგა კორტავას. 12 წლის სპორტსმენი უკვე ცნობილია და დამსახურებულად აქვს ის ჯილდოები, რომელიც მის ბავშვურ მკერდს ამშვენებს.



კარატე დოში (მწვრთნელები ბაჩუკი სულამანიძე და ლაშა ჯეჯეია) ჯერ კიდევ პატარა ბიჭუნამ დაიწყო ვარჯიში. მწვრთნელებმა თავიდანვე შეამჩნიეს მისი მონდომება და წარმატებული მომავალიც განსაზღვრეს.

თავდაუზოგავი შრომა და ამ სპორტისადმი დიდი სიყვარული გახდა საფუძველი მისი გამარჯვებებისა. ამ ბოლო დროს (ივლისი–აგვისტო) ქალაქ სტამბულში გამართულ მსოფლიო ტურნირზე, საქართველოს ნაკრებ გუნდთან ერთად იასპარეზა და პირველი ადგილი მოიპოვა, დამსახურებულად გახდა ოქროს მედალის კავალერი. შემდეგ ახალქალაქში და ერევანში გამართულ საერთაშორისო ტურნეებშიც მონაწილეობდა.

გოგა კორტავა ხუთი ოქროს, ვერცხლისა და სხვადასხვა პრიზის მფლობელია.

წარმატებული ყოფილიყოს შენი მომავალი სახელოვანო ხობელო სპორტსმენო.

მჯერა, წინ კიდევ მრავალი ოქრო და ვერცხლია...

***ნათია ძერია***

# ა უ ქ ც ი ო ნ ი

**განცხადება ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოცხადების შესახებ.**

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა განმეორებით აცხადებს აუქციონს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მოძრავი ნივთების პრივატიზებაზე.**

**საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა**

| ავტომანქანის მარკა, მოდელი, სარეგისტრაციო ნომერი | გამოშვების წელი | საწყისი გასაყიდი ფასი | 50%-ის ფასდაკლება | ფერი | „ბე“-ს ოდენობა 30% | სავაჭრო ბიჯის ოდენობა100% | მონაწილის ბილეთის ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოპელ ვექტრა 1.81 (YVY-223) | 1992 | 2000 | 1000 | რუხი 78 | 330 | 100 | 20 |
| ვაზ 2106 (FAN-130) | 1983 | 1000 | 500 | ლურჯი 7/8 | 165 | 50 | 20 |
| ვაზ 2107 (TEM-973) | 1998 | 900 | 450 | მწვანე 7/8 | 150 | 45 | 20 |
| გაზ 53-12 (FAE-088) | 1985 | 700 | 350 | მწვანე 3/8 | 125 | 35 | 20 |

განცხადების მიღების ადგილია: ქ. ხობი, ც. დადიანის ქუჩა №198, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა–გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღე 9-00–დან 18–საათამდე (შაბათ კვირის გარდა). უქციონის ჩატარების თარიღია 2010 წლის 15 ოქტომბერი 15-00 საათი.

საბანკო რეკვიზიტებია: მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო ანგარიში 200122900, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი 220101222, სახაზინო კოდი 300403332.

აუქციონის ფორმით მოძრავი ქონების პრივატიზებისას გამყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება, აგრეთვე გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან გამგეობასთან გააფორმოს ნოტარიალურად დამოწმებული შესაბამისი ხელშეკრულება, აგრეთვე აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან, 30 კალენდარული დღის განმავლობაში, დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და ბე-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ გამგეობაში);

ბ) „ბეს“-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი;

დ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტების ასლს;

ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

საააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში, განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

მოძრავი ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში.

***გამყიდველი ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა***


# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა !

**ქირავდება 2 სართულიანი იზოლირებული (400კვ/მ) საოფისე ფართი. ქ. ხობის ცენტრში.**

**ტელ: 855-90-14-90**



**გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით**

დამფუძნებელი:
*ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.*
გაზეთ „ახალი სამკუთხედის“ რედაქტორი
***მანანა შულაია***
ნომრის მორიგე
***ნანი კილასონია***
დამკაბადონებელი
***ჯულიეტა ლატარია***

მის: ხობი, სტალინის ქუჩა №1 ტელ: 8 (214) 2-21-13; (879) 72-61-72
გამოდის კვირაში ერთხელ
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბე“-ში.
დაიბეჭდა შ.პ.ს. „მ.ვ.პ.
გამომცემლობა „კოლორში“.
თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გამომცემელი
შპს „ხობის მოამბე“
დირექტორი
***ნატო ლომაია***